რელიგიათა საბჭოური კავშირი A8 | პასუხი აბსურდზე A8 | "საოჯახო ტოტო" B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 8 მარტი, 2004 წელი. №56 (605) | ფასი 50 თეთრი

## "ედეპე-ტრადიციონალისტები" აბობოქრდნენ

*პრეზიდენტის მიერ საარჩევნო კომისიებში ოპოზიციისთვის შეთავაზებულმა ორმა ადგილმა თავისი საქმე გააკეთა – ამ ვაკანსიამ ერთმანეთს უკვე საჯაროდ დაუპირისპირა ორი, მეტ-ნაკლებად მსხვილი ოპოზიციური ბლოკი – "ახლები – მრეწველები" და "ედპ – ტრადიციონალისტები". არადა, სულ რაღაც, ორიოდე თვის წინ მემარჯვენე ორიენტაციის ეს ოთხი პარტია წინასაარჩევნო კონსულტაციებს მართავდა. მიზანი 28 მარტის არჩევნებისთვის ძლიერი მემარჯვენე ოპოზიციური გაერთიანების შექმნა იყო.*

თამარ მჭედლიშვილი

ხმამაღლა არავინ საუბრობს იმის თაობაზე, თუ რატომ ჩაიშალა მოლაპარაკებები. თუმცა, შინაურულ "აღიარებებში" ორივე ბლოკის წარმომადგენლები ერთმანეთს ზურაბ ჟვანიას "აგენტობაში" ადანაშაულებენ. ასე მაგალითად, "ახლების" წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ გაერთიანებას ხელი შეუშალეს აკაკი ასათიანმა და გუბაზ სანიკიძემ, რომლებიც ოპოზიციურ სივრცეში სწორედ პრემიერ-მინისტრის უშუალო დავალებით აღმოჩნდნენ. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ "ედპ-ტრადიციონალისტების" წარმომადგენლები. მათი თქმით, "ახლები" და "მრეწველები" იძულებულნი არიან, სააკაშვილსა და ჟვანიას გაურიგდნენ, რათა საკუთარი ბიზნესი დაიცვან".

ასეა თუ ისე, დღეს ორივე მემარჯვენე გაერთიანება პარლამენტში შესასვლელად ცალ-ცალკე იბრძვის. თუმცა, ბრძოლის მეთოდები ერთნაირია – იმის მაგივრად, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ელექტორატშემოფანტულმა გაერთიანებებმა საარჩევნო ბარიერის დასაწევად იბრძოლონ, ისინი საარჩევნო ადმინისტრაციებში სავარძლების მოპოვებას ლამობენ.

რა თქმა უნდა, არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტისათვის საარჩევნო კომისიებში წევრის ყოლა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ნამდვილად უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე პერიოდში პოლიტიკოსთა მთელი ყურადღება სწორედ ამ საკითხზეა გადატანილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გაითვალისწინეთ, რომ ხართ ამ ქვეყნის მოქალაქეები!

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ბიზნესმენებთან შეხვედრაზე

მოგესალმებით!

აქ არიან მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, გადამხდელთა კავშირის წარმომადგენლები, საქართველოს წამყვანი საქმიანი ადამიანები, აგრეთვე - ექსპერტები, მეცნიერები ამ სფეროში!

ჩვენ არ გვსურდა, რომ ეს შეხვედრა ტრადიციულად ყოფილიყო რომელიმე ფეშენებელურ სასტუმროში!

მინდა, რომ ეს იყოს სამუშაო შეხვედრა, სადაც გულწრფელად გაგიზიარებთ იმ აზრებს, რაც უკავშირდება საქართველოში ბიზნესის განვითარების და საერთოდ ეკონომიკის განვითარების ჩვენეულ ხედვას.

ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ, თუ შეამჩნიეთ, ჩვენ ვდგამთ გადამწყვეტ ნაბიჯებს საქართველოში წესრიგის დასამყარებლად.

გაგრძელება A6 გვერდზე



პრეზიდენტი ბიზნესმენებისკენ მიემართება.

## ენერგეტიკული დილემა

"მცირე ლიცენზიანტები" ქართული ბიზნესი, რომელიც უნდა წახალისდეს, თუ კორუფციული წარმონაქმნი, რომელიც უნდა აღმოიფხვრას?

მაია ურუშაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ მთავრობა ენერგოსადისტრიბუციო ბაზრის გახსნას არ გეგმავს. პირიქით: 10 მარტს სემეკ-მა ე.წ. "მცირე ლიცენზიანტების" საკითხი უნდა განიხილოს და მათ საბოლოო ვერდიქტი უნდა გამოუტანოს.

ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია ამ კომპანიების მიმართ შემდეგია: **"მცირე ლიცენზიანტების არსებობა ხელს უშლის ენერგეტიკული სექტორის განვითარების პროცესს."** ეს პოზიცია, ძირითადად, ენერგოსადისტრიბუციო გიგანტის, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მხრიდან მოდის. თუმცა, დღეს უკვე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ პოზიციას ოფიციოზიც იზიარებს.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური "მცირე ლიცენზიანტების" ბიზნესს "შავ ბიზნესად" მიიჩნევს და აცხადებს, რომ **"მათი არსებობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სალიცენზიო პირობებს არ არღვევენ."** მაგრამ, მინისტრი აქვე დასძენს, რომ ამ კომპანიების უმეტესობა სწორედ "შავი სქემებითაა" დაკავებული. **"დენის განაწილება მთელ მსოფლიოში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ. დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი), ბუნებრივი მონოპოლიაა. დღეს საქართველოში ამ სექტორში არაჯანსაღი კვაზიკონკურენცია დამყარდა, როდესაც "მცირე ლიცენზიანტები" გსეკ-ს მახინჯი ფორმით – კორუფციული სქემების გამოყენებით უწევენ კონკურენციას. ისინი ურიგდებიან "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერებს და გსეკ-ის მომხმარებლების საგანგებოდ გამორთვის გზით იბირებენ მათ აბონენტებს. გარდა ამისა, ადგილი აქვს მათი მრიცხველებიდან თანხების "ჩამოყრას".** თუმცა, გილაურს აქვე დასაშვებად მიაჩნია, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი "მცირე ლიცენზიანტიც", რომელიც "სუფთად" მუშაობს. **"მათ ლიცენზიებს არ ჩამოართმევენ,"** – აცხადებს მინისტრი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სამართალდამცველებს ბონდო შალიკიანის მამხილებელი ბევრი ფაქტი მოეპოვებათ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

5 მარტს ქუთაისში დაკავებულ ბონდო შალიკიანს გამოძიება ამ ეტაპზე დიდი რაოდენობით იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვას ედავება. პროკურატურაში აცხადებენ, რომ აღნიშნულს შესაძლოა, სხვა ბრალდებებიც დაემატოს. საქმის გამოძიებას გენერალური პროკურატურა აწარმოებს. იმერეთის საოლქო პროკურატურაში მათ დასახმარებლად სპეციალური ჯგუფია შექმნილი. ამჟამად წარმოგიდგენთ რამდენიმე ფაქტს, სადაც შალიკიანი "კანონიერ ქურდებთან" ახლო მეგობრობასა და ადამიანის გამტაცებლებთან შუამავლობაშია ეჭვმიტანილი. მისი კუთვნილი ფირმების მიერ გადასახდების დამალვის ფაქტებზე კი, ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებში, სისხლის სამართლის საქმეები არაერთხელ აღძრულა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბონდო შალიკიანი

### პოლიტიკა

**საქართველოს პირველი გმირის წოდება ჟიული შარტავას მიენიჭება**

ჟიული შარტავა დამოუკიდებელი საქართველოს შესანიშნავი პრეზიდენტი იქნებოდა," – მიაჩნია სააკაშვილს. საქართველოს გმირის წოდების პირველი მფლობელი ჟიული შარტავა იქნება.

A2

### ეკონომიკა

**კერძო ენერგოკომპანიების (მცირე ლიცენზიანტების) მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას**

A4

### უცხოეთი

**ვენესუელა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე**

ვენესუელაში ოპოზიციის ათობით ათასმა მხარდამჭერმა პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის წინააღმდეგ მშვიდობიანი მარში მოაწყო. ოპოზიცია პრეზიდენტ ჩავესის მმართველობის საკითხის თაობაზე სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.

A5

### სამართალი

**ვინ აღმოჩნდება ციხეში - პროკურორი თუ ბრალდებული?**

იმ შემთხვევაში, თუ გურჯაანის პროკურორს რევაზ ჩივიაშვილს და გამომძიებელ ემზარ ჯიქურაშვილს ადვოკატთა კოლეგია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას დაუმტკიცებს, შესაძლოა მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

A7

### საზოგადოება

**ქუთაისის ახალი მთავრობის ახლებური მეთოდები**

მაკედონელისა არ იყოს, პოსტრევოლუციურ ახალ მთავრობას კვანძების გახსნა ხშირად ხმლის საშუალებით ურჩევნია ხოლმე. კაცმა რომ თქვას, ეს არც თუ ისე ცუდია, როდესაც საქმე კრიმინალებსა და კორუფციასთან ბრძოლას ეხება. მაგრამ, როდესაც იგივე მეთოდებით კულტურულ მემკვიდრეობას ეპყრობი, საქმე, რბილად რომ ვთქვათ, უკულტურობასთან გვაქვს, და თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ - ვანდალურ-ბოლშევიზმთან.

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 10 |
| ბათუმი | 8 |
| სოხუმი | 8 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 10 |
| გორი | 6 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 8 |
| გაგრა | 6 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9000 |
| ევრო | 2.3146 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4567 |
| რუბლი | 0.0664 |

## ვინ ხეირობს და ვინ ზარალდება ლარის კურსის გამყარებით?

თამარ ხორბალაძე

*ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური კითხვა, რომელიც დღეს ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს აწუხებს, დაკავშირებულია ბოლო კვირის განმავლობაში ლართან მიმართებაში განვითარებულ მოვლენებთან. მიუხედავად იმისა, რომ ლარის კურსის გამყარება, წესით, დადებითი პროცესია და უარყოფით გავლენას ქვეყნის ექსპორტზე და ეკონომიკაზე მხოლოდ ხანგრძლივ პერსპექტივაში ახდენს, ამ პროცესმა, ეროვნული ბანკისა და ქვეყნის ხელისუფლების მტკიცების საპირისპიროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე უკვე უარყოფითად იმოქმედა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## თარგმანებაში დაკარგულები

დავით ზურაბიშვილი

*იმ პოლიტიკურ მითებსა და ლეგენდებზე, რომლებიც უხვად იშვნენ ამ ბოლო ათწლეულში, დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ის ერთი სხვა არის მაინც: შედარებით ახალშობილი, მაგრამ გოლიათურ მასშტაბებში გადაზრდილი, ლამის ყოვლისშემძლეობის იმიჯშეძენილი და რეალურად ყოვლისმომცველი, წმინდა პოლიტიკურ სივრცეში, რაღა თქმა უნდა.*

ლაპარაკია ე. წ. "პიარზე," უფრო ზუსტად იმაზე, რასაც ჩვენთან "პიარს" ეძახიან. ქართულ "პიარს" პრაქტიკულად არაფერი აქვს საერთო ინგლისურ Public Relation-თან, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობას გულისხმობს. ამა სიტყვისა წარმომთქმელთაგან ცოტამ თუ იცის, რომ ეს აბრევიატურაა (ინგლისურად PR, გამოითქმის "პიარ."). ქართული "პიარი" მხოლოდ ისაა, რასაც საბჭოთა კავშირში პროპაგანდას უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ქართველ პოლიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ სიტყვას მხოლოდ პროპაგანდის მნიშვნელობით ხმარობს. ქართულ ენაში ეს უცხოური წარმომავლობის სიტყვა ისე გაჯდა, რომ უკვე ნაირგვარ ვარიანტში ტრიალებს - "გააპიარეს," "პიარი ააგორეს' და ა. შ. აღარაფერს ვამბობ ყბადაღებულ "შავ პიარზე", რომელიც ლამის "შავი მაგიის" პოლიტსინონიმად

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბონდო შალიკიანი სასამართლოზე ცუდად გახდა

ბონდო შალიკიანი რამდენიმე დღის წინ საკუთარ სახლში დააკავეს. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოჩენილი იარაღის საფუძველზე ბრალი დასდეს ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შენახვაში.

ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე შალიკიანის დაკავებას უკანონოდ მიიჩნევს და ცესკო-ს გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს. ადვოკატის განცხადებით, იგი ცესკო-ს მიერ შალიკიანისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს, რადგან შალიკიანისთვის დანაშაულზე არ წაუსწრიათ და პროკურატურას ცესკო-სგან იმუნიტეტის მოხსნის დამადასტურებელი ნებართვა შალიკიანის დაკავებამდე უნდა მიეღო. ვახტანგ თალაკვაძის განმარტებით, მისი ბინის გაჩხრეკა და

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ოფიციოზი | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5-B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## განცხადება

გავდივართ ე. წ. საქართველოს მწერალთა კავშირის შემადგენლობიდან. ვფიქრობთ, კომენტარი არ არის საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია.

**ლია სტურუა, ტარიელ ჭანტურია, გივი ალხაზიშვილი**

## ასლან აბაშიძის კომენტარი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე "გამოწვევად" და "სახიფათო თამაშად" აფასებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების შესახებ საუბარს. "ვინმეს თუ უნდა, კვლავ გააჩაღოს სამოქალაქო ომი საქართველოში, აჭარის მეთაური ამის საბაბს არ მისცემს და არც აძლევს", - განაცხადა აჭარის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში აბაშიძემ. მისივე თქმით, აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების შესახებ საუბარი "ძალზედ თამამი განცხადებაა, მაგრამ სურვილი არ ნიშნავს იმას, რომ ცენტრი ამას გააკეთებს". "უშიშროების სამინისტრო აჭარის კონსტიტუციითაა განსაზღვრული, აჭარის პარლამენტი ქმნის და აუქმებს იმ უწყებებს, რომელიც მას სჭირდება", – განაცხადა ასლან აბაშიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

## ბონდო შალიკიანი სასამართლოზე ცუდად გახდა

პირველი გვერდიდან

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე, საარჩევნო კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, შალიკიანის სახლში სპეცჯგუფის უსანქციოდ შესვლა და ჩხრეკის ჩატარება იმ მოტივით განხორციელდა, რომ არსებობდა ინფორმაცია 5 მარტს ქუთაისში, სპეცოპერაციის დროს გაქცეული ორი ბოროტმოქმედის შალიკიანის სახლში დამალვის თაობაზე. თუმცა, სპეცრაზმელებმა სახლში, ძებნილი კრიმინალების ნაცვლად, იარაღს მიაგნეს და როგორც გენერალური პროკურორი აცხადებს, დეპუტატი "დანაშაულზე წასწრების" მომენტში დააკავეს. კანონმდებლობის შესაბამისად, შალიკიანისთვის წაყენებული ბრალდება სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ბრალდებული ამჟამად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და დღეს მას ორთაჭალის საპყრობილეში გადაიყვანენ.

გუშინ, ტყიბულის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატის ბონდო შალიკიანის 300-მდე მხარდამჭერი შეიკრიბა, აქციის მონაწილეები თვლიან, რომ შალიკიანი უდანაშაულოა, პროტესტს უცხადებენ ახლანდელ მთავრობას და 28 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლით იმუქრებიან.

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში გაიმართა პროცესი, რომელსაც შალიკიანისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება უნდა განეხილა. პროცესის მსვლელობისას შალიკიანი შეუძლოდ შეიქნა, მაგრამ მოსამართლემ უარყო სასწრაფოს გამოძახება. სასწრაფო ადვოკატმა გამოიძახა, რამაც სხდომის გადადება გამოიწვია. პროცესის გადადებამდე კი, ადვოკატმა მოსამართლის აცილების საკითხი დააყენა.

*24 საათი*

## ენგურჰესის "ევრორემონტი" აღარ შეფერხდება

5 მარტს მოსკოვში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი გადაწყდა. როგორც თავად აცხადებს, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მოსკოვიდან ენგურჰესის "ევრორემონტის" პროექტის დაფინანსების თაობაზე ევრობანკის მყარი გარანტიები ჩამოიტანა.

თუმცა, არის ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლეც: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, შესაძლოა, რუსულ კომპანია "ტექნოპრომექსპორტს" "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის უფლება ჩამოართვას. ეს საკითხი ორიოდე დღეში გაირკვევა და იმაზეა დამოკიდებული, მოახერხებს თუ არა ამ ვადაში "ტექნოპრომექსპორტი" ბანკისათვის საკუთარი ფინანსური გარანტიების წარმოდგენას.

სხვათა შორის, "ტექნოპრომექსპორტი" ამ სამუშაოების შესრულების სურვილს ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში გამოთქვამდა, როდესაც ენგურჰესის რეაბილიტაციისათვის ევრობანკის მიერ გამოყოფილი თანხის ათვისებისათვის ტენდერი იყო გამოცხადებული.

მაშინ ეს ტენდერი გერმანულმა "დე-ეს-დე"-მ მოიგო. მას სამუშაოები ასევე გერმანულ "კიოლერთან" ერთად უნდა შეესრულებინა, თუმცა საბოლოოდ, "კიოლერმა" სამუშაოებზე უარი განაცხადა და ასპარეზი "ტექნოპრომექსპორტს" დარჩა.

იმ შემთხვევაში, თუ ახლა "ტექნოპრომექსპორტი" პირობას დაარღვევს და დოკუმენტაციის წარმოდგენას დააგვიანებს, გამორიცხული არ არის, რომ სამუშაოს შემსრულებელი თავად ევრობანკმა აირჩიოს. საქმე ისაა, რომ სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადადება საქართველოს ენერგეტიკას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ამიტომაც, ბანკი ცაიტნოტშია და მას ამ სამუშაოებისათვის ტენდერის ჩასატარებლად დრო არ რჩება. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, ბანკმა ეს სამუშაოები გერმანულ "ფოიტ-სიმენსს" მიანდოს, რომელიც სადგურის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სხვა – ელექტრომექანიკურ ნაწილს ასრულებს.

თუმცა, რემონტი მაინც გვიანდება. წინასწარი ინფორმაციით, სადგური დაგეგმილზე გვიან გაჩერდება, თუმცა - როდის, ეს ჯერ ვერ დაკონკრეტდა.

"თუ რეაბილიტაციის მენეჯმენტს რუსული "ტექნოპრომექსპორტი" განახორციელებს, ის სამუშაოებს ქართულ კომპანიებს შეუკვეთავს," - იმედოვნებს სადგურის რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორი ირაკლი სულაბერიძე.

*მაია ურუშაძე*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკ "ედპ-ტრადიციონალისტის" ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე უარყოფითად აფასებს ხელისუფლების ინიციატივას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უშიშროების სამინისტროს სტრუქტურის გაუქმების შესახებ, და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას რეგიონებთან ურთიერთობების მოწესრიგების გეგმა არ გააჩნია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისათვის აჭარაში ამომრჩეველთა მხოლოდ ხელნაწერი სიები იქნება. ჭიაბერაშვილის თქმით, აჭარაში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით, ძალიან რთული ვითარებაა შექმნილი. ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა სიების ის ვარიანტი, რომელიც 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შედგა, ცესკო-მ მხოლოდ მიმდინარე კვირას მიიღო, ამიტომ ცესკო-მ სიის კორექტირება ვერ მოასწრო და ნაბეჭდი სიები ვერ შედგა. **ინტერ-პრესი**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადება

## ამომრჩეველთა სიების ფორმირებასთან დაკავშირებით

2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ამომრჩეველთა სიების ფორმირება მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის პრინციპის საფუძველზე განეხორციელებინა. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების კენჭისყრის დღემ ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის გარეშე ჩაიარა.

2004 წლის 4 იანვრის შემდგომ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე სერიოზული ამოცანა იდგა: 2004 წლის 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებამდე ამომრჩეველთა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ფორმირებული ხელნაწერი სიების ნაბეჭდი სახით მომზადება.

ამომრჩეველთა ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამისა და ეუთო-ს ფინანსური დახმარებით, 2004 წლის 28 იანვარს დაიწყო.

ამ დროისათვის ბაზაში 2,153,112 მონაცემი შევიდა, თუმცა ჯერ კიდევ გრძელდება მუშაობა N22 მარნეულის, N40 ახალქალაქის, N79 ბათუმის, N80 ქედის, N81 ქობულეთის, N83 ხელვაჩაურის და N84 ხულოს საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა სიებზე. მარნეულისა და ახალქალაქის ოლქების ამომრჩეველთა სიებზე მუშაობის პროცესი გართულდა იმის გამო, რომ ამ ოლქებში სიების ნაწილი შესაბამისად აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა შედგენილი.

რაც შეეხება N79 ბათუმის, N80 ქედის, N81 ქობულეთის, N83 ხელვაჩაურის და N84 ხულოს საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა სიებს, ამ ოლქებში 2004 წლის 4 იანვარს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მონაცემები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მხოლოდ გასულ კვირაში მიიღო. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სიები N82 შუახევის საარჩევნო ოლქიდან ჯერაც არ მიუღია.

ამომრჩეველთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანილი მონაცემები საარჩევნო უბნების მიხედვით ამოიბეჭდა, გაიარა კორექტურა და რედაქტირება და შემდგომ, უკვე შესწორებული სახით, კვლავ ამოიბეჭდა უბნებზე გასაკრავად. ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიების ნაწილის კორექტურა განხორციელდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპიუტერულ ცენტრში, ხოლო ნაწილისა - ადგილებზე, საოლქო და საუბნო კომისიების წევრების მიერ.

2004 წლის 5-6 მარტს საოლქო საარჩევნო კომისიებს, გარდა ზემოაღნიშნული 8 ოლქისა, დაურიგდათ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ნაბეჭდი სიები, რომლებიც განკუთვნილია საჯარო გაცნობისათვის და მასში დაზუსტებებისა და ცვლილებების შესატანად.

8-დან 21 მარტამდე საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს შეუძლია, გადაამოწმოს საკუთარი თავი სიაში და, მონაცემებში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, მოითხოვოს მასში უზუსტობის გამოსწორება, რასაც საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი წევრი მოახდენს კიდეც. თუ ამომრჩეველი სიაში არაა (ასეთი იქნება ამომრჩეველთა ის ნაწილი, ვისაც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, 2003 წლის 15-27 დეკემბერს ან 2004 წლის 4 იანვარს საარჩევნო რეგისტრაცია არ გაუვლია), იგი შეიძლება დაემატოს სიას ასევე საკუთარი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიესალმება ამომრჩევლების, საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების ძალისხმევას, 2004 წლის 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო სრულყოფილი და დაზუსტებული სიებით ჩატარდეს. ამ საკითხში ცენტრალური საარჩევნო კომისია თანადგომას ელის და არა მხოლოდ კრიტიკას.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მინდა განვაცხადო, რომ ამომრჩეველთა სიების ნაბეჭდი ვერსიის მომზადებაში 1000-ზე მეტი ადამიანის დაუღალავი შრომა და საერთაშორისო ორგანიზაციების სერიოზული ფინანსური დახმარება ჩაიდო.

მზად ვართ მივიღოთ შენიშვნები, რომლებიც დამყარებული იქნება სიებში არსებული უზუსტობების რეალურ ფაქტებზე. ამასთან, საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ვთხოვდით, რომ თუ რაიმე სისტემურ პრობლემას ხედავთ, იგი, პირველ რიგში, გადაამოწმოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. სხვაგვარად, ჩვენ შეიძლება მივიღოთ გაზვიადებული აჟიოტაჟი ამომრჩეველთა სიების ირგვლივ, რაც ნამდვილად არ შეუწყობს ხელს საარჩევნო პროცესის მშვიდ ვითარებაში წარმართვას.

***ზურაბ ჭიაბერაშვილი***
*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე*
***8 მარტი, თბილისი***

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

### განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მის.: თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, საფოსტო ინდექსი 0104) აცხადებს კონკურსს ქვემოთ მითითებული პროდუქციის შესასყიდად და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა**

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქაღალდზე, შემოთავაზებული დამცავი ნიშნით, რომლის დაკვეთის უფლება აქვს მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პოლიგრაფიულ საწარმოს უნდა გააჩნდეს უფლება მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტების ბეჭვდაზე. მოწოდებული უნდა იქნეს 3,300,000 ცალი ბიულეტენი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ა. ცნობები, რომ არ ხორციელდება ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; ბ. ცნობა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე; გ. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;) და საკონკურსო წინადადება შესაბამისი ფორმით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა/წ 10 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 29, მე-3 სართული, ოთახი № 328; საკონტაქტო პირები – ტარიელ ხიზანეიშვილი, გიორგი დათუნაშვილი (ტელ./ფაქსი: 98 70 05).

**დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისაგან.**

## საქართველოს პირველი გმირის წოდება ჟიული შარტავას მიენიჭება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ზურაბ ჟვანია, რამაზ ხუროძე და მიხეილ სააკაშვილი ჟიული შარტავას 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე.*

მიხეილ სააკაშვილი აღიარებს, რომ კომკავშირისადმი ყოველთვის რთული დამოკიდებულება ჰქონდა. მიაჩნდა - ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა მხოლოდ იმიტომ ვერ გაიკეთა კარიერა, რომ კომკავშირის წევრი არ იყო. მაშინ, როცა კომკავშირი სავსე იყო ნაძირალებით. იმ გამონაკლისებს შორის კი, რომლებიც ყველგან და ყოველთვის არსებობენ, იგი ჟიული შარტავას მიიჩნევდა. სააკაშვილმა, რომელიც აფხაზეთში დაღუპული გმირის თანამემამულეობით ამაყობს (დედის მხრიდან, ერთი კუთხიდან - სენაკიდან ვართო), თავის დროზე მას თავისი წიგნი "გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის" მიუძღვნა, მიუხედავად იმისა, რომ შარტავას პირადად არ იცნობდა. ეს განცხადება ქვეყნის მეთაურმა გუშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჟიული შარტავას დაბადებიდან სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გააკეთა. ღონისძიებას ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. ჟიული შარტავა სწორედ "გპი-ის" კურსდამთავრებული იყო. ამიტომაც, ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტს გუშინ შარტავას სახელი დაერქვა. მაგრამ, ეს არ არის ყველაფერი, რის გაკეთებასაც პრეზიდენტი უახლოეს მომავალში აპირებს. საქმე მხოლოდ ჟიული შარტავას პერსონაში როდია. ეროვნული გმირისათვის კუთვნილი პატივის მიგებით, სააკაშვილს **"რეალური სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნა აქვს გადაწყვეტილი და არა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილის".**

პარლამენტში, პრეზიდენტის ინიციატივით, მალე ახალი კანონპროექტი შევა - ეროვნული გმირის წოდების დაწესების შესახებ, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე მხოლოდ დიდი დამსახურების მქონე ადამიანები მიიღებენ, პირველი კი ჟიული შარტავა იქნება. გარდა ამისა, სააკაშვილი განათლების მინისტრ კახა ლომაიასაც აძლევს დავალებას. **"ათი დღის ვადაში ყველა სკოლაში შეიქმნას ეროვნულ გმირის - ჟიული შარტავას კუთხე. ჩვენ ჩვენი სახელმწიფოსა და ეროვნული გმირების დაფასება უნდა ვისწავლოთ... ჟიული შარტავა დამოუკიდებელი საქართველოს შესანიშნავი პრეზიდენტი იქნებოდა,"** – მიაჩნია სააკაშვილს. ქვეყნის მეთაურს, მოზარდ თაობაში ეროვნული სულისკვეთების გასაღვივებლად, სხვა ღონისძიებებიც აქვს მოფიქრებული: **"მივიღეთ გადაწყვეტილება და ამის შესახებ განათლების მინისტრის დადგენილება უკვე არის, რომ საქართველოს ყველა სკოლაში ყოველ დილას შესრულებული იქნას საქართველოს ჰიმნი და აღიმართოს საქართველოს დროშა, რომ ბავშვებს ესმოდეთ, რა არის მათი ქვეყანა, ესმოდეთ, რა არის მათი დროშა! ესმოდეთ, რა არის მათი ჰიმნი და იცოდნენ ის ზეპირად!"**

ქვეყნის დროშის აღმართვის საპატიო უფლება წარჩინებულ მოსწავლეებს უნდა მიენიჭოთ, ჰიმნის ტექსტი კი ყველა მოსწავლემ ზეპირად უნდა იცოდეს. პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ჟიული შარტავას დაწყებულ საქმეს გააგრძელებს და აფხაზეთს დააბრუნებს. ამისათვის ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო. თავდაპირველად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კორუფციის აღკვეთა. **"იმისათვის, რომ აფხაზეთის რეალურად დაბრუნებაზე დავიწყოთ ლაპარაკი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 4-5 მილიონი ლარი უნდა გახდეს,"** - მიიჩნევს პრეზიდენტი. წესრიგის დამყარებას კი სააკაშვილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აპირებს. აფხაზეთის დასაბრუნებელი გზა ცხინვალის კონტრაბანდის აღკვეთაზე გადის და ფსოუზე მიმავალ გზაზე მას **"ფეოდალ-გამგებლები არ უნდა ებლანდებოდნენ".**

*ლელა მჭედლიძე*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** 28 მარტის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია ორშაბათს დაიწყება და 21 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. დარეგისტრირდებიან მხოლოდ ის ამომრჩევლები, რომელთაც აღნიშნული პროცედურა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არ გაუვლიათ. ამასთან, ორშაბათსვე დაიწყება საარჩევნო უბნებზე უკვე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიების გამოკვრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტია" უახლოეს ორ დღეში, საკუთარი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას გამართავს. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, პროგრამის პრიორიტეტული თემაა საქართველოს საშინაო პოლიტიკა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აღორძინების კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი გოჩა პაიჭაძე მიიჩნევს, რომ ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ცემა აჭარაში იმ ძალების მიერაა მოწყობილი, რომლებსაც "თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობების არევა სურთ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული ოპოზიცია – ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე "დროულ" და "საჭირო" გადაწყვეტილებას უწოდებს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ქობულეთის რაიონის გამგებლის, 20 თებერვალს ბათუმში, ოპოზიციის დემონსტრაციების დარბევის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ტარიელ ხალვაშის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის წევრი გურამ შარაძე აჭარაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას "სავარძლების ხელში ჩასაგდებად, აჭარისადმი გამოცხადებულ ღია ომს" უწოდებს. მისი თქმით, "კმარელების" შესაჩერებლად ჩოლოქზე პირადად დადგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატად არჩეული ბონდო შალიკიანისთვის ცესკო-ს მიერ იმუნიტეტის მოხსნას და მისთვის თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას კონსტიტუციის დარღვევად მიიჩნევს პარლამენტარი ვალერი გელბახიანი, რომლის თქმითაც, შალიკიანისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნით ცესკო პარლამენტის ფუნქციაში შეიჭრა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრი, დეპუტატი ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელისუფლების დაკვეთით მუშაობს და კანონს ხშირად არღვევს. ამის მიუხედავად, თევდორაძე არ აპირებს სახელისუფლებო პარტიის დატოვებას და აცხადებს, რომ მისი კრიტიკა ამავე ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობით არის ნაკარნახევი. **მედია-ნიუსი**


**საქართველოს ეროვნული ბანკის**

## განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისია აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული ბანკის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

იურიდიული სამმართველოს სასარჩელო-საპრეტენზიო და სახელშეკრულებო მუშაობის განყოფილების წამყვანი იურისტი – 1 საშტატო ერთეული.

თანამდებობრივი თვიური სარგო – 700 ლარი

**იურისტის საკვალიფიკაციო სავალდებულო მოთხოვნები:**

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;
- სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების გამოცდილება / არანაკლებ 20 საქმისა, წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებანი/;
- კომპიუტერული პროგრამების /WORD, კოდექსის, Internet Explorer Outlook/ ცოდნა;
- სასურველია რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნა და ინგლისური ენის ფლობა /შესაბამისი სერთიფიკატი/.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე და ბ) მოკლე წერილი (არაუმეტეს 2 გვერდისა), სადაც აღწერილი იქნება ინტერესთა სფერო, აგრეთვე ის მიღწევები, რომლებიც არ ფიგურირებს ავტობიოგრაფიაში.

დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ვაკანსიის გამოცხადების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

**დოკუმენტაციის ჩაბარების მისამართი:**
საქართველოს ეროვნული ბანკის
საკონკურსო-საატესტაციო კომისია
საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის ქ. 3/5
თბილისი, 380005, საქართველო

**საკონტაქტო პირი:** ირაკლი დოლიძე

**ტელ: (99532) 442-171**
**ელ. ფოსტა: idolidze@nbg.gov.ge**

**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

2004 წლის 10 მარტს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3, 5000, 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 9 მარტს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 10 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ედპე-ტრადიციონალისტები" აბობოქრდნენ

პირველი გვერდიდან

მაგალითად, ჯერჯერობით, "ედპ-ტრადიციონალისტების" წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელით და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოთქმული მუქარით შემოიფარგლება. ისინი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს მეორე რევოლუციით ემუქრებიან, ცესკო-ს კი იმ ვაკანტური ადგილისათვის ედავებიან, რომელიც "ახლებისა" და "მრეწველების" შერწყმის საფუძველზე გამოთავისუფლდა და რომელიც დაუყოვნებლივ დაიკავა "სპორტული საქართველოს" წარმომადგენელმა, ანუ იმ პარტიამ, რომელთანაც ბლოკში გამოდიოდნენ "მრეწველები" ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს.

ამავე დროს, "ედპ-ტრადიციონალისტები" არც "ახალი მემარჯვენეების" წინააღმდეგ იშურებენ "თბილ სიტყვებს". აგრესია მას მერე გამწვავდა, რაც ორი დღის წინ დავით გამყრელიძემ, საკუთარი ბლოკის სახელით, პირველად გამოთქვა საჯარო თანხმობა საარჩევნო ადმინისტრაციებში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ "ბოძებული" ვაკანსიის "ათვისების" თაობაზე.





*დაპირისპირებული მემარჯვენე ოპოზიცია ერთმანეთს ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში ადანაშაულებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

შეგახსენებთ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის განცხადებას. მისი თქმით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ განცხადებით კეთილი ნება გამოიჩინა და გაუგებარია, რატომ ამბობს ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს ამ შეთავაზებაზე და რატომ უშვებს შანსს ხელიდან. "მემარჯვენე ოპოზიციას მიაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა საკანონმდებლო ცვლილებების გზით უნდა მოგვარებულიყო, თუმცა, რადგან ეს ვერ მოხერხდა, ოპოზიციამ კუთვნილ კვოტებზე უარი არ უნდა თქვას და ამ კვოტების ათვისებით, საარჩევნო ადმინისტრაციებში არსებული ბალანსი დაარღვიოს.

ამ განცხადებას დაუყოვნებლივ ეხმაურებიან "ედპ-ტრადიციონალისტები". ისინი "ახლებსა" და "მრეწველებს" პრეზიდენტთან ფარულ გარიგებაში ადანაშაულებენ. მეტიც – ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ისინი ხელისუფლებას "დემოკრატიულ იმიჯს უნარჩუნებენ".

"ედპ-ტრადიციონალისტების" მეორე ლიდერის ირაკლი მელაშვილის მტკიცებით, ხელისუფლების ამ შეთავაზების მიღებით "ახლებმა" და "მრეწველებმა" ოპოზიციას "ზურგში ლახვარი ჩასცეს" და უკანასკნელი წლის მანძილზე მეორედ ცდილობენ, "ხელისუფლებასთან გარიგებით პოლიტიკურ სპექტრში "ტროას ცხენის" როლი შეასრულონ. "ტრადიციონალისტი" გუბაზ სანიკიძე კი უფრო შორს მიდის - "ახლებისა" და "მრეწველების" მიერ გამოთქმულ თანხმობას "ქურდობად" აფასებს და იქვე იმუქრება, რომ "ყველა სახის ქურდობა მძიმე შედეგებით მთავრდება".

გუშინ კი საოლქო სასამართლოს მიერ "ედპ-ტრადიციონალისტების" სარჩელზე უარის თქმამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. მართალია, საოლქომ პარტიულ ბლოკს განაჩენის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება მისცა, მაგრამ, ამის მიუხედავად, პოლიტიკოსთა უკმაყოფილება ვერ შეარბილა.

ამავე დროს, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ბლოკის ლიდერები საკმაოდ ინტენსიურად ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ფარულ შეხვედრებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ჟვანია-სააკაშვილის გუნდისგან არჩევნების დღეს მცირეოდენ ხელის წაკვრას ანუ დახმარებას ელოდნენ (სწორედ ეს მისცემდა მათ ბარიერის გადალახვის საშუალებას), მაგრამ, მათი აზრით, ხელისუფლებამ პარლამენტში "მრეწველებთან" და "ახლებთან" ერთად არჩია შესვლა.

"გადაგდებული" "ეროვნულ-დემოკრატები" და "ტრადიციონალისტები" კი უკან დახევას არ აპირებენ. "თუ ომი უნდათ, მიიღებენ ამ ომს", – ასეთი მკვეთრი განცხადება გააკეთეს ბლოკის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას.

*მოულოდნელი რაკურსი*

# თარგმანებაში დაკარგულები

პირველი გვერდიდან

იქცა, არადა "შავი პიარის" ცნება ინგლისურ ენაში საერთოდ არ არსებობს და იგი მხოლოდ რუსული "ოჩერნიტელნაია პროპაგანდას" თანამედროვე კალკია.

ამაში თავისთავად არაფერი კატასტროფული არ არის. ეს პატარა გაუგებრობა შეიძლებოდა მხოლოდ მავანთა განათლების დეფიციტისთვის მიგვეწერა, რომ არა ის მნიშვნელობა, რასაც ამ მაგიურ სიტყვას ქართველი პოლიტიკოსები ანიჭებენ.

**ქართული პიარი მარტო პროპაგანდა არ არის, არამედ ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკური აქტივობის ლამის ერთადერთი საზომი, ანუ ეს არის პოლიტიკური აქტივობის არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც.** ვინც ქართულ პოლიტელიტას იცნობს, ადვილად შეამჩნევდა, რომ ისინი (ქართველი პოლიტიკოსები) გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ როგორ გადაიცემა მათი ნებისმიერი აქტივობა, ვთქვათ, "რუსთავი 2"-ით, ვიდრე აქტივობის თავისთავად ღირებულებას. უფრო მეტიც, აქტივობის თავისთავადი ღირებულება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. აქტივობა ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი სათანადოდ შუქდება. ამ კონტექსტში "პიარ-პროპაგანდა" მთლიანად დაიყვანება წამყვანი ტელეარხების გადაცემებზე. რაც შეეხება მათ, ვისაც ქართულ პოლიტიკოსებთან ნაკლები შეხება აქვთ, თუ ზემოთქმულს გაითვალისწინებენ, ბევრი რამ, რაც ალოგიკური და აუხსნელი ეჩვენებათ, დღესავით ნათელი გახდება.

მსგავსი რამ დასავლელი პოლიტტექნოლოგებისთვის, (წაიკითხე: "პიარშჩიკებისთვის") ალბათ, ცოტა გაუგებარი იქნებოდა, მაგრამ ეს არაფერი. მთავარი სხვაა. არავინ უარყოფს პროპაგანდის მნიშვნელობას პოლიტიკაში. ეს, უბრალოდ, სიბრიყვე იქნებოდა. არც ისაა მესამეხარისხოვანი, თუ როგორ აისახება მასმედიაში პოლიტიკური ძალის ან კონკრეტული პოლიტიკოსის საქმიანობა, მაგრამ შეუძლებელია პოლიტიკის მხოლოდ ამ პარამეტრებზე დაყვანა. პროპაგანდა ერთგვარი თარგმანებაა, როცა შენს საქმიანობას ხალხის გასაგებ ენაზე და მათთვის მისაწვდომი ფორმებით გადმოსცემ. ეს არის და ეს. პროპაგანდა ("პიარი") ვერ ცვლის რეალობას. მას შეუძლია მხოლოდ ოდნავ შეალამაზოს და გაამუქოს ეს რეალობა, მეტი არაფერი. ისიც დროებით.

ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული "პიარ-პოლიტიკის" პრაქტიკა საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა ახალი ხელისუფლებისთვის. მთავარი საფრთხე ინერციის ძალაა. დღევანდელი ხელისუფლება გუშინდელი ოპოზიციაა. ოპოზიციას კი ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ის ვერ იქნება პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც ხელისუფლების პოლიტიკას მოაქვს. ამიტომ პროპაგანდის როლი ოპოზიციის საქმიანობაში გაცილებით მნიშვნელოვანია. შევარდნაძის მმართველობისას, პოლიტიკური ოპოზიციისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად რეალური აქტივობა, არამედ ის, თუ როგორ მიეწოდებოდა ეს აქტივობები საზოგადოებას, ამ კონტექსტში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ გაშუქდებოდა მათი საქმიანობა წამყვანი ტელეარხებით. ოღონდ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ოპოზიციის სული ტელეეთერში იყო მოთავსებული, როგორც უკვდავი კოშჩეის სიცოცხლე კვერცხში. სხვათა შორის, მაშინდელ ხელისუფლებას ზუსტად ასე ეგონა. შევარდნაძე ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ საქმე არც ისე ცუდად მიდიოდა და მხოლოდ "რუსთავი 2 - დეზინფორმატ 2" ამღვრევდა წყალს. იმიტომაც წავიდა მისი საქმე კარგად...

თუმცა, არც ოპოზიციის შემთხვევაში უნდა შევაფასოთ მასმედიის მნიშვნელობა მაინცადამაინც გადაჭარბებულად. მილოშევიჩის იუგოსლავიაში ოპოზიციას ტელეეთერი საერთოდ არ ჰქონდა. შორს რომ არ წავიდეთ, გამსახურდიას პერიოდის გახსენებაც საკმარისია. მაშინ ხელისუფლება ტელეეთერს მთლიანად აკონტროლებდა, მიუხედავად ამისა, თუკი 87 პროცენტით არჩეულ პრეზიდენტს თავიდან, პრაქტიკულად, არ ჰყავდა სერიოზული ოპოზიცია, სულ რამდენიმე თვეში მისი მოწინააღმდეგეების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ხელისუფლების შემთხვევაში კი "პიარ-პროპაგანდას" გაცილებით ნაკლები ეფექტი აქვს. გართულება "პიარზე" ყველა ხელისუფლებას ძვირი დაუჯდება. ოპოზიციისგან განსხვავებით, ხალხი ხელისუფლებას კონკრეტული შედეგებით აფასებს და არა იმით, თუ ტელეეთერში რას მოუთარგმნიან. ხელისუფლების მთავარი იარაღი საქმეა და არა სიტყვა... აქ პრინციპულად შეუძლებელია მარცხის შენიღბვა პროპაგანდისტული ტრიუკებით. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც ტელევიზიის გარეშეც ყველა ერთმანეთს იცნობს.

თუმცა, შეჩვეულის გადაჩვევა ძნელია და ახალ ხელისუფლებასაც, ბუნებრივია, უჭირს მმართველი ძალის სტატუსის გაცნობიერება. აქედანაა ტიპურ-ქართული "პიარ-აქტივობების" საფრთხე, როდესაც რეალური საქმეების ნაცვლად ხელისუფლება, შესაძლოა, მისი სატელევიზიო პიარ-სუროგატებით დაკმაყოფილდეს. ამის სიმპტომები უკვე არის, თუნდაც ე. წ. ტელედაპატიმრებების სახით. ჯერჯერობით ეს მხოლოდ სიმპტომებია და სხვა არაფერი. მთავარია, სიმპტომი ტენდენციად არ იქცეს. ამ შემთხვევაში ხელისუფლება, როგორც აღმოსავლეთში იტყვიან, "სახეს დაკარგავს", აქედან გამომდინარე მძიმე შედეგებით. არადა, მოსახლეობა ახალი ხელისუფლებისგან ძალიან ბევრ რამეს მოელის, თანაც მოკლე ხანში. მოელის რეალურს, კონკრეტულს; იგი მოელის სამკურნალო წამალს და არა ნარკოტიკს. "პიარ-პროპაგანდას" კი მხოლოდ ხანმოკლე ნარკოტიკული ეფექტი აქვს, ისიც - საუკეთესო შემთხვევაში.

# სამართალდამცველებს ბონდო შალიკიანის მამხილებელი ბევრი ფაქტი მოეპოვებათ

პირველი გვერდიდან

ბონდო შალიკიანი ორი, მეტად ცნობილი ავტორიტეტის: აწ გარდაცვლილი "გიჟუას" (ელგუჯა კუბლაშვილი) ნათესავი და ტარიელ ონიანის ბავშვის ნათლიაა. როგორც საქმეში გათვითცნობიერებული პირები აცხადებენ, შალიკიანმა ქონების დიდი ნაწილი სწორედ მათთან მჭიდრო კავშირის დახმარებით დააგროვა. ერთ-ერთი ინფორმაციით, მან ნავთობის ბიზნესი "გიჟუასთან" ერთად, რუსეთის სამხედრო ბაზაზე დატოვებული საწვავის მარაგის რეალიზაციით დაიწყო. "კანონიერმა ქურდმა" მოგებული თანხა ისევ კრიმინალურ ქმედებებს მოახმარა, ხოლო შალიკიანმა კი კერძო ბიზნესიააწყო და, მოგვიანებით, საწვავის მაშინდელი მსხვილი იმპორტიორის ნუგზარ შევარდნაძის პარტნიორიც გახდა. მიუხედავად ამისა, შალიკიანის გვარი პერიოდულად სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებებში მაინც ფიქსირდებოდა.

1993 წელს, ზესტაფონის ნავთობბაზის დირექტორი თამაზ გეწაძე (მეტსახელად "წკეპო") და მთავარი ინჟინერი რამაზ ბერაძე გაიტაცეს. დამნაშავეებმა ისინი ტყეში, ხეზე ფეხებით ჩამოკიდეს, და ოჯახის წევრების სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, 50 მილიონი რუსული რუბლის გადახდა მოსთხოვეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გეწაძე მაშინდელ რწმუნებულ თემურ შაშიაშვილს შემდეგი შინაარსის წერილს სწერს. **"1993 წლის აპრილის დასაწყისში, დაახლოებით, 11 საათზე მე და ნავთობბაზის მთავარ ინჟინერს ბერაძეს, მივდიოდით რა სამსახურში, მოულოდნელად, ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით შეიარაღებული ხუთი ყაჩაღი დაგვესხა თავს (როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ისინი ეგრეთ წოდებული "რაჭას" კრიმინალური დაგჯუფების წევრები იყვნენ, რომელთა უმრავლესობაც ამჟამად ლიკვიდირებულია). მათ დაგვაბეს ტყეში, გვექცეოდნენ არაადამიანურად, რომლის აღწერაც ჩემთვის შეუძლებელია, განვიცადეთ სიკვდილის ტოლფასი განსაცდელი. ყაჩაღებმა შემოგვთავაზეს, რომ თუ მივიტანდით 50 მილიონ რუსულ რუბლს, გაგვათავისუფლებდნენ. თუ არა და, ადგილზე დაგვხვრეტდნენ. ამ დროს ნავთობბაზის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ბონდო შალიკიანი, რომელსაც თითქოს ჩვენგან მაზუთის წაღება უნდოდა."** იმერეთის საოლქო პროკურატურის ხელთ არსებული მასალებით ირკვევა, რომ გატაცების დღეს შალიკიანი ზესტაფონის ნავთობბაზის ხელმძღვანელობას სოფელ სვირის გადასახვევთან შეხვდა და მათგან მაზუთის შეძენის სურვილი გამოხატა. ნავთობბაზის ხელმძღვანელობამ მას თანხმობა განუცხადა და ბაზაში მისვლა შესთავაზა. შალიკიანმა ნავთობბაზაში მათთან ერთად წასვლა რატომღაც არ ისურვა. გეწაძის და ბერაძის ავტომობილს საკუთარი მანქანით გადაასწრო და ბაზის მიმართულებით დიდი სიჩქარით წავიდა. როგორც ირკვევა, მან ნავთობბაზის ხელმძღვანელობის მოლოდინში იქ ერთი საათი დაჰყო. **"ყაჩაღებმა ტყიდან, დაახლოებით, 5 საათზე გაგვათავისუფლეს, იმ მოტივით, რომ 2-3 დღეში ფულს შევუგროვებდით,"** - განმარტავს გეწაძე. საგამოძიებო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ გათავისუფლებისთანავე მათ შალიკიანი შეხვდა და საქმეში "კანონიერი ქურდების" - "გიჟუას" (ელგუჯა კუბლაშვილი) და "კვეჟოს" (ავთანდილ ჩიხლაძე) ჩართვა შესთავაზა. შალიკიანი გატაცებულებს დაჰპირდა, რომ ქურდები "რაჭას" დაჯგუფების წევრებს იპოვიდნენ და მათთან საერთო ენას გამონახავდნენ. კიდევ ერთი ნაწყვეტი გეწაძის წერილიდან: **"გათავისუფლების შემდეგ, ჩვენთან მოვიდა ბონდო შალიკიანი და მოიყვანა ორი კაცი. როგორც გაგვაცნო, ერთი იყო "გიჟუა", მეორე კი - "კვეჟო". მათ მითხრეს, ყაჩაღები თქვენ აღარ შეგეხებიან, სამაგიეროდ, ბონდო ჩვენი ახლო მეგობარი კაცია და სამსახურში უნდა მიიღოო. მეც დავთანხმდი, რადგან მაშინ სიმართლის მიღწევასა და ადამიანთა უფლებების დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო,"** - წერს გეწაძე. მან, მართლაც, გაუფორმა შალიკიანს ერთი წლის ვადით ხელშეკრულება და სამსახურში მომმარაგებლად მიიღო. საკუთარ ჩვენებებში აღნიშნულ ფაქტს შალიაკინი სულ სხვაგვარად აღწერს: **"თამაზის და რამაზის გატაცების შესახებ ჭორის დონეზე გავიგე ზესტაფონის ნავთობბაზაში. ვისგან გავიგე, არ მახსოვს. მათი გატაცების შესახებ პოლიციაში იმიტომ არ განვაცხადე, რომ არ მჯეროდა. ხოლო როდესაც აღნიშნულში დავრწმუნდი, გატაცებულებმა თვითონაც არ განაცხადეს პოლიციაში... საქმის მოგვარებით რამაზი და თამაზი ძალიან გახარებულები დარჩნენ... თამაზ გეწაძემ გიჟუას ჩემზე მიუთითა: ეს კაცი მე მაჩუქე, კარგ საქმიან კაცად გავზრდი, ზდრილობიანი ბიჭია და ძალიან მომწონსო..."**

საქმის მასალების მიხედვით კი ირკვევა, რომ "გიჟუამ" თამაზ გეწაძე, მოგვიანებით, ზესტაფონელ კანონიერ ქურდთან პაშა სტრაჟნიკოვთან დაიბარა და შალიაკინის სამუშაოზე მოწყობა მოსთხოვა. 1993 წლის 2 ივნისს შალიაკინი ნავთობბაზაში სამუშაოდ მიიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საკუთარი ვერსია გააჩნია იმერეთის ოლქის პროკურატურას. **"გეწაძის და ბერაძის გატაცების შესახებ საეჭვო გარემოებებში გახდა ცნობილი ბონდო შალიკიანისთვის, რომელმაც საქმეში ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდების" ჩარევით, ისინი ფულის გადახდისგან გაათავისუფლა. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ გეწაძის და ბერაძის გატაცება სწორედ ბონდო შალიკიანის ორგანიზატორობით და ინიცირებით მოხდა, რათა შემდგომში, თავდამსხმელთაგან გამოსაძალი ფულის გადახდის სანაცვლოდ, ნავთობბაზაში შეეღწია და იქ მუშაობა დაეწყო,"** - ნათქვამია გამოძიების მასალებში.

ცნობისათვის - ბონდო შალიკიანი უკვე აქტიურად ეწეოდა საწვავით ვაჭრობას და ზესტაფონის ნავთობბაზის საცავებით სარგებლობა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. ცოტა ხანში კი მომმარაგებლად გაფორმებული ბონდო შალიკიანი ზესტაფონის ნავთობბაზის ფაქტობრივი მფლობელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, შალიკიანი სამსახურიდან დაითხოვეს, იგი ნავთობბაზის რეზერვუარებში საკუთარ საწვავს ასხამდა და რეალიზაციას უკეთებდა. შემდეგ კი, თავის ბიძაშვილებთან ერთად ბაზის მთლიანად კონტროლქვეშ მოქცევა სცადა. **"მიმდინარე წლის (წელი მითითებული არ არის ბ.ს.) 14-15 სექტემბერს, ზესტაფონის ნავთობბაზის მისამართზე ფირმა "ტაბა"-დან შემოვზიდეთ სამი ათასი ტონა ბენზინი, მაგრამ ქუთაისიდან გაცოფებულები ამოვიდნენ შალიკიანის ბიძაშვილები: ტარიელ და ბაჩუკი შალიკიანები, რომლებსაც ამოყვნენ სხვა ჩვენთვის უცნობი პირები, მათ შორის, ერთი პოლკოვნიკი. ისინი მიუხტნენ ფირმის წარმომადგენლებს, რათა აღნიშნული ბენზინი ჩვენთან არ გადმოეტვირთათ. ამავე დროს, უტიფრად აცხადებდნენ, რომ ბაზის 66 პროცენტი მათი კუთვნილება იყო. მემუქრებოდნენ როგორც ტელეფონით, ასევე პირადი შეხვედრით, რომ თუკი მათ გარეშე რაიმე პროდუქტს მივიღებდი, დაქირავებული მკვლელის ხელით ისევე გაგისტუმრებთ საიქიოში, როგორც ქუთაისის ნავთობბაზის დირექტორი სიამაშვილი გავისტუმრეთო (სიამაშვილი საკუთარი სახლის ეზოში ჩაცხრილეს),"** - წერს გეწაძე.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება არაერთხელ შეჩერდა და კვლავ განახლდა. საბოლოოდ კი, საქმის გამოძიება 1997 წლამდე გაჭიანურდა. ამავე წლის 20 მაისს გამოძიების მიმდინარეობა ოლქის პროკურატურის მიერ განმეორებით იქნა შესწავლილი. მათი ყურადღება ზესტაფონის პროკურატურის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე გამახვილდა. გაიცა წერილობითი მითითებები, შესასწავლი საკითხების კონკრეტული აღნიშვნით. მიუხედავად ამისა, ზესტაფონის პროკურატურის მიერ მითითებები კვლავ არ იქნა გათვალისწინებული. მათ მიერ გამოძიება ისევ არასრულად ჩატარდა და 1997 წლის 18 ივნისს საქმე საბოლოოდ შეჩერდა. ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ზესტაფონის პროკურატურა ამ საქმის გამოძიებით, რატომღაც, დაინტერესებული არ იყო. ერთადერთი, რასაც გამოძიებამ ამ საქმიდან მიაღწია, შალიკიანის კუთვნილი ფირმა "ივერია+"-ის ფინანსური რევიზიაა. სამართალდამცავებმა შალიკიანის ფირმას გადასახადების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა დაუფიქსირეს.

"ივერია+" 1997 წლის 23 იანვარს დარეგისტრირდა. მისი დამფუძნებლები იყვნენ: ბონდო შალიკიანი, ლაშა მინდაძე (კანონიერი ქურდის მალხაზ მინდაძის ძმა) და მალხაზ ჯინჭარაძე. ფირმის დირექტორად ჯინჭარაძე დაინიშნა. გამოძიებამ მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისგან არაერთგზის თავის არიდება დაუმტკიცა. 1997-1998 წლებში ჯინჭარაძე საზღვარგარეთიდან მიღებული საწვავის რაოდენობას არასწორი კოეფიციენტების მიყენებით ხელოვნურად ამცირებდა. ამ გზით "ივერია +"-მა სახელმწიფოს 292 531 ლარი დაუმალა. რა თქმა უნდა, აღნიშნული ოპერაციების შესახებ შალიკიანი საქმის კურსში გახლდათ, თუმცა იგი ამ საქმიდანაც "მშრალი" გამოვიდა.

წლების განმავლობაში, ბონდო შალიკიანის პერსონის ირგვლივ სხვადასხვა ჭორ-მართალი დაგროვდა. კერძოდ, საუბრობდნენ იმაზეც, რომ მას, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, თითქოსდა, ადამიანიც შემოაკვდა, თუმცა დანაშაული მისმა ნათესავმა აიღო საუთარ თავზეო.

1999 წელს ბონდო შალიკიანი, "აღორძინების" მხარდაჭერით, ქუთაისის მჟორიტარად იყრიდა კენჭს. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცა ფილმი "სისხლიანი ქრონიკები", სადაც საუბარი იყო რამდენიმე მკვლელობაზე. კერძოდ, 1999 წლის იანვარში მუხნარის ტყეში იპოვეს საშინელი სისასტიკით მოკლული სიძე-ცოლისძმა: მურმან ყურაშვილი და ალეკო ახვლედიანი. ახვლედიანი შალიკიანის ფირმა "შანს-ოილში" მუშაობდა. ამბობდნენ, რომ ეს ადგილი მას დის ქმარმა, კანონიერმა ქურდმა მურმან ყურაშვილმა გაუხერხა. იმავე წელს, დეიდის სახლში თავი ჩამოიხრჩო 19 წლის თამაზ ჭაჭიაშვილმა. სიკვდილის წინ მან დატოვა ბარათი, სადაც წერდა, რომ ყურაშვილი და ახვლედიანი მან მოკლა. მაშინ ქუთაისში ბევრს საუბრობდნენ, რომ თამაზ ჭაჭიაშვილი შეძლებული ოჯახის შვილი გახლდათ და, თავის დროზე, ფულის გამოძალვის მიზნით, სწორედ აღნიშნულ პირებს ჰყავდათ გატაცებული. მისი ოჯახი აიძულეს, დიდი თანხა გადაეხადათ, აღნიშნული ფაქტიდან ორ თვეში ჭაჭიაშვილების ოჯახის უფროსი ინფარქტით გარდაიცვალა. ამბობდნენ, რომ შვილმა შური იძია. აღნიშნულ გატაცებას "გიჟუას" უკავშირებდნენ. ფილმში საუბარი იყო ასევე ფულის გამოძალვის მიზნით, ბონდო შალიკიანის ძმის, ჯონდოს გატაცების თაობაზე, რასაც ქალაქში სროლები და ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის დაცხრილვა მოჰყვა. მართალია, აღნიშნულ ქმედებებში შალიკიანის გვარი ღიად არსად ფიქსირდება, მაგრამ რატომღაც, აღნიშნულმა ფილმმა არჩევნებში მის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

"ივერია+"-ის გარდა, შალიკიანს კიდევ რამდენიმე ფირმა ეკუთვნის. მათ შორისაა საწვავით მოვაჭრე ფირმები: "შანს-ოილი", "ოკრიბა" და "ლამპარი". ეს ფირმები 41 ვაგონი ნედლი ნავთობის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების დამალვაშია ეჭვმიტანილი. სამივე ფირმის დირექტორი დავით გაბელაშვილი გახლავთ.

შალიკიანი კარგა ხანია, რაც საწვავის ბიზნესში სოლიდურ წილებს ფლობს. მას ქუთაისთან ახლოს, სოფელ ბრეწეულაში საკუთარი ნავთობბაზა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გააჩნია. სამართალდამცავთა ინფორმაციით, აღნიშნული ფირმების მიერ საეჭვო ოპერაციები ჯერ კიდევ 2000 წლიდანაა ნაწარმოები. პოლიციის შესაბამისი სამსახურის მიერ მოკვლეულ მასალებში აღნიშნულია, რომ 2000 წლის მაისში, ბაქოს ერთ-ერთი კომპანიისა და ფირმა "ოკრიბას" მირ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, საქართველოში 502 ტონა ნავთობური ნარჩენი იქნა იმპორტირებული, რომელიც "შანს ოილის" ნავთობგადამამუშავებელ საწარმოში უნდა გადამუშავებულიყო. მაგრამ, ბაზელის კონვენციის თანახმად, ტვირთი განბაჟებას არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ფირმა "ოკრიბამ" საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან ნავთობის განბაჟებაზე უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, "ოკრიბამ" ყალბი დოკუმენტების შექმნითა და გამოყენებით, სადავო საკითხის გადაწყვეტაში ჩართო ფირმა "გუმბათი", ამ უკანასკნელმა კი შეცდომაში ქუთაისის საოლქო სასამართლო შეიყვანა, რომელმაც აღნიშნულ ფირმას, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, 502 ტონა ნავთობის ნედლი ნარჩენის განბაჟებაზე ნება დართო. პოლიციაში მიაჩნიათ, რომ ამ ოპერაციის შედეგად, "ოკრიბამ" საბოლოო ჯამში დიდი ოდენობით გადასახადების გადახდას აარიდა თავი. საგამოძიებო მასალებში მომდევნო ფაქტი უკვე 2001 წლის ნოემბერშია დაფიქსირებული. ამ პერიოდში "ოკრიბამ" რკინიგზის სადგურ "ვაზიანიდან" სამი ვაგონი - 200 ტონა ნედლი ნავთობი მიიღო. ტვირთის გამომგზავნად კვლავ "გუმბათი" ფიქსირდება. აღნიშნულ ფირმებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არც ამ შემთხვევაში უწარმოებიათ.

**"2001 წლის 22, 25 და 26 ოქტომბერს "ოკრიბას" სადგურ "ვაზიანიდან", "ბროწეულას" სადგურში მიღებული აქვს 9 ვაგონი - 450 ტონა ნედლი ნავთობი. ტვირთის გამომგზავნი კვლავ "გუმბათია". ანალოგიური გზით, 2002 წლის 30 ნოემბერს სადგურ "ბროწეულაში" მიღებულია 300 ტონა ნედლი ნავთობი. ყველა შემთხვევაში ტვირთი ჩატვირთულია "შანს ოილის" რეზერვუარებში. ტვირთის შემდგომი ბედი უცნობია. ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით, ფირმა "ლამპარს" 2002 წლის 25 იანვარს, 7 აპრილს, 15 აპრილს, 14 მაისს და შვიდ ივლისს, რკინიგზის სადგურ "ბათუმიდან" ბროწეულაში მიღებული აქვს 36 ვაგონ-ცისტერნა - 2010 ტონა ნედლი ნავთობი. დოკუმენტების მიხედვით, ტვირთის გამომგზავნი ფირმა კვლავ "გუმბათია". მოკვლევის პროცესში, 36 ვაგონიდან მხოლოდ 18 აღმოვაჩინეთ. აღნიშნული ოპერაციით, ბიუჯეტში 58 000 ლარი უნდა შეეტანათ, მაგრამ არაფერი არ შეუტანიათ. დანარჩენი თვრამეტი ვაგონი საერთოდ არ ჩანს. ამჟამად სისხლის სამართლის საქმე გადსახადების დიდი ოდენობით დამალვის ფაქტზეა აღძრული,"** - აცხადებენ იმერეთის საოლქო პროკურატურაში. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პროკურატურამ პირადად შალიკიანის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მისი ყალბი დიპლომი გახლდათ. თუმცა, არც ეს საქმე მივიდა ბოლომდე (შალიკიანმა დიპლომი გადამალა და სამართალდამცავებმა მას ვერ მიაგნეს). ერთი წლის წინ კი პროკურატურამ შალიკიანის კუთვნილ, "მერსედესის" ჯიპზე მიიტანა ეჭვი. მაშინდელი საოლქო პროკურორის ჭუმბურიძის განცხადებით, ავტომობილი ევროპაში იყო მოპარული და საქართველოში არალეგალურად შემოყვანილი, მაგრამ შალიკიანმა სამართლადმცავებს დაასწრო და ჯიპი სამაჩაბლოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გაყიდა. როგორც ამბობენ, მას ხელისუფლებაშიც ყოველთვის ჰყავდა მაღალი თანამდებობის ლობისტები. გამოძიება დღეს თამამად აცხადებს, რომ იარაღის შენახვის გარდა, შალიკიანის წინააღმდეგ სხვა ფაქტებიც გააჩნიათ.

# ენერგეტიკული დილემა

პირველი გვერდიდან

"მცირე ლიცენზიანტთა" მოწინააღმდეგეები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ ასეთ კომპანიებს, ძირითადად, "სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და გსეკ-ის მაღალ სავარძლებში განთავსებული ჩინოსნები ფლობენ.

სავარაუდოდ, ამ კომპანიების უმეტესობას ლიცენზიებს მაინც ჩამოართმევენ. მათ კი, ვინც სალიცენზიო პირობებს აკმაყოფილებს, უბრალოდ, გააკოტრებენ.

აქვე აშკარაა, რომ, თუ მათ ლიცენზიები ჩამოერთმევათ, ისინი იძულებულნი გახდებიან, ბიზნესს შეეშვან და იმ გადასახადით დაკმაყოფილდნენ, რასაც მათ თავიანთი აშენებული ხაზებით სარგებლობისთვის გადაუხდიან. ამით, ბუნებრივია, მათ განვითარება-გაფართოების საშუალება ერთმევათ.

**"დამერწმუნონ, რომ უმრავლესობას ლიცენზიები მაინც ჩამოერთმევა. პლიუს, ყველას მიმართ წავა რეალური გამოძიებები და გაირკვევა, თუ რატომ მოაკლდა ენერგეტიკას მილიონობით ლარი. მერწმუნეთ, ამ ნიშის ათვისების შემდეგ საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების 30 პროცენტი მოგვარებული იქნება,"** – იმედოვნებს მინისტრი.

თუმცა, "მცირე ლიცენზიანტები" ვარაუდობენ, რომ მათ წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია ენერგეტიკაში ვითარებას კიდევ უფრო გააუარესებს. **"ჩვენ ხომ 100-პროცენტიანი გადამხდელები ვართ,** - აცხადებენ ისინი, - **ჩვენ, ფაქტობრივად, ქვეყანაში გადახდის კულტურა დავნერგეთ."**

რჩება შთაბეჭდილება, რომ ენერგოსადისტრიბუციო ბაზარი ქართული ბიზნესისათვის იკეტება. თუმცა, სათბობ-ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრის ხედვით, ეს ასე არ არის. მისი განმარტებით, "მცირე ლიცენზიანტები", რომლებიც ამ სექტორში მოქმედებენ, სუფთა ბიზნესის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ. **"ამ კომპანიების მოღვაწეობის შედეგად, მხოლოდ იმერეთში, მინიმუმ, 600 ათასიდან - მილიონ ლარამდე იკარგება. ისინი აცხადებენ, რომ მათ საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზარზე მხოლოდ 2-პროცენტიანი ნიშა უჭირავთ, მაგრამ სინამდვილეში მათი წილი გაცილებით უფრო დიდია და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო არ ჩანს, რომ ისინი მრიცხველებს "ყრიან". რეალურად, ისინი საუკეთესო გადამხდელ აბონენტებს ამარაგებენ და მათი წილი ბაზარზე 10-12 პროცენტს შეადგენს. თუმცა, იმის გამო, რომ ეს კომპანიები მათ მიერ ფაქტობრივად მოხმარებული დენის რაოდენობას 5-6-ჯერ ამცირებენ, ეს არ ჩანს."**



*მინისტრი პრობლემების მოგვარებას "მცირე ლიცენზიანტების" გაუქმებით იწყებს.*

"მცირე ლიცენზიანტები" მთავრობის ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ მათ წარმატებულ მუშაობას ხვალ გსეკ-ი იმ სატყუარად გამოიყენებს, რომლითაც საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზარს სავარაუდო ინვესტორის თვალში მიმზიდველ ლუკმად წარმოაჩენს.

**"პრეზიდენტი მცირე ბიზნესის განვითარებაზე საუბრობს, ამ დროს კი ყველაზე რენტაბელური ბიზნესი, მთავრობის მხარდაჭერით, ქართველ ბიზნესმენთათვის სამუდამოდ იკეტება,"** – აცხადებენ ისინი.

გარდა ამისა, ეს კომპანიები ყურადღებას მათთვის ლიცენზიების ჩამორთმევის უკანონობაზეც ამახვილებენ. **"ის ხაზები, რომელთა საშუალებითაც დღეს ჩვენს აბონენტებს ვემსახურებით, ან ჩვენი ფულით ავაშენეთ, ან პრივატიზაციისას აბსოლუტურად კანონიერად შევიძინეთ. ხვალ რომ მთავრობამ ღვინის ბიზნესის ჩაკეტვა გადაწყვიტოს, მერე?"** – ასე სვამენ ისინი საკითხს.

"მცირე ლიცენზიანტების" ვარაუდით, მათთვის ლიცენზიების ჩამორთმევის შემდეგ გსეკ-ი ფისკალურ ეფექტსაც მიიღებს: ამ კომპანიების მიერ დენის საფასურის გადახდის 100-პროცენტიანი მაჩვენებელი გსეკ-ის სამარცხვინო მაჩვენებლებს თავიდან საგრძნობლად გაბერავს. **"მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იქნება,"** – აკონკრეტებენ ისინი.

დაბოლოს: "მცირე ლიცენზიანტები" შიშობენ, რომ ენერგოსადისტრიბუციო ბაზრიდან ქართული კომპანიების განდევნა სხვა პრობლემასაც წარმოშობს: **"ამას წინათ, სემეკ-ში გვკითხეს, როგორ მუშაობთ 8,5-თეთრიანი ტარიფის პირობებშიო. ეს ცუდის მანიშნებელია – როდესაც ბაზარზე კონკურენტი არ დარჩება, თავისუფლად შეიძლება, გსეკ-მა ტარიფის მატების საკითხი დასვას, რაც, თუ ტარიფის გაძვირებით არ დაბალანსდება, ელექტროგადაცემის ან გენერაციის მარჟის შემცირებას გამოიწვევს, ეს კი დარგისთვის გამანადგურებელი დარტყმა იქნება."**

# ახალი წესები ძველი და ახალი ბიზნესმენებისთვის

*გასული კვირის ბოლო ეკონომიკური აკორდი საქართველოს პრეზიდენტისა და ბიზნესმენების შეხვედრა გახლდათ. ამ შეხვედრაზე პირველად მიაწოდა ხელისუფლებამ ქართულ ბიზნესს სამომავლო ურთიერთობის შესახებ მეტ-ნაკლებად დეტალური ინფორმაცია და განუმარტა ახალი წესების შინაარსი:*

თამარ ხორბალაძე

**ჩვენ მოგაცილებთ კრიმინალებს და უზრუნველვყოფთ თქვენს უსაფრთხოებას;**

**ჩვენ გავამარტივებთ საგადასახადო კანონმდებლობას, დაახლოებით, 3-4 თვეში;**

**ჩვენ განვახორციელებთ საგადასახადო ამნისტიას, რომელსაც არ დავარქმევთ "ამნისტიას", რადგან თქვენ არ იყავით დამნაშავეები იმაში, რომ ხელისუფლება თამაშის წრდილიან წესებს გთავაზობდა და "ჩამოგაწერთ" ერთ მილიონიან საგადასახადო დავალიანებას;**

**ჩვენ შევზღუდავთ თქვენთან შემომავალი მაკონტროლებლების რიცხვს და მათი შემოსვლის პროცედურებს;**

**ჩვენ შევეცდებით, შეგიქმნათ კარგი საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო ფონი...**

სანაცვლოდ კი:

**თქვენ 2004 წლის და შემდგომ მიმდინარე გადასახადებს არსებული კანონმდებლობით დღესვე, ბოლომდე და პირნათლად გადაიხდით;**

**თქვენ 1 ივნისამდე წარმოადგენთ გათეთრებულ საგადასახადო დეკლარაციებს;**

**თქვენ სახელმწიფოს დაუდგებით გვერდში.**

დაახლოებით, ასეთი გახლავთ ის "გარიგება", რომელსაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველ და მომავალ ბიზნესმენებს სთავაზობს. აქვე მათ აფრთხილებს კიდევაც, რომ გარიგების დარღვევის შემთხვევაში, ხელისუფლება საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი იქნება.

ხელისუფლების ძირითადი მესიჯები შაბათს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაახმოვანა, რომლის სიტყვასაც "24 საათი" დღევანდელ ნომერში საგანგებოდ ბეჭდავს.

თავად შეხვედრაში, რომელიც შაბათს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით და "გადამხდელთა კავშირის" დახმარებით შედგა, ხელისუფლების პოზიციის გარდა, საკმაოდ საინტერესო გახლდათ ბიზნესმენთა პოზიცია - თითქმის ყველა მათგანი ურთიერთსტაბილურად აცხადებდა, რომ პირნათელი საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის და "ამნისტია", რომელიც ხელისუფლებამ დააწესა, მას და მის ბიზნესს არ ეხება.

იყვნენ უფრო გულახდილნიც - ისინი, ვინც პირად საუბრებში აცხადებდნენ: არ შეიძლება ბიზნესმენს დააკისრო პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ ძველი ხელისუფლების პირობებში სხვაგვარად მუშაობა შეუძლებელი იყო.

კიდევ უფრო გულახდილნი, თუმცა, ისევ პირად საუბრებში, ამბობდნენ იმასაც, რომ მათ ე.წ. "დამალული" გადასახადის დიდი ნაწილი გადახდილი აქვთ კერძო ჯიბეებისთვის და ამის შემდეგ დღემდე მოვალეობა არ ეძება...

მათივე შეხვედრაზე ყველა, ძირითადად, საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მოსასმენად იყო მისული, რაც იმ ფაქტმაც დაადასტურა, რომ მათი გამოსვლების შემდეგ დარბაზმა დაშლა დაიწყო.

თუმცა, იყო ერთი საგულისხმო გამოსვლა, რომლის ყურადღების მიღმა დატოვება, ვფიქრობთ, არასწორი იქნებოდა - დღეს საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრის შემდეგ გამოვიდა და ჯერ ხელისუფლებას ბონდო შალიკიანის "არასწორი ფორმებით" დაჭერის გამო უსაყვედურა, მერე კი განაცხადა, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, რომელიც ამ ურთიერთობას, რატომღაც, მალავს. **"ამიტომ, ჩვენ უფრო კულუარული ურთიერთობა გვაქვს,"** - კულუარებიდან დღის სინათლეზე გამოიტანა ურთიერთობა ბადრი პატარკაციშვილმა და აქვე, ბიზნესმენების მისამართით საკმაოდ "ღია" მიმართვა გააკეთა: **"ეს კაცი არის ჩვენი შანსი. დავუდგეთ გვერდით და ნუ გავუხდით საქმეს წასასვლელად..."**


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**9 მარტს, 10.00-დან 14.00-სთ-მდე:**
თემქის III მიკრორაიონის I და IV კვარტლების, თემქის IV, X, Xა, Xბ და IX კვარტლების, თემქის IV მიკრორაიონის, თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), სამხედრო დასახლების, პეტრე ამირანაშვილის, ცოდნისკარის, გამყრელიძის, გარიყულის, ირემაშვილის, კაკაბაძის, საჩხერის, სადმელის, შატილის, სიხარულიძის, თიანეთის, ტყიბულის, ურეკის, ძმები გარიშვილების, ველისციხის, ხვანჭკარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**9 მარტს, 12.00-დან 14.00-სთ-მდე:**
მშენებელთა, ავეჯის კომბინატის და ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლებების, სამხატვრო და სატანკო დასახლებების, ნავთლუღის II დასახლების, მელითონეთა და სამრეწველო დასახლებების, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის 2, 4 და 5 კვარტლების, ნაკადულის, კაიროს, მარელისის, ოცხელის, ქინძმარაულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**9 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
ლილოს დასახლების 2 მიკრორაიონის და 4 კვარტლის, მეფრინველეობის ფაბრიკის, საქსოფლმანქანის, ლილოს და საქსოფლმშენის დასახლებების, ორახელაშვილის ფრანგულიანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**9 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
არაგვის, ახვლედიანის, ბარნოვის(ნაწილობრივ), ბელინსკის, ეკალაძის, გურგულიას, კობახიძის, კოსტავას(ნაწილობრივ), მილორავას, ნიკო ნიკოლაძის, ქიაჩელის, ვაშლოვანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**10 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბაღნარის, ბიჭვინთის, ჩიქვანაიას, რევოლუციის, სკოლის, ზაჰესის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**10 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
ლილოს დასახლების 2 მიკრორაიონის და 4 კვარტლის, საქსოფლმშენის დასახლების 4 კვარტლის, კახეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ფრანგულიანის, ჭირნახულის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# კერძო ენერგოკომპანიების (მცირე ლიცენზიანტების) მიმართვა

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას**

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო,

ბოლო დღეებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" მოთხოვნის საფუძველზე ხელისუფლება აპირებს ლიცენზიების გაუქმებას კერძო ენერგოკომპანიებისათვის. ამ ინფორმაციამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ უკვე პრესაში იბეჭდება კონკრეტული ვადები და მთავრობის შესაძლო გადაწყვეტილებების შემაშფოთებელი შინაარსი. პრესაში ქვეყნდება "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" ამჟამინდელი დირექტორის, ბატონ დინ უაითის ინტერვიუები, სადაც იგი ლიცენზიების გაუქმების აუცილებლობას აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და არარეალური არგუმენტებით ასაბუთებს. მთავრობისადმი მისი მოთხოვნის ტონი უფრო ულტიმატუმად იკითხება, ვიდრე პრობლემათა მოგვარების გონივრულ ღონისძიებებად.

ბატონო მიხეილ, ბატონო ზურაბ,

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობას უნდა გააჩნდეს რეალური ინფორმაცია შექმნილი ვითარების შესახებ და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგმართოთ წერილობით. საკითხის ობიექტური სურათი კი ასეთია:

- საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზარზე ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან შემდეგი კომპანიები: "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", "თელასი", "აჭარის ენერგოკომპანია", "კახეთის ენერგოკომპანია" და ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები", ანუ ჩვენ. შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ საქართველოს სადისტრიბუციო ბაზრის საერთო მოცულობაში "მცირე ლიცენზიანტების" სეგმენტი მხოლოდ 2 პროცენტს მოიცავს. ეს კი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ასეთი მოცულობის სეგმენტი ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილ სიძნელეებზე გავლენას ახდენდეს.

- "მცირე ლიცენზიანტი" ენერგოკომპანიები პირნათლად იხდიან ყველა ვალდებულებას როგორც სახელმწიფოს, ასევე მოსახლეობის წინაშე. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტს სრული მოცულობით უხდიან კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს; მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დროულად, 100 პროცენტით უხდიან ენერგოსაბითუმო ბაზარს და მის მიმართ არავითარი დავალიანება არ გააჩნიათ; მოსახლეობასთან (აბონენტებთან) გაფორმებული აქვთ ინდივიდუალური ხელშეკრულებები ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე, რის საფუძველზეც მათ დადგენილი წესით მიეწოდებათ ელექტროენერგია; პირნათლად ასრულებენ "სემეკის" წინაშე აღებულ ვალდებულებას და სალიცენზიო მოთხოვნებს.

- საბანკო სესხებისა და საკუთარი თანხების მეშვეობით "მცირე ლიცენზიანტ" ენერგოკომპანიებს განხორციელებული აქვთ სოლიდური მოცულობის საინვესტიციო ღონისძიებები, მათ შორის: აბონენტთა გამრიცხველიანება, გადამცემი ხაზების მშენებლობა და ტრანსფორმატორების შეძენა-განახლება. მათ თავიანთი საქმიანობის ყველა ეტაპზე სისტემატურად აკონტროლებენ და ამოწმებენ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოები და შემოწმება-რევიზიის აქტებით, მათი საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ექვემდებარება.

- "მცირე ლიცენზიანტ" ენერგოკომპანიებს პირდაპირი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული მომიჯნავე ჰიდროელექტროსადგურებთან, რის გამოც მათ არავითარი შეხება არა აქვთ სხვა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან" და, ამდენად, შეუძლებელიცაა იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება ამ კომპანიებმა პრობლემა შეუქმნას ან ხელი შეუშალოს მის მუშაობას.

- მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებიც "მცირე ლიცენზიანტების" ენერგოკომპანიებს შეხვდათ მათი დაფუძნებისა და საქმიანობის დაწყებიდან დღემდე, ჩვენ არასოდეს მიგვიმართავს მთავრობისათვის ან სხვა ოფიციალური სახელმწიფო უწყებისათვის ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად, ან სხვაგვარი დახმარების მოთხოვნით. პირიქით: კომპანიების დამოუკიდებელი, კერძო საქმიანობით ჩვენ მოსახლეობას და სახელმწიფოს დავანახეთ, რომ მონოპოლიების (მათ შორის, ბუნებრივი მონოპოლია) გარეშე, უცხოური ინვესტიციების გარეშე, სახელმწიფოს დახმარების გარეშე საქართველოში შესაძლებელია ენერგეტიკული პრობლემების მოგვარება, გადახდისუნარიანობის გაზრდა, დავალიანებების დროულად გადახდა და ამ სისტემაში დასაქმებული მომსახურე პერსონალისადმი სახელფასო ანაზღაურების უზრუნველყოფა.

- აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ სწორედ ჩვენი კომპანიების სწორმა მენეჯმენტმა საქართველოში ხელი შეუწყო გადახდის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც უკვე სრულფასოვნადაა დანერგილი ჩვენი მომსახურების სფეროში. ამის გამო ჩვენს პრაქტიკაში თითქმის აღმოფხვრილია გადაუხდელობის პრობლემა სოციალური სიმძიმის არგუმენტების მოშველიებით. ასევე, აღმოფხვრილია ელექტროენერგიის დატაცების ან ქურდობის (მოპარვის) სახელმწიფო სექტორში გამეფებული მავნე პრაქტიკა.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო,

გადმოგცემთ რა ჩვენი კომპანიების საქმიანობის მოკლე ანოტაციას, პარალელურად, გვინდა ჩვენი მოსაზრება გაგაცნოთ "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" ერთწლიანი მოღვაწეობის შესახებ. კერძოდ,

- 2003 წლის მაისში საქართველოს ყოფილმა მთავრობამ უცხოურ კომპანიასთან გააფორმა მეტად საეჭვო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მთელი სადისტრიბუციო ქსელი (მცირე გამონაკლისის გარდა) თავისი აქტივებითა და ქონებით მართვაში გადაეცა უცხოეთის კომპანიას, რომლის მოქმედების ხანგრძლივობის ვადა 18 თვეს მოიცავს და აღნიშნული ვადის შემდგომ, ამ ქსელის პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს. მართალია, ახლა დგას საკითხი ამ ვადის გაგრძელების შესახებ, მაგრამ ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას ეკისრება, იგივე რჩება. კერძოდ, ეს ვალდებულებები ითვალისწინებს საქართველოს ჰიდროენერგეტიკული საშუალებების რეაბილიტაციას, დისტრიბუციისა და თანხების ამოღების გაუმჯობესებას, მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის სუბსიდირებული ელექტროენერგიის მიწოდებას, სიძნელეების აღმოფხვრასა და სანდო, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას.

- წინამდებარე ვალდებულებებიდან "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" თავისი საქმიანობის 10 თვის განმავლობაში არც ერთი არ შეუსრულებია. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტი დაქვეითდა მინიმალურ ზღვარზე ქვემოთ, დაგროვდა მილიონობით ლარის ოდენობის დავალიანებები საბითუმო ბაზრისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე, ქსელში კიდევ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი ელექტროენერგიის დატაცების, მოპარვის და კორუფციის უკანონო პრაქტიკამ. კომპანიიდან დათხოვნილია მაღალკვალიფიციური კადრები და მათ ნაცვლად მიღებულია არაპროფესიონალი კონტინგენტი, რომელთა ხელფასები ასჯერ აღემატება ამ ქსელში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებს.

- აღნიშნულის საპირისპიროდ, ხელშეკრულებით "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" სასარგებლოდ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ისეთი ვალდებულების შესრულებას, რომელიც სცილდება მისი კომპეტენციის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებს (საოფისე და საჭირო პირობების უფასო უზრუნველყოფა, ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების, მათი მოწყობილობების საკუთრებაში გადაცემა, მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან შემოწმების დაუშვებლობა, ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხების გადახდა, მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფა, მიწების გადაცემა ფლობისა და სარგებლობისათვის, ობიექტებზე და ქონებაზე უფასო მომსახურება, დავის არსებობისას ინგლისური სამართლის გამოყენება და ა.შ. და ბოლოს, ჩვენთვის მიუღებელია გადაბრალების კამპანია, რომელიც "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ" წამოიწყო. მას იმავე ხელშეკრულებით (რომლის არც ერთ ვალდებულებას ის დღემდე არ ასრულებს) ეკრძალება, რომ უპირატესობა ან პრივილეგია მიანიჭოს ან დისკრიმინირებულ ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს სხვა რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირები.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო,

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სხვა კომპანიების საქმიანობის ავკარგიანობის განსჯა ჩვენს უფლებამოსილებაში არ შედის. მაგრამ ბრალდებები, რომლებიც უცხოური კომპანიის მხრიდან ჩვენი მისამართით გაისმა, ჩვენი მხრიდან მოითხოვს საპირისპირო განცხადებას, რათა არა მარტო შესწავლილი იქნეს ამ კომპანიის საქმიანობის კანონიერება სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიხედვით, არამედ, საერთოდ გადაისინჯოს წინა - კორუმპირებული მთავრობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების კანონიერება, სამართლიანობა და მიზანშეწონილობა. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მზადყოფნას, რომ პარალელურად შემოწმებულ იქნეს ჩვენი ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებაც და, საერთოდ, გაანალიზდეს ჩვენი საქმიანობის შედეგები.

- რაც შეეხება ჩვენი ლიცენზიების გაუქმების საკითხის დღის წესრიგში დაყენებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობა იგნორირებას არ გაუკეთებს ქართულ ბიზნესს, საკუთრების დაცვის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებულ ფასეულობებს და არ აჰყვება გაკოტრებულ და სახელმწიფო ვალებში მყოფ კომპანიას, რომელსაც არგუმენტად აღარაფერი დარჩენია, თუ არა წარმატებული კონკურენტების განადგურება სახელმწიფოს იძულებითი ჩარევის მეშვეობით.

- ჩვენ ვერც იმას დავიჯერებთ, რომ ჩვენი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ან "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" შეძლებს ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებას. მით უფრო მაშინ, თუ ჩვენი საკუთრების ობიექტები გამოყვანილი იქნა მომსახურების სფეროდან, ან კიდევ იმას, რომ დღეისათვის შესაძლებელია ჩვენი საკუთრების ღირებულებითი ანაზღაურება ან კომპენსაცია, ან კიდევ - ვინღა დაიჯერებს ამ ქვეყანაში, რომ თუ ბიზნესს გამართავ და ააწყობ, ვინმეს ექნება გარანტია, რომ მას საკუთრებას სახელმწიფო არ წაართმევს, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციით დაწესებული გარანტიებისა.

ბატონო მიხეილ, ბატონო ზურაბ,

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, თუ რაოდენ მძიმე ტვირთია ახალი მთავრობისათვის ენერგოსისტემის ურთულესი მემკვიდრეობა და მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება, ამიტომ, ჩვენ არ გვიკვირს მთავრობის დაინტერესება ამ სექტორით და ახალი ინიციატივების ძიება, მაგრამ არა იმ მეთოდით და საშუალებით, რა გზასაც დაადგა "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია".

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობაზე, რომელიც ამ პრობლემების გადაწყვეტას უკავშირდება, მზად ვართ, რომ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისგან" იჯარით ავიღოთ ბაზრის ურთულესი სეგმენტი და განვახორციელოთ კერძო ინვესტიციები, ან მოვიფიქროთ პრობლემათა მოგვარების გონივრული ხერხები და ამით გამოვხატოთ ჩვენი თანადგომა ახალი მთავრობისადმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მთავრობამ სიღრმისეულად უნდა შეისწავლოს ყველა გარემოება და მხოლოდ ამის შემდგომ გადადგას მკვეთრი ნაბიჯები ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად.

**პატივისცემით,**

**"მცირე ლიცენზიანტი" ენერგოკომპანიების ხელმძღვანელები:**

*შპს "სეტი" ნ. გულიევი*
*შპს "აექსი" გ. ოჩიგავა*
*შპს "ენერგია" რ. ხურციძე*
*ს/ს "გორგოტა" გ. ბერაია*
*შპს "პატარა კახი" დ. ქელდიშვილი*
*შპს "რუსთავმშენი 2000" შ. მიკიჩაშვილი*
*შპს "მეოხი" ვ. კვერნაძე*
*შპს "ენერგია XXI საუკუნე" ზ. ნიჟარაძე*
*ინდ. საწარმო "ფერმერი"-ს მესაკუთრე-ლიცენზიატი გ. აბალაკი*

# ვინ ხეირობს და ვინ ზარალდება ლარის კურსის გამყარებით?

პირველი გვერდიდან

გასული კვირის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური მოვლენა ლარის კურსის უეცარი და საკმაოდ სერიოზული გამყარება გახლდათ. მიუხედავად ეკონომიკურ ექსპერტთა დიდი ნაწილის და თავად ექსპორტიორთა მტკიცებისა, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ვალუტის კურსის ერთბაშად 30–მდე ერთეულით გამყარება ქვეყნისთვის უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეკონომისტებისთვის კარგად ცნობილია, რომ ბიზნესისთვის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისთვის ეროვნული კურსის მაჩვენებელთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს კურსი სტაბილური იყოს. მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ერთი დოლარი რამდენიმე ათასი მანათის ტოლფასია, თუმცა ეს კურსი სტაბილურია და, შესაბამისად, ეკონომიკას პრობლემებიც არ აქვს. სხვათა შორის, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად ლარი ისევეა გამყარებული ევროსთან მიმართებაში, როგორც დოლართან მიმართებაში. ამიტომ, მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დოლარის დაგროვებას ევროს დაგროვება სჯობია, ყოველ შემთხვევაში - ლართან მიმართებაში, ვერანაირ შედეგს ვერ მოგვცემს.

"24 საათი" უკვე წერდა იმ რეალურ მიზეზებზე, რამაც ლართან მიმართებაში დოლარის, აქედან გამომდინარე კი, ყველა უცხოური ვალუტის უეცარი ვარდნა გამოიწვია. ფაქტია, რომ ბიზნესმენებს, რომელთაც წლეულს, გასულ წელთან შედარებით, ორ თვეში ერთბაშად 55 მილიონი ლარით მეტი გადასახადის გადახდა მოუხდათ, ამ გადასახადების დასაფინანსებლად ეროვნული ფულადი ერთეული დასჭირდათ. შესაბამისად, გაიზარდა დოლარის მასა სავალუტო ბაზარზე და ამან ლარის გამყარება გამოიწვია.

ცხადია, ეს ბუნებრივი პროცესია.

ფაქტია ისიც, რომ ხელისუფლებამ, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლო მიღებული შემოსავლის ტოლფასი ლარის მასის გამოშვება საზოგადოებაში, რადგან ჯერ გაზრდილხარჯებიანი 2004 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული არ არის და ხარჯვა გასული წლის ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედის ფარგლებში მიმდინარეობს.

ანუ, ბიუჯეტში შევიდა იმაზე მეტი ლარი, რაც გამოვიდა, რამაც სავალუტო ბაზარზე ლარის ბუნებრივი დეფიციტი შექმნა. ცხადია, ეს დეფიციტი მომენტალურად მოიხსნება ახალი ბიუჯეტის პარამეტრების დამტკიცების შემდეგ, თუმცა ხელისუფლება და თავად ეკონომიკური ექსპერტები აღიარებენ, რომ ლარის კურსის "დასტაბილურება" სულ რამდენიმე დღეში მოხდება და მოხდება, დაახლოებით, ორი ლარი - ერთ დოლართან ფარგლებში.

თუმცა, სანამ ეს მომხდარა, საქართველოში საკმაოდ სპეციფიკური სიტუაციაა შექმნილი - მიუხედავად დოლარის 30-35 თეთრით გაიაფებისა, საქართველოს ბაზარზე გაყიდვაში მყოფი იმპორტული საქონლის ფასები სულაც არ გაიაფებულა. ანუ იმ მომხმარებელს, რომელთაც ლარებში აქვთ შემოსავალი, არავითარი შეღავათი არც საკვები და არც სხვა სახის პროდუქციის ყიდვისას არ მიუღიათ. სამაგიეროდ, იმ მომხმარებელს, რომლებიც საქართველოში უცხოური ორგანიზაციებისგან იღებენ ანაზღაურებას - დოლარებში ან შესაბამისი კურსით ლარებში, ან რომელთაც ფულს უცხოეთში მყოფი ოჯახის წევრები უგზავნიან (ასეთი ადამიანების რაოდენობა დღეს საკმაოდ დიდია), შემოსავალი ერთბაშად შეუმცირდათ. სხვაგვარად, პროდუქცია დოლარებში გაძვირდა. ამან, ცხადია, სერიოზული ზიანი მიაყენა ამ მომხმარებლის ჯიბეს. შედეგად - მომხმარებელი, მიუხედავად იმისა, ლარებში იღებს ანაზღაურებას თუ დოლარებში, ლარის კურსის გამყარების შედეგად ვერანაირად ვერ ხეირობს, უფრო - პირიქით.

სამაგიეროდ, ცხადია ისიც, რომ ლარის კურსის გამყარების შედეგად ამ დღეებში სერიოზულად გაიზარდა მსხვილი იმპორტიორების, მაგალითად - ნავთობის, ან სიგარეტის იმპორტიორების შემოსავალი, (თუმცა, არა მხოლოდ მათი) რომლებიც დღეს დოლარებში გაცილებით დიდ მოგებას იღებენ, ვიდრე სულ ერთი კვირის წინ. სხვათა შორის, არ გაიაფებულა არც სახელმწიფოს მიერ "კურირებადი" ისეთი პროდუქტი, როგორიც პურია, რომელიც იგივე გაუფასურებულ დოლარად ნაყიდი ხორბლისგან იწარმოება.

სამაგიეროდ, ძალიან დაზნეულები არიან ექსპორტიორები და წვრილი მოვაჭრეები, რომელთაც ძალიან უჭირთ ბიზნეს-მოგების დაგეგმვა. ბაზარზე აბსოლუტური გაურკვევლობაა.

მსგავს სიტუაციებში, ცხადია, ეროვნულ ბანკს აქვს ბერკეტები კურსის "დასასტაბილურებლად" და დღემდე იგი ამ ბერკეტებს იყენებდა. თუმცა, დღეს აქტიურად ჩაურევლობის არგუმენტად ის მოჰყავს, რომ ლარის კურსი თავისუფალ დინებაზეა მიშვებული, საზოგადოებას მოუწოდებს, პანიკას არ აჰყვეს და ნელ-ნელა ყიდულობს გაუფასურებულ დოლარს სავალუტო რეზერვების შესავსებად. ცხადია, თავად ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვებს ივსებს, და ივსებს გაცილებით იაფად, ვიდრე ეს სულ ერთი კვირის წინ მოხერხდებოდა, ქვეყნის ვალუტის სტაბილურობისთვის და, ზოგადად, ეკონომიკისთვის უდავოდ დადებითი მომენტია. თუმცა, დოლარის შესყიდვისას გამოჩენილი შედარებითი ზომიერება, რის შედეგადაც დოლარზე მოთხოვნა კვლავ საკმაოდ მცირე რჩება, აღვივებს იმ ეჭვსაც, რომ ლარის კურსის "მიშვება", ამ შემთხვევაში - გამყარების მიმართულებით, შეგნებულად მოხდა. თუმცა ცხადია, რომ ამ ეჭვს ოფიციალურად არავინ ადასტურებს.

და ბოლოს - ყველაფერი ზემოთ ნათქვამი უკვე ცხადყოფს, რომ სიტუაცია არც ისე მარტივადაა, როგორც ეს დღევანდელ ხელისუფლებას სურს მოგვაჩვენოს. პრობლემები კიდევ უფრო მეტი იქნება, თუ მსგავსი სიტუაცია დროში გაიწელა. სხვათა შორის, თუ დღეს არსებული კურსი თუნდაც ერთი-ორი კვირა შენარჩუნდა, არ არის გამორიცხული, რომ მისი ძველ ნიშნულზე დაბრუნების შემდეგ ბაზარზე ფასები გაიზარდოს - ასეთი რამ არაერთხელ მოხდარა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მომხმარებლის ისედაც გამოხვრეტილ ჯიბეს მეტისმეტად მტკივნეული დარტყმა მიადგება.

# ლიბია საერთაშორისო თანამეგობრობას უბრუნდება

ლიბიის ჯამაჰირია, ანუ სახალხო რესპუბლიკა, თანდათანობით უბრუნდება საერთაშორისო თანამეგობრობას. ტერორიზმის მფარველად შერაცხული ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო მოთხოვნებს თანხმდება და მასობრივი განადგურების იარაღზე უარს ამბობს. გუშინ ლიბიის მასობრივი განადგურების იარაღის დემონტაჟთან დაკავშირებული მოლაპარაკებების კიდევ ერთი, ახალი ეტაპი დაიწყო. ამერიკელმა მეცნიერებმა ლიბიის ხელისუფლებასთან ქვეყნის ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე მეცნიერების გადამზადების პროგრამის შესახებ დაიწყეს მოლაპარაკებები. აშშ დადებითად აფასებს ტრიპოლის მზადყოფნას, უარი თქვას მასობრივი განდგურების იარაღზე. ქვეყნის ლიდერმა, მოამარ კადაფიმ საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის მზადყოფნა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გამოთქვა. ლიბიაში უკვე დაიწყო ქიმიური იარაღის განადგურების პროცესი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონტროლდება. ქვეყანა ასევე უარს ამბობს შორი რადიუსის რაკეტებზე. იანვარში ტრიპოლიმ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების გეგმების შესახებ არსებული საიდუმლო დოკუმენტაცია აშშ-ში გადააგზავნა. საუბარია როგორც რაკეტებზე, ასევე ქიმიურ და ბირთვულ ქობინებზე. საერთაშორისო ექსპერტები ამ დოკუმენტების საფუძველზე ასკვნიან, რომ ლიბია ატომური იარაღის შექმნას ცდილობდა. ამასთან, კადაფის რეჟიმს, ამ მიზნის მისაღწევად, სულ ცოტა, რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. მართალია, ლიბიაში არსებობდა ურანის გამდიდრებისათვის საჭირო დანადგარების ნაწილი, მაგრამ ამ პროცესის წარმატებით დასრულება უახლოეს მომავალში მაინც შეუძლებელი იყო. შაბათს კი ლიბიიდან აშშ-ს მიმართულებით შესაბამისი დანადგარებით დატვირთული გემი გაემგზავრა. გემზე 500 ტონამდე სხვადასხვა სახის ტექნიკური ხელსაწყოა, რომელიც ადრე დედაქალაქ ტრიპოლის ახლოს მდებარე ლაბორატორიაში იყო დამონტაჟებული და ლიბიამ საერთაშორისო თანამეგობრობას ნებაყოფლობით გადასცა. გემზე, სხვადასხვა ინფორმაციით, ასევე შორი რადიუსის რაკეტები და გამშვები ხელსაწყოებია. აშშ-ს წარმომადგენლები გემის ზუსტ მარშრუტს, უსაფრთხოების გამო, არ ასახელებენ.

საინტერესოა, რომ სწორედ ლიბიის საიდუმლო დოკუმენტების გაცნობამ მოჰფინა ნათელი პაკისტანიდან ბირთვული ტექნოლოგიების გადინებას. აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონის მიერ "ტერორისტ ქვეყნებად" შერაცხული ირანი, ჩრდილოეთი კორეა და ლიბია ბირთვული ტექნოლოგიების შესახებ


მოამარ კადაფი.

ინფორმაციებს სწორედ პაკისტანიდან იღებდნენ. ამ სკანდალს პაკისტანის ბირთვული პროგრამის ფუძემდებლის ყადირ ხანის თანამდებობაც შეეწირა.

მასობრივი განადგურების იარაღი ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მიზეზად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი იარაღი ქვეყანაში დღემდე ვერ აღმოაჩინეს. აშშ-ს ძლიერი ზეწოლის შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ. ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური რეჟიმი კი ცდილობს, საკუთარი ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ, ამერიკელებისაგან მაქსიმალური საზღაური მიიღოს. პეკინში ამასწინათ გამართული ექვსმხრივი მოლაპარაკებები სწორედ ამის დასტურია.

როგორც ჩანს, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ყველაზე აქტიურად ლიბია თანამშრომლობს. ეს აშშ-ში შეუმჩნეველი არ რჩება. ლოკერბის ტერაქტში მონაწილეობის აღიარების სანაცვლოდ, აშშ-მ ქვეყანას ამ ინციდენტის შემდეგ შემოღებული სანქციები უკვე მოუხსნა. ლიბიას პირველი ამერიკელი დიპლომატები ეწვივნენ. ამერიკის მოქალაქეებს შეუძლიათ, შეუზღუდავად მოინახულონ ლიბია, ხოლო ამერიკულ ფირმებს – ჩადონ ინვესტიციები ქვეყანაში. უახლოეს მომავალში კი ლიბიას სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უილიამ ბერნსი უნდა ესტუმროს. ასეთი რანგის ამერიკელი სახელმწიფო მოხელე ლიბიაში, უკვე ოცდაათი წელია, არ ყოფილა.

დღემდე არ არსებობს ზუსტი პასუხი, თუ რამ გამოიწვია ლიბიის ლიდერის მოამარ კადაფის ფერისცვალება. კადაფიმ, რომელმაც სამხედრო განათლება, სხვათა შორის, დიდ ბრიტანეთში მიიღო, არაბული ნაციონალიზმის ლოზუნგით, 1963 წელს ლიბიაში უსისხლო გადატრიალება მოახდინა. პოლკოვნიკი კადაფი მას მერე ანტიდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად მიიჩნევა, რომელიც ტერორისტული აქტების ორგანიზაციაშიცაა ეჭვმიტანილი. 1990-იანი წლებიდან კი იგი, როგორც ჩანს, წარსულის პრინციპებზე უარს ამბობს და როგორც მეზობლებთან, ასევე დასავლეთთან ურთიერთობებს აუმჯობესებს. წინასაარჩევნო კამპანიით დაკავებული ჯორჯ ბუში ბოლო დროის მოვლენებს ერაყში ინტერვენციის შედეგს უწოდებს. "ჩვენი ქმედითი ნაბიჯების შემდეგ ლიბიის მსგავსი ქვეყნები მიხვდნენ, რომ ჯობს, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე უარი თქვან," – ამობს ბუში. თუმცა, აშშ-ს კრიტიკოსები იმისაც ამბობენ, რომ ტერორისტებსა და "ტერორისტ ქვეყნებს" მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვების სურვილს სწორედ ამერიკელთა ქმედებები უძლიერებს.

# ვენესუელა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე

ლევან ღირსიაშვილი

ვენესუელაში ოპოზიციის ათობით ათასმა მხარდამჭერმა პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის წინააღმდეგ მშვიდობიანი მარში მოაწყო. ოპოზიცია პრეზიდენტ ჩავესის მმართველობის საკითხის თაობაზე სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. გუშინ დედაქალაქ კარაკასში დემონსტრანტები ექვსი სხვადასხვა მიმართულებით შევიდნენ და ცენტრისკენ ერთობლივი მსვლელობა გააგრძელეს.

ვენესუელის დედაქალაქში საპროტესტო აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც გასულ კვირას ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა ოპოზიციის წარმომადგენლებს ასი ათასობით ხელმოწერის დამტკიცებაზე, რომლითაც ქვეყნის მოქალაქეები რეფერენდუმის დანიშვნას მოითხოვდნენ.

ოპოზიციის პარალელურად და საპირისპიროდ, კარაკასში მიტინგებს და ქუჩის აქციებს მართავენ ჰუგო ჩავესის მომხრეებიც, რომლებიც არცთუ მცირერიცხოვან ძალას წარმოადგენენ.

ვენესუელის პრეზიდენტის რეიტინგი, სხვადასხვა გამოკვლევების თანახმად, კვლავ მაღალია. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პრეზიდენტის მომხრეები თავიანთ რჩეულს დიდი ერთგულებით და ენთუზიაზმით იცავენ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ოპოზიციას და პრეზიდენტის მომხრეებს შორის დაპირისპირება კულმინაციას აღწევს. უკანასკნელი ათი დღის მანძილზე მათ შორის შეტაკებებს რვა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

შაბათს გამართულმა დემონსტრაციამ კი, ყველას გასაკვირად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. დამკვირვებლების თქმით, ეს მარში პრეზიდენტ ჩავესის წინააღმდეგ 2004 წელს ყველაზე მასშტაბური და მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია იყო. დემონსტრანტები ვენესუელის ეროვნული დროშის ფერებში იყვნენ გამოწყობილნი და ჩავესის საწინააღმდეგო ლოზუნგებს სკანდირებდნენ.

**"არავის შეუძლია წაგვართვას ჰუგო ჩავესის მშვიდობიანი გზით გადაყენების უფლება,"** - განაცხადა ოპოზიციის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა ლიდერმა ჰენრი რამოს ალუპმა. **"ჩვენ ვენესუელის მოქალაქეებს მშვიდობიანი წინააღმდეგობისკენ მოვუწოდებთ,"** - აცხადებს ოპოზიციის კიდევ ერთი ლიდერი ენრიკე მენდოზა. **"ნახვამდის, არისტიდ! ჩავეს, ახლა შენი რიგია,"** - ასეთია ჩავესის ოპოზიციის მთავარი ლოზუნგი.

დემონსტრაციის დაწყების წინ, ვენესუელის ხელისუფლებამ კარაკასში პოლიციის დამატებითი ძალები გამოიყვანა.

ვენესუელის კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებისათვის, სულ ცოტა, 2,4 მილიონი ხელმოწერაა საჭირო. ოპოზიციის მტკიცებით, მათ უკვე 3,2 მილიონი მოქალაქის ხელმოწერა აქვთ შეგროვებული. საარჩევნო კომისია კი აცხადებს, რომ მათგან ნამდვილი მხოლოდ 1,8 მილიონი ხელმოწერაა, ხოლო დანარჩენი - გაყალბებულია. ოპოზიცია ამას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ საარჩევნო კომისია ჰუგო ჩავესის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს. გარდა ამისა, ისინი პრეზიდენტს ბრალს სდებენ ადამიანის უფლებების დარღვევასა და ოპოზიციის წევრების დევნაში.


საპროტესტო აქცია კარაკასში.

თავის მხრივ, ვენესუელის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ოპოზიციური მოძრაობა აშშ-ს მიერ მართვადი და წაქეზებულია. თუმცა, ვენესუელის პრეზიდენტი მტკიცედ აცხადებს, რომ ის მზად არის, ბოლომდე იბრძოლოს და მისი დამხობის ნებისმიერ მცდელობას წინ აღუდგეს. ჰუგო ჩავესი ასევე მზად არის, დაუპირისპირდეს ვაშინგტონის "ძირგამომთხრელ პოლიტიკას" და აშშ-ს ნავთობის მიწოდება შეუწყვიტოს. ვენესუელას ხომ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილი უკავია. **"ვენესუელა არ არის ჰაიტი და არც ჩავესია არისტიდი,"** - აცხადებს პრეზიდენტი ჰუგო ჩაევესი.

მისი მხარდამჭერები ასევე მზად არიან ბოლომდე ბრძოლისათვის და ისინიც ვენუსუელისადმი მტრული პოლიტიკის წარმოებაში ვაშინგტონს სდებენ ბრალს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, რასაკვირველია, ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ის ვენესუელის საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს. ამავე დროს, ევროკავშირმა უკვე გამოთქვა შეშფოთება ვენესუელაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გამო და დაპირისპირებულ მხარეებს პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოუწოდა.

ვენესუელის მოვლენების გამო, საერთაშორისო თანამეგობრობის წუხილი, პირველ რიგში, ვენესუელის ნავთობს უკავშირდება - კარაკასი ხომ ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტორია მსოფლიოში. ამიტომ, ვენესუელის ხელისუფლებაში ყოფნა, უპირველეს ყოვლისა, დიდ ფულს და ფინანსებს უკავშირდება. ცხადია, ჩავესი და მისი გარემოცვა, ჰაიტის დამხობილი პრეზიდენტის არისტიდისგან განსხვავებით, ძალაუფლებას ასე ადვილად არ დათმობს. როგორც ჩანს, უკან დახევას არც ოპოზიცია აპირებს, რომლის ლიდერებსაც, ყოველგვარი უარყოფის მიუხედავად, გარედან გაწეული მხარდაჭერა მაინც ეტყობათ. ასეთ შემთხვევაში, ვენესეულაში არსებული კრიზისი ახლო მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და ქვეყანა შესაძლოა, შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მივიდეს. ვენესუელაში სამოქალაქო ომის დაწყება კი აუცილებლად იქონიებს გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაზე, რადგან სამხრეთამერიკული "შავი ოქრო" სწორედ კარაკასის განკარგულებაში იმყოფება.




# გაითვალისწინეთ, რომ ხართ ამ ქვეყნის მოქალაქეები!

პირველი გვერდიდან

ამისთვის, მე არ დავიხევ არც ერთი ნაბიჯით უკან!

გათავხედებული თავგასული ადამიანები, რომლებსაც არაფრის არ ეშინოდათ - მათი ნაწილი უკვე ციხეშია და მეორე ნაწილს ვპირდები, რომ აღმოჩნდება ციხეში! სანამ მე პრეზიდენტი ვარ, სასამართლო მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომ ამ პერიოდში მათ ხალხი არ შეაწუხონ. ამ ხალხს ჩვენ მოვუვლით, იმიტომ, რომ საქართველოში შეიქმნა კასტა თავგასული, გათავხედებული ადამიანებისა, რომლებიც არა თუ ბიზნესმენები და სახელმწიფო მოხელეები არიან, არამედ, ესენი არიან უბრალოდ ჩვეულებრივი განგსტერები, რომლებიც იტაცებდნენ ხალხს, თავის კონკურენტებს ცხვირ-პირს ამტვრევდნენ, ფეხით აღებდნენ მინისტრების კარებს და საერთოდ, ეს მინისტრები არაფერი არ იყვნენ მათთვის. ნიშნავდნენ საბაჟოსა და საგადასახადოს უფროსებს, შემდეგ ხსნიდნენ მათ.

არ გამოვრიცხავ, რომ მათი უმეტესი ნაწილი კიდევ უარეს ქმედებებს ჩადიოდა!

ასეთი ხალხის ადგილი საქართველოში აღარ არის! იმიტომ, რომ სადაც არის ასეთი ხალხი, იქ დანარჩენი საზოგადოება აღარ არსებობს და ჩვეულებრივი ადამიანებისთვის იქ ადგილი აღარ რჩება.

აქ მყოფი ადამიანები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ თავგასულობა და განუკითხაობა ქვეყანაში აღარ იყოს!

ყველამ ერთად უნდა მოვარჯულოთ თავგასულები, არა მარტო იმიტომ, რომ მე მსურს ასე, არამედ იმიტომ, რომ ამ პირებმა ხალხის ცხოვრება არ მოწამლონ.

იცით, რომ მეორე მხრივ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საქართველოში კრიმინოგენული ვითარება გამოსწორდეს!

მაგალითად, რა ხდებოდა ამ დღეებში ქუთაისში? იქ ერთი უბანია, საფიჩხიის ერთი ნაწილი, რომელიც ოფიციალურად ოკუპირებული აქვთ კანონიერ ქურდებს და მათდამი დაქვემდებარებულ პირებს. ესენი არიან მუქთახორა, გაფუჭებული და გათახსირებული ადამიანები. მაგათი კოდექსი ფლიდობის, ერთმანეთის დასმენის და ერთმანეთის ღალატის კოდექსია!

მაგრამ, თავი სერიოზული ავტორიტეტები ჰგონიათ.

მოხდა ისე, რომ ქუთაისში, სადაც ისედაც სოციალურად გალატაკებული ხალხი ცხოვრობს, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ. პრაქტიკულად, მეწვანილე არ არის ბაზარში, რომელიც მათ ფულს არ უხდის, აღარ ვლაპარაკობ ბენზინგასამართ სადგურებზე და ასე შემდეგ.

ყველა ქვეყანა განთავისუფლდა ასეთი ხალხისგან!

რუსეთში აღარ არის ამგვარი რეკეტი, უკრაინამაც დაიწყო ამ მიმართულებით ქმედებები, აზერბაიჯანში და სომხეთში არც ყოფილა არასდროს, იმიტომ, რომ აქ სხვაგვარად იყო თავიდანვე საქმე დაყენებული.

საქართველოში ყოველივე ეს ჯერ კიდევ არსებობს!

ისინი იმდენად გათავხედნენ, რომ გატაცებული მანქანები შეიყვანეს უბანში, ჩაკეტეს გზა და ყველას უთხრეს, აქ არ შემოგიშვებთო.

პოლიციამ სცადა შესვლა და ატეხეს სროლა, რის შემდეგაც სამი პოლიციელი და კიდევ ერთი უდანაშაულო მოქალაქე დაიღუპა.

ძველი მთავრობა რომ ყოფილიყო, ამას გადაყლაპავდა და გეტყვით, რაც მოხდებოდა, დარეკავდნენ შინაგან საქმეთა მინისტრთან. ნარჩემაშვილის პირადი ძმაკაცი იყო ეს რამდენიმე ქურდი ქუთაისში, ამის ათასობით დამადასტურებელი მასალა არსებობდა. აიღებდა ეს ქურდი ტელეფონს, დაურეკავდა ნარჩემაშვილს, იგი თავის მხრივ დაურეკავდა პოლიციას და ცხოვრება გაგრძელდებოდა ძველებურად!

დღეს, მართლაც, ბრწყინვალედ მუშაობენ გია ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი, რა თქმა უნდა - ირაკლი ოქრუაშვილი!

მე ვუთხარი მათ, რომ ყველა ძალის მობილიზებით დაერტყათ ალყა ამ უბნისთვის, გადაეკეტათ ქუთაისი და ვინც დასაჭერია - დაეჭირათ!

რა წიკვინიც არ უნდა იყოს იქ სხვადასხვა ადამიანების მხრიდან, ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!

ამ ხალხის საქმიანობა თითოეულ მოქალაქეს და განსაკუთრებით თითოეულ ბიზნესმენს საფრთხეს უქმნის. იმიტომ, რომ ეს ხალხი პირველ რიგში მოდის თქვენთან, სადაც ფული ეგულებათ. თქვენ შორის არიან ადამიანები, ვინც არ ეპუება მათ, არის ხალხი ვინც მართლა რისკზე წავიდა, არის ხალხი ვიზეც ტერაქტებია მოწყობილი და მაინც არ შეუშინდა არაფერს და მაინც აგრძელებს ძველებურად მათ იგნორირებას.

მაგრამ, ასევე, არის ხალხი, ვინც მათ ფულს უხდის და ეს თქვენ ძალიან კარგად იცით.

გადაუხადეთ ეს ფული თქვენს საკუთარ ბიზნესს, თქვენს საკუთარ განვითარებას და გადაუხადეთ ნაწილი თქვენს საკუთარ სახელმწიფოს, უფრო ზუსტად - არა სახელმწიფოს ზოგადად, არამედ სკოლებს, ჯანდაცვის სისტემას!

საქართველოში ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიშალოს!

სამეგრელოს რეგიონთან დაკავშირებით შევარდნაძეს ჰქონდა კომპლექსი და სწორადაც ჰქონდა!

არც ერთ რეგიონზე არ გადაუვლია უბედურებას ისე, როგორც სამეგრელოზე, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ყველაზე მდიდარი ხალხი იქ ცხოვრობდა!

ამ რეგიონში პოლიცია და უშიშროება გახდა ფილიალი ადგილობრივი ბანდიტებისა. სამეგრელოში უშიშროება დაკავებული იყო ბენზინის კონტრაბანდით, პოლიცია ნარკოტიკებით, სხვადასხვა ტვირთების გადაზიდვით, სიგარეტის კონტრაბანდით.

როგორც კი დავიწყეთ წმენდა, პირველი რეაქცია იყო ის, რომ დაესხნენ თავს პოლიციის ქვეგანყოფილებას და რამდენიმე წესიერი ადამიანი, რომელიც იქ იყო და გაბედა წინააღმდეგობა გაეწია, დახვრიტეს ძალიან ცივსისხლიანად. ასი მეტრის მოშორებით მდგარი სპეცრაზმი რომ არა, ბევრად მეტი პატიოსანი პოლიციელი დაიღუპებოდა.

მათ გადაწყვიტეს, რომ ერთბაშად ყველაზე ეძიათ შური!

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არ მოვითმენთ!

ჩავატარეთ ოპერაციები და ყველა დაპატიმრებულია, რამდენიმე გაიქცა, მაგრამ იმათაც ავიყვანთ.

უნდა გენახათ ამის შემდეგ როგორ გვხვდებოდა ხალხი სამეგრელოში. მათ პირველად ამოიღეს ხმა, პირველად დაიწყეს ინტერვიუების მიცემა, ადრე იცოდნენ, რომ ასეთი რამისთვის სახლს აუფეთქებდნენ, მერე კი იტყოდნენ, რომ ბრძოლის ველია და აფხაზებმა გაანადგურესო.

აფხაზებს საკუთარი ცოდვებიც ეყოფათ!

ეს ყაჩაღები, ძირითადად პარტიზანებს რომ უწოდებენ თავიანთ თავს, პარტიზანები არ არიან, ისინი ჩვეულებრივი კონტრაბანდისტები არიან, რომლებიც აფხაზებთან ერთად დაკავებულნი არიან საკუთარი ხალხის ძარცვით და ერთი ჯიხური არ არის, რომელიც მათ ფულს არ აძლევს.

სადამდე შეიძლება ამგვარი სიტუაციის მოთმენა?!

ასეთივე ჯგუფები იყო სამტრედიასა და ხონში.

ასეთ ჯგუფებს ჩვენ გამოვუცხადეთ ომი!

ჩვენ არ ვუყურებთ იმას, რომ ვიღაცა შევიდა რომელიმე პარტიაში, დაგვიმეგობრდა და არის ხელშეუხებელი!

გული გამისკდა, როდესაც გაზეთში წავიკითხე, რომ ბონდო შალიკიანი არის "ნაციონალური მოძრაობის" წევრი!

ასევე გაუსკდა გული ქუთაისის მოსახლეობის 90 პროცენტს, იმიტომ, რომ თუ აღარ ხარ ქურდი და ბანდიტი, რაშიც ეჭვი ძალიან ბევრს ეპარება, პოლიტიკაში მაინც რაღას მოდიხარ, გაერიდე პოლიტიკას და აკეთე ის შენი ბიზნესი წყნარად!

ეს დეპუტატობა მათ რაღაც ინდულგენცია ჰგონიათ!

დამთავრდა ასეთი დეპუტატობა!

ხვალ-ზეგ მე ვიბარებ ჩვენი სიის ყველა წევრს და ვეუბნები; ან ყველანი მოაწერთ ხელს, რომ პირველივე დღეს სადეპუტატო იმუნიტეტს გაიუქმებთ ან სუყველას ამოგიღებთ სიიდან!

არ არსებობს შავ და თეთრ ადამიანებს შორის დაყოფა!

არიან ბიზნესმენები, რომლებიც არიან პარლამენტში და რასაც უნდათ იმას აკეთებენ, ვერ შეეხები, და არიან ბიზნესმენები, რომლებიც არიან პარლამენტს გარეთ და არიან ზანგები!

ასეთ ხალხს შესაძლოა სხვაგვარად მოეპყრო!

ჩვენი ფუნქცია და პროგრამაა, რომ ყველა უნდა იყოს თანასწორ მდგომარეობაში!

ამავე დროს მე სრულებით არ მსიამოვნებს, რომ ამ კაცს სტაცეს ხელი და უხერხულ მდგომარეობაში გამოიყვანეს პირდაპირ საწოლიდან.

ამგვარი რამეები არ უნდა კეთდებოდეს, ისევე, როგორც მიმაჩნია, რომ ადეიშვილის დაპატიმრება სპეცრაზმით არ იყო სწორი, ვინაიდან იგი ბანდიტი არ არის და არანაირი შეიარაღებული ბანდა არ ჰყავს.

მაგრამ, როდესაც შეიარაღებული რაზმი აპირებს, რომ შტურმზე წამოვიდეს, ჩვენ იარაღს გამოვიყენებთ, რადგან, შევარდნაძისგან განსხვავებით, ჩვენ ამის მორალური უფლება გვაქვს და კანონი ამას გვავალდებულებს!

იარაღას გამოვიყენებთ იქ, სადაც კანონით არის დაშვებული და არსად უკან დახევა არ იქნება!

ჩვენ ვაპირებთ, რომ უსაფრხოების ძალები თანამედროვედ აღვჭურვოთ. მათ აქვთ უკვე ყველა აპარატურა იმისთვის, რომ არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები, არ სცემონ ადამიანები.

ის უბედური ჟურნალისტი რომ სცემეს აჭარაში, სრულიად უკანონოდ, ამგვარ რაღაცას მე არასდროს დავუშვებ ქვეყანაში!

მაგრამ, ამავდროულად კანონის დამრღვევსა და ყაჩაღს შესაბამისად მოევლება და ეს ყველამ უნდა იცოდეს!

ეს არის უკვე ერთიანი გუნდი და აღარ არის ისე, რომ საააკაშვილი ვერ იტანდა თარგამაძეს, თარგამაძე საააკაშვილს, ერთმანეთს უთხრიდნენ ძირს და სახელმწიფო ასე იმართებოდა.

შევარდნაძეს ასეთი სტილი ჰქონდა!

მე იმ კაცთან რომ მივდიოდი, ვხედავდი, რომ მას არ აინტერესებს ქვეყანა შენდება თუ არა, არ აინტერესებს წესრიგი არის თუ არა, მას აინტერესებდა რომ მე, ჩხარტიშვილს, თარგამაძეს ერთმანეთი დაგვეჭამა და ამას ყველანაირად უწყობდა ხელს!

მე არ მინდა, რომ სულ ჩემს წინამორბედზე ვისაუბრო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რაც იყო!

როგორ მუშაობენ ჩვენები? გუშინ იყო ოპერაცია ქუთაისში; შემდეგ მოხდა ის, რომ ქვემო ქართლში, წითელ ხიდზე, ისარგებლეს იმით, რომ მე აზერბაიჯანში გახლდით (უნდა გითხრათ, რომ მართლაც დავუმეგობრდი ილჰამ ალიევს და ბედმა გაგვიღიმა, ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში), დრო იხელთეს ადგილობრივმა კონტრაბანდისტებმა და ავტობუსით გამოარღვიეს სასაზღვრო კორდონი.

მესაზღვრე, პირველად ამდენი წლის მანძილზე, არ შეუშინდა და გამოიყენა იარაღი. მადლობა ვუთხრათ იმ მესაზღვრეს და თუ საჭიროა, დავაჯილდოვოთ ფულადი პრემიით! დაპატიმრებულია იმ ავტობუსის აზერბაიჯანელი მძღოლი. მე ვუხარი, რომ ჩვენ ძმობა გვინდა აზერბაიჯანელებთანაც და სხვებთანაც, მაგრამ ჩემთვის აზერბაიჯანელი და ქართველი კონტრაბანდისტი არის სულ ერთი!

ყველა ერთნაირად აგებს პასუხს, მით უმეტეს ისეთი, რომელიც ეცდება, გამოარღვიოს ბარიერები.

ამის შემდეგ ერგნეთში ოსებმა ატეხეს ერთი ამბავი, ასევე ეთნიკურ ნიადაგზე, რომ ჩვენ აქ გვჩაგრავენ და ასე შემდეგ.

კანონი არის საკმაოდ მკაცრი და ამ კანონს უნდა დაცვა!

მე ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ რაიმე სპეციალურ მითითებებს ჩვენ არ ვიძლევით.

მაგალითად, როდესაც "ომეგაში" შევიდა პროკურატურა, მე ეს გავიგე საღამოს 6 საათზე, ტელევიზიით, რაც საკმაოდ მოულოდნელი იყო ჩემთვის.

ეს არც ჩემი დავალებაა და არც ჩემი მითითება!

ჩვენ უნდა მივხედოთ იმას, რომ კანონიერება არ უნდა გადაიზარდოს რეპრესიებში!

ეს არ უნდა გადატყდეს ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც არაფერში დამნაშავენი არ არიან.

ამავე დროს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში იყოს ბევრად უკეთესი!

საქართველომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მიიღო უზარმაზარი რეკლამა მთელ მსოფლიოში!

გუშინ იყო ჩამოსული ტიმ სებასტიანი, "ბი-ბი-სი"-ს ერთ-ერთი გადაცემის ავტორი.

არასოდეს ეს კაცი არ ჩადის სხვა ქვეყანაში სპეციალური გადაცემის ჩასაწერად!

ის, რომ საქართველოს აქვს დადებითი ცნობადობა, დასაფასებელია!

ახლა ამას კაპიტალიზაცია და გამოყენება უნდა!

პირველი, რასაც მთელ მსოფლიოს ვეუბნებით, არის ის, რომ საქართველოში იქნება ბევრად უფრო უსაფრთხო გარემო და ბიზნესმენებს აღარ მოიტაცებენ.

მეორე - საქართველოში ბევრად დაიკლებს კორუფცია. რა თქმა უნდა, ასი პროცენტით ამის აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მაღალი დონის სამთავრობო კორუფცია საქართველოში აღარ იქნება.

ყოველივე ეს რაღაც დონემდე მიღწეულია, თუმცა ჯერ კიდევ შორი გზა გვაქვს გასავლელი.

საქართველოში უნდა იყოს მომგებიანი საინვესტიციო კლიმატი, მაგრამ მე მინდა, რომ ყოველივე ეს ჩვენ ყველამ ერთად შევქმნათ. გვყავს საკმაოდ საინტერესო და ძლიერი ბიზნესმენები.

ჩვენ გვყავს ძალიან გამოცდილი ხალხი, მათ შორის - სხვა ქვეყნებშიც. გვყავს მსოფლიო კლასის მინიმუმ ერთი ბიზნესმენი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელსაც აქვს საერთაშორისო გამოცდილება და ცნობადობა.

ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო გარემო, რომელზეც პირადად მე ვიმუშავებ.

აზერბაიჯანში ყველაზე დიდხანს ველაპარაკე ალიევს იმაზე, რომ აზერბაიჯანი და საქართველო, პრინციპში, წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სივრცეს და განვითარების დონით, დაახლოებით, ერთნაირი ქვეყნები არიან.

აზერბაიჯანი არის ძალიან დინამიურად მზარდი ბაზარი, მაგრამ საქართველო მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ ეს არის გასვლა შავ ზღვაზე და მთავარი საკომუნიკაციო ხაზი. გარდა ამისა, ქართველების მიმართ მათ აქვთ გამორჩეული კეთილგანწყობა.

ამას უნდა გამოყენება! მე ვუთხარი, მოდით შევქმნათ სამთავრობო კომისია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აღარ იყოს საბაჟო ბარიერები და ეკონომიკური საზღვრები.

უნდა იყოს ერთიანი ეკონომიკური სივრცე, იმიტომ, რომ ცალ-ცალკე ეს ქვეყნები კარგად ვერ განვითარდებიან. საქართველო მათთვის არის ბუნებრივად აუცილებელი პარტნიორი.

მაგრამ, ჩვენ სომხეთთანაც უნდა შევძლოთ ნორმალური ურთიერთობების დამყარება.

საქართველოს შეუძლია შექმნას ერთიანი კავკასიური ბაზარი და ყოველივე ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ!

იგივეა რუსეთთან დაკავშირებითაც.

ჩემი პუტინთან შეხვედრისას დამყარდა კრემლის აბსოლუტური რეკორდი, ვინაიდან შეხვედრამ სამსაათნახევარი გასტანა.

ამ საუბარს უამრავი შედეგი მოჰყვა.

ორ თვეში შევეცდებით, რომ გავამარტივოთ სავიზო რეჟიმი.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ ვერ ვიყენებთ რუსეთის შესაძლებლობებს. რუსეთში არსებობს სტერეოტიპი, რომ საქართველო არის საშინელი ქვეყანა, სადაც არის არეულობა და ასე შემდეგ, მაგრამ დღეს ეს სიტუაცია იცვლება.

საქართველოზე ამდენი პოზიტიური სატელევიზიო სიუჟეტი არ გადაცემულა, რამდენიც ჩემი ვიზიტის დროს და შემდგომი რამდენიმე კვირის განმავლობაში მივიღეთ.

ძალიან დაგვეხმარა, სხვათაშორის, ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც აკონტროლებს იქ რამდენიმე გაზეთს.

მაგრამ, ეს იყო პირდაპირი მითითება კრემლიდან, რომ რამდენიმე წამყვან ტელევიზიაში გასულიყო დადებითი სიუჟეტები საქართველოზე.

რუსეთთან ახლა საჭიროა ინტენსიური ურთიერთობა.

მე შევეცდები, რომ რუსეთთან პოლიტიკური ფაქტორები მოვხსნა არაპრინციპულ საკითხებში დათმობების ხარჯზე.

არის ბევრი საკითხი, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია საერთო ენა გამოვნახოთ.

წინა პარლამენტმა, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, მიიღო განკარგულება, რომ სანამ რუსეთი აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს, ჩვენ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ უნდა შევუშვათ.

ჩვენს ინტერესებში არ არის, რომ რუსეთი მოქმედებდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით და გვქონდეს ჩვენი გასასვლელი რუსეთის ბაზარზე?

მეორე მხრივ, ჩვენ მივიღეთ მყარი გარანტიები და იმედია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა შეასრულებს ამ გარანტიებს, ანუ საქართველოს შიდა საქმეებში, განსაკუთრებით რეგიონებსა და ცენტრს შორის ურთიერთობებში, რუსეთი აღარ ჩაერევა.

ეს მათი საქმე არ არის, ეს ჩვენი შიდა საკითხებია!

ახლა მივდივართ თურქეთში და ამ ვიზიტისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს თურქეთის პრემიერ-მინისტრს ერდოგანს. უნდა გითხრათ, რომ თურქული ინვესტიციები გამზადებულია საქართველოში შემოსასვლელად. უბრალოდ, საჭიროა ელემენტარული სტიმული.

რა თქმა უნდა, მცირე და საშუალო ბიზნესში ამგვარი ინვესტიციების შემოსვლა საკმაოდ საინტერესოა. არის ძალიან დიდი რაოდენობის თავისუფალი კაპიტალი თურქეთში.

ამიტომ სახელმწიფოს ფუნქცია მე მესმის ასე, რომ შეგიქმნათ სტაბილურობა, პროგნოზირებადი თამაშის წესები, ნორმალური საგადასახადო გარემო და ნორმალური საერთაშორისო გარემო.

კონკრეტულ ვიზიტს უნდა მოჰყვებოდეს კონკრეტული შედეგები!

არიან ოლიგარქები, რომლებიც რამდენიმე ასეული მილიონის ჩადებას აპირებენ საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენვე არ ჩავაფლავოთ სიტუაცია!

ახლა მთავარი საკითხი - საგადასახადო სისტემა.

საგადასახადო სისტემა არის ძალიან მნიშვნელოვანი არა მარტო თქვენი სტიმულირებისთვის, არამედ იმისთვის, რომ სახელმწიფო არ დაგვემხოს თავზე!

ორი მთავარი პრობლემაა: ერთია, რომ საგადასახადო სისტემა არის ძალიან გართულებული და არეულ-დარეული; მეორე არის ის, რომ საგადასახადო სამსახურები აქამდე მუშაობდნენ უკიდურესად არაეფექტურად!

ასეთ პირობებში გამოვლინდა საგადასახადოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც გუშინ მილიონ 350 ათასი გადაიხადა და ციხიდან გათავისუფლდა. ეს ხომ თქვენი ჯიბეებიდან ამოღებული ფულია! ეს ხომ ის ფულია, რომელიც სახელმწიფოს არ შეუვიდა.

ჩემი ამოცანა ის კი არ არის, რომ ესენი დავალპოთ ციხეში, ჩემი ამოცანაა, რაც მოიპარეს, მოიტანონ უკან და ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, ოღონდ კანონში შევიტანოთ ცვლილება, რომ ასეთ ხალხს 20 წლის განმავლობაში არ შეეძლოთ სახელმწიფო სამსახურისკენ გახედვაც კი! მიკარებაც კი პარლამენტთან და სხვადასხვა სამინისტროებთან! მოიტანეთ რაც მოიპარეთ და სადაც გინდათ, იქ წასულხართ, თუმცა ყველაზე ეს შეიძლება არ გავრცელდეს!

პირველი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, ის არის, რომ საგადასახადო სისტემაში კორუფცია აღმოვფხვრათ!

ახლა იქმნება საგადასახადო პოლიცია და მე ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს ეს შეიძლება არ გახარებდეთ, მაგრამ გარწმუნებთ, როდესაც მათთან ურთიერთობას დაამყარებთ, ნახავთ, რომ ეს იქნება ბევრად უფრო სუფთა, ბევრად უფრო ობიექტური და დისტანცირებული სამსახური!

მინიმალური ხელფასი ამ საგადასახადო სისტემაში იქნება 800-900 ლარი. ხალხის შერჩევა მოხდება განსაკუთრებული კრიტერიუმებით.

უნდა იყოს ყველასთვის თანაბარი თამაშის წესები!

მაგრამ, მე ისიც მშვენივრად მესმის, რომ აქამდე თქვენ არაფერში დამნაშავე არ იყავით და ეს იყო ისეთი თამაშის წესები, რომ თქვენ ასე ყოფილიყავით, ამგვარად გადაგეხადათ და გარიგებებში შესულიყავით.

თუ სასამართლო გაამტყუნებს, ჩვენ წავართმევთ ქონებას ლევან მამალაძეს და ის სასახლეები, რომლებიც მას გააჩნია, გადაკთდება საბავშვო ბაღებად.

ასეთ ხალხს გარკვეული ქონება ჩამოერთმევათ!

რა თქმა უნდა, რკინიგზის ყოფილ შეფს თუ სასამართლო გაამტყუნებს, ქონება ჩამოერთმევა, მაგრამ ბიზნესმენის ქონება არის ხელშეუხებელი, როგორი გადასახადების დამალვითაც არ უნდა იყოს ის მოპოვებული.

ჩვენ არ ვაპირებთ რაიმე ჩამოგართვათ, მაგრამ ყველასთვის დადგინდა ერთნაირი წესები. იხდის ერთი გადასახადს, გადაიხდის მეორე! ეს არის ჩვენი პრინციპი! ამიტომ ვისაც აქვს მილიონზე ნაკლები დავალიანება, ასეთი არის დაახლოებით 90 პროცენტი, ჩვენ საერთოდ არ შევეხებით მას!

დანარჩენებმა კი უნდა გააკეთონ დეკლარირება და დავალიანების 10 პროცენტი გადაიხადონ. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოვახდინოთ არაფორმალური სექტორის ფორმალიზება.

რატომ არ მუშაობს ჩვენთან კაპიტალი? არ მუშაობს იმიტომ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ვერ ქმნის სერიოზულად ახალ კაპიტალს.

თუ არ ხდება კაპიტალიზაცია, თუ არ ხდება აქციების ბირჟებზე გატანა, თუ არ ხდება კონტრაქტის კანონით დაცვა, თუ არ ხდება საკუთრების დაცვა, მაშინ, რა თქმა უნდა, ეკონომიკა ვერ ვითარდება!

ამავე დროს ჩვენ უნდა შევცვალოთ საგადასახადო სისტემა მთლიანობაში. აქაც არის ორი საკითხი: ერთი სავალუტო ფონდთან ჩვენი ურთიერთობა, რომელიც მზადაა აღადგინოს შევარდნაძის დროს შეჩერებული მუშაობა. მაისის ბოლოს ჩვენ უნდა გვქონდეს შეჯერებული პროგრამა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საგადასახადო სისტემა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სოციალური გადასახადი უნდა შემცირდეს, იმიტომ, რომ მოხდეს ხელფასების რეაბილიტაცია.

რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აქ უნდა მოხდეს საერთო კონსენსუსის მოძებნა, ეჭვს არ იწვევს, რომ გადასახადების სახეობები უნდა შემცირდეს და იგი უნდა იყოს მარტივი და გასაგები!

ასეთივე გზით უნდა ვიაროთ სხვა მიმართულებებით.

მე გთხოვთ, რომ ეს ორი თვე რამენაირად გავიჭირვოთ, სანამ არ შეიქმნება ახალი საგადასახადო სისტემა.

ამ ორი თვის განმავლობაში იქნება გადასახადების ამოღება და საგადასახადო ორგანოები ამ მიმართულებით იმუშავებენ. საქართველოში არის მოსახლეობის 50 პროცენტი, რომელიც ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სოფლებში ბავშვების 60 პროცენტს არ აქვს ფული, რომ შეიძინოს სახელმძღვანელო.

ქვეყანაში 7 ათასიდან 9 ათასამდე ადამიანი, გიგი წერეთელი დამიდასტურებს, კვდება მხოლოდ იმის გამო, რომ მას არ აქვს ელემენტარული ქირურგიული მკურნალობის ფული.

მე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ სახელმწიფომ ნაკლები ხარჯოს თავის მინისტრებზე, მოადგილეებზე... ზუსტად წარმომიდგენია, რამდენი კაცის გადარჩენა შეიძლება იმით, რომ პრეზიდენტი ხვალ ნაკლებად კომფორტული რეისით გაფრინდეს.

თქვენც უნდა გაითვალისწინოთ ეს გადასახადების გადახდის დროს.

ამას ყველაფერს იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ პოპულისტი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლო ღაფავს სულს.

როდესაც ყველაფერი გაქვს, ძალიან ადვილია ყველაფერ ამის არდანახვა.

მე მოვიარე საქართველო, 225 ადგილზე გავმართე შეხვედრა საარჩევნო კამპანიის დროს, გუშინ კი სწორედ ჟურნალისტმა მითხრა, რომ რა მაგარი ხარ, როგორ დათანხმდი ამ ჩემს რთულ შეკითხვებსო. იცით, რა არის რთული კითხვა? რომ დაჯდებით ქუთაისის საქალაქო რადიოში და ქალი რომ გირეკავს და გეუბნება, 260 ლარს თუ არ მომცემთ წამლებისთვის, მე მოვკვდები შემდეგ კვირასო. ასეთი ადამიანი არის ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ გვგონია. აი, ამაზე არ მაქვს პასუხები და არა იმაზე, თუ რომელი საკონსტიტუციო მოდელი ჯობია.

ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენც გამოიჩინოთ სოციალური სოლიდარობა.

ერთი რამ მინდა იცოდეთ, რომ თითოეული ბიზნესმენის დამცველი ვიქნები მე! მე არ დავუშვებ, რომ ხელები აფათუროს პროკურატურამ.

მეორე მხრივ, არის სისხლის სამართლის საქმეები აღძრული, არის კონკრეტული საეჭვო საქმიანობები, მაგრამ მე არ დავუშვებ იმას, რომ რაიონის პროკურორის თანაშემწემ მოინდომოს ბიზნესმენის შემოწმება რაღაცა თითიდან გამოწოვილი ბრალდებების გამო.

ეს არის ჩემი ფუნქცია და ჩემი ამოცანა ამ ეტაპზე!

დავუშვათ მოვატანინეთ ამათ მოპარული 30 მილიონი, ჩამოვართვით სახლები და გადავეცით საბავშვო ბაღებს, ამით ეკონომიკას ხომ ვერ ავაღორძინებთ. ყველაფერი ეს სამართლიანობისთვის კეთდება, რომ ხვალ ახალი მამალაძე არ გაჩნდეს!

რომ იძახიან, რატომ დააკავეს პრეზიდენტის სიძეო, თქვენ არ იცით, რა სახის სუფთა ბიზნესი იყო ეს?

რევოლუციის მესამე დღეს გვირეკავს ერთი დიდი სახელმწიფო საწარმოს დირექტორი და გვეუბნება, რომ ყოველი თვის ბოლოს 500 ათასი დოლარი ჯოხთაბერიძესთან მიმქონდაო, ხვალ მიწევს მიტანა და ვისთან მივიტანო კონკრეტულად ეს თანხაო?

იგი ხომ ჩვეულებრივი რეკეტიორი იყო?!

პირველი ადამიანი, რომელიც მოვა ჩემი სახელით, ჩემი ძმა რომ იყოს იგი და რაღაც პატარა მინიშნებას გააკეთებს, შეგიძლიათ აკრიფოთ ჟვანიას ან ჩუბინიშვილის ტელეფონი და პირობას გაძლევთ, რომ მკაცრად ვაგებინებ პასუხს კანონის წინაშე.

თქვენ უნდა გიცავდეთ კანონი, თქვენი აქტიურობა და თქვენი ბიზნესმარიფათი.

ნებისმიერი მინისტრი, რომელიც არ შეასრულებს თავის მოვალეობას, გათავისუფლებული იქნება.

ამიტომ ითამაშეთ სხვა თამაშის წესებით!

სახელმწიფოს ჩარევის შიში ბიზნესს არ უნდა ჰქონდეს.

მეორე მხრივ, ჩვენ მოგვიხსენით შიში იმისა, რომ ხვალ შეიძლება ისე ჩამოინგრეს საშემოსავლო ბაზარი, რომ საქართველოში დაიწყოს მშიერი ბუნტი და ხალხი, მართლაც, საბოლოოდ გადავიდეს ჭკუიდან.

საბოლოო ჯამში ჩვენ პარტნიორები ვართ ერთ საკითხში, რომ ჩვენ გვინდა დინამიური, ოპტიმისტური, ეფექტური საქართველო, რომელსაც აქვს პერსპექტივა!

ყველაზე რთული პერიოდი არის ეს 7-8 თვე, იმიტომ, რომ მოლოდინი არის დიდი. დავოსში ყოფნის დროს, მეხვეწებოდნენ უცხოელები, გვითხარით, რაში ჩავდოთ ფულიო. მე პირდაღებული ვუყურებდი, იმიტომ, რომ ის რაც გამატანეს წინა მთავრობის მიერ შექმნილმა სტრუქტურებმა, იყო უბრალოდ დაცინვა და მართლაც არანაირი სურვილი არ მქონდა წამეკითხა ეს!

მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო არმიისთვის, ზოგადი უსაფრთხოებისთვის, ენერგეტიკული სუბსიდირებისთვის, მაგრამ არ ვიცი, ზუსტად რა პროექტები უნდა მივცე. ეს უნდა გააკეთოთ თქვენ!

მე გთხოვთ, გამოიყენოთ ჩვენი რესურსები!

ბევრი რამ კეთდება, მაგალითად, თემურ ჭყონიას გულის გასახეთქად, "პეპსის" ქარხანა გახსნეს თბილისის შემოსასვლელში.

ასევე უნდა იყოს ბევრი სხვა პროექტი, მართალია ზოგისთვის კონკურენტი იქნება, ზოგს თქვენს ფირმაში ჩადებენ.

დააკვირდით რამდენად შორს წავიდა "თიბისი".

მართლაც, იგი არის მსოფლიო დონის ბანკი.

ხომ შესაძლებელი ყოფილა წარმატების მიღწევა?

მე ვარ თქვენი ადვოკატი. სხვათაშორის, როდესაც დავიწყე საადვოკატო საქმიანობა, ცუდი ადვოკატი არ ვყოფილვარ. მზად ვარ ვიყო თქვენი საერთაშორისო დონის ადვოკატი!

თქვენც გაითვალისწინეთ, რომ ხართ ამ ქვეყნის მოქალაქეები!

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არ იყოს სიღარიბე, არ იყოს უპერსპექტივობა და ადამიანებს ჰქონდეთ ამოსუნთქვის საშუალება!

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*



*ბიზნესმენები კმაყოფილები არიან პრეზიდენტის თანადგომით.*

# ვინ აღმოჩნდება ციხეში - პროკურორი თუ ბრალდებული?

*კახელი ძალოვანები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას "ლიფსიტებით" იწყებენ, მაგრამ ნადირობა წარუმატებლად მთავრდება, რის გამოც ისინი ახალ სკანდალში ეხვევიან. იმ შემთხვევაში, თუ გურჯაანის პროკურორს რევაზ ჩივიაშვილს და გამომძიებელ ემზარ ჯიქურაშვილს ადვოკატთა კოლეგია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას დაუმტკიცებს, შესაძლოა მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. გამორიცხული არ არის, რომ მათ გვერდზე ახალი ხელისუფლების მიერ კახეთში გაგზავნილი "მაშველებიც" აღმოჩნდნენ. საქმე ეხება სოფელ ჭერმის გამგებლის დაპატიმრებას.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გურჯაანის რაიონში პირველი შემთხვევა არ არის, როცა უდანაშაულო ადამიანების დაკავება და მათი პასუხისგებაში მიცემა ხდება. ნაცვლად იმისა, რომ ასეთ უკანონობას მოეღოს ბოლო, პირიქით ხდება. ახალი ხელისუფლების გულის მოგების მიზნით, რაიონის პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი და გამომძიებელი ემზარ ჯიქურაშვილი ახალ სკანდალში ეხვევიან. საქმე სარწყავი მილების უკანონოდ ამოღებას და გაყიდვას ეხება. პირველი, ეგრეთ წოდებული ანტიკორუფციული, დარტყმა კი სოფელ ჭერმის გამგებელმა, გოგი მთავრიშვილმა იწვნია. მას რაიონის სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

რამდენად სამართლიანად მოხდა მთავრიშვილის დაკავება, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ იმ ფაქტების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლითაც ამჯერად გამოძიება ხელმძღვანელობს, საეჭვო ხდება, რომ მთავრიშვილი შეკვეთის მსხვერპლი გახდა და იგი მართლაც ისეთი ბოროტმოქმედი არაა, როგორც თავდაპირველად რაიონის პროკურორმა ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე დაახასიათა. მთავრიშვილს პროკურატურამ ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წაუყენა: **"გოგი მთავრიშვილი სოფლის სარწყავი სისტემის დემონტაჟთან ერთად, მილების უკანონოდ გაყიდვასაც ახორციელებდა,"** - ასეთ განცხადებებს აკეთებდა რევაზ ჩივიაშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას. ამ ბრალდების საფუძველზე ჩივიაშვილმა ჭერმის გამგებელს მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა: **"ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა, შესაძლოა რვიდან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს,"** - ამბობდა ჩივიაშვილი. ამ ყველაფრის მიზეზად ის მიკრო-ელექტროსადგური სახელდება, რომელიც ჭერმის ხევზე შენდება. ჩივიაშვილი მიიჩნევს, რომ ჰესის აშენება მხოლოდ საფუძველია იმისა, რომ **"გამგებელს ხელი მოეთბო, მდინარეს კი არა აქვს ისეთი დინება, რომ ენერგია გამოყოს."** ამ ფაქტს კი კატეგორიულად აპროტესტებს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი ვახტანგ კაპანაძე. იგი მიიჩნევს, რომ მტკიცებულება, რომელსაც პროკურატურა გამოძიებაში იყენებს, თითიდან გამოწოვილი და უსაფუძვლოა: **"აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს, რადგან მტკიცებულება არ არსებობს. აქ ცოტა სხვაგვარად არის მდგომარეობა. ამჟამად ამ ადამიანის გათავისუფლება რომ მომხდარიყო, სხვა კონკრეტულ პირთა დაკავების საკითხიც დადგებოდა. სწორედ ამას აარიდა თავი პროკურატურამაც და სასამართლომაც და მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა,"** - აცხადებს ადვოკატი კაპანაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ მილები, რომლის ამოღების გამოც პროკურატურამ გამგებელი დააპატიმრა, 1982 წლიდან არის შესული ექსპლუატაციაში, მაგრამ არ უმუშავია. სწორედ ამის გამო, შარშან რაიონის გამგეობის ინიციატივით, დაიწყო მიკროელექტროსადგურის მშენებლობა და ეს მილებიც ამ საქმეს უნდა მოხმარებოდა. სარწყავი სისტემა თავის დროზე მელიორაციის დეპარტამენტს ეკუთვნოდა, შემდეგ იგი სოფლის ბალანსზე გადავიდა და მილები უკვე საზოგადოებრივი მიზნების გამოყენებისთვის იყო გათვლილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის საფუძველზე დაიწყო სამმეგავატიანი ჰესის მშენებლობაც, რადგან სოფელს ათი წელია, შუქი თვალით არ უნახავს: **"არსებობს სოფლის ადმინისტრაციული დადგენილება, რომელიც არავის გაუუქმებია, სადაც სოფლის ნებაა გამოხატული ჰესის მშენებლობის შესახებ. თუ ისე წავიდა საქმე, როგორც პროკურატურას სურს, მაშინ ჭერმელებიც უნდა დააკავონ, რადგან მილების ამოღებაში მათაც დიდი წვლილი მიუძღვით,"** - ამბობს კაპანაძე.

პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში ეჭვს ისიც იწვევს, რომ გამომძიებელმა ჯიქურაშვილმა ვერ მიანიშნა, მილები რა ადგილას იყო ამოღებული და ამჯერად სად ინახება. სოფლის მოსახლეობის განცხადებით, მათ ძალოვანი უწყების თანამშრომლები სოფელში საერთოდ არ უნახავთ: **"უკვე რამდენი წელია, რაც ამ სოფელში ვარ და წესრიგის დამყარება არავის უფიქრია. ისე იღებდნენ მილებს, რომ არავინ დაინტერესებულა, რა ხდებოდა. ამის თაობაზე ჩვენმა გამგებელმა გოგიამ პოლიციას მიმართა დახმარებისთვის, მაგრამ "კედელს ცერცვი შეაყარეო". შუქი კიდევ რამდენი წელია, რაც არ გვინახავს, არჩევნებისთვის ისე ვიყავით გაველურებულები, რომ არც ვიცოდით, ვინ იყო სააკაშვილი და რაზე ვაძლევდით ხმას. ახლა კიდევ გაინაღდეს, ვარდის კოკრები თვითონ დარჩათ და ეკლებზე კიდევ ჩვენ დაგვსვეს. გოგია რომ არ ყოფილიყო, აქმდე შიმშილით დავიხოცებოდით. ეგ კაცი გვატანინებს ყველას ჭირ-ვარამს,"** - ამბობს ჭერმელი ვახტანგ წიკლაური.

პროკურატურა რომ არასწორად აწარმოებს ძიებას, ამის ერთ-ერთი დასტურია ისიც, რომ განაჩენის გამოტანის დროს, მოსამართლის ოთახში პოლიციის უფროსი და პროკურორი იმყოფებოდნენ, რაც კანონს ეწინააღმდეგება. **"იმ დროს, როდესაც ასეთი სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, მის კაბინეტში უცხო არავინ უნდა იყოს,"** - ამბობს კაპანაძე.

სასამართლომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოგი მთავრიშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატი კი ამტკიცებს, რომ ჭერმის გამგებლის უდანაშაულობას დაამტკიცებს და შესაძლოა, მერე სისხლის სამართლის საქმე პირიქით - პროკურორის და გამომძიებლის წინააღმდეგ აღიძრას. იმ შემთხვევაში, თუ ჭერმის გამგებელს დროულად არ გაათავისუფლებენ, სოფლის მოსახლეობა 28 მარტის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს და შიმშილობის აქციით იმუქრება.







## ანტიკრიმინალური ოპერაციები კახეთშიც დაიწყო

გასულ კვირას საქართველოს რამდენიმე რეგიონში დაწყებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას კახეთის გუბერნატორიც გამოეხმაურა. პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა კახეთში პეტრე ცისკარიშვილმა რეგიონში დამკვიდრებულ კრიმინალურ სამყაროსთან საბრძოლველად, გუშინ გამთენიისას, საგარეჯოს რაიონიდან აიღო სტარტი.

"კახეთში ახალი პროცესი იწყება: ვერც ერთი კრიმინალი, "შავი" და "ქურდი" რეგიონში ველარ ითარეშებს", - აცხადებს რწმუნებული.

საგარეჯოს რაიონულმა პოლიციამ და შს კახეთის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმმა განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად საგარეჯოში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, კრიმინალური ავტორიტეტი გიორგი როსტიაშვილი, მეტსახელად "ვარაბსკოი" დააკავეს. მოსამართლის ბრძანებით, მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივთიერება "მორფი", ფსიქოტროპული საშუალებები და საბრძოლო მასალა, მათ შორის - ხელყუმბარები ამოიღეს.

გიორგი როსტიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობისა და იარაღის უკანონო ტარების მუხლით აღიძრა. პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, კრიმინალებთან ბრძოლა კახეთის ყველა რაიონში აქტიურად გაგრძელდება. *24 საათი*

## ადამიანებით ვაჭრობის გამო, შესაძლოა "მესამე კალათაში" აღმოვჩნდეთ

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის წარმომადგენლობის კვლევისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ხელმძღვანელის მარკ ჰულსტის ინფორმაციით, არსებობს ეჭვი, რომ საქართველო, ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების არაეფექტურად განხორციელების გამო, კვლავ ე. წ. მესამე კალათაში აღმოჩნდება. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსებს სახელმწიფო დეპარტამენტში 1 მარტამდე უნდა წარედგინათ საანგარიშო დასკვნები, ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

„ჯერჯერობით, არ გახმაურებულა, რა სახის ინფორმაცია მოამზადა ამერიკის საელჩომ საქართველოში, თუმცა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ საქართველო ყველაზე მძიმე – მესამე კალათაში აღმოჩნდება”, - აცხადებს მარკ ჰულსტი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში 1 ივნისამდე უნდა გაანალიზდეს და გადამოწმდეს საელჩოებიდან მიწოდებული მონაცემები. დეპარტამენტის საბოლოო გადაწყვეტილება ივნისში გახდება ცნობილი.

მესამე კალათაში გადასვლის შემთხვევაში, საქართველოს შეუწყდება უცხოური დონორი ორგანიზაციების ფულადი დახმარება და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯი საგრძნობლად შეილახება. **მედია-ნიუსი**

## ადამიანის უფლებების შვედი დამცველები სემინარებს ჩაატარებენ

შვედეთის ადამიანის უფლებათა დაცვის რაულ ვალენბერგის ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, გაერო-ს პროგრამის ფარგლებში, ერთობლივ სემინარებს გამართავენ. სემინარის თემაა ომბუდსმენის ოფისისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების განვითარება სამხრეთ კავკასიაში. სემინარს დაესწრებიან სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ლომსაძე, აპარატის რეგიონული რწმუნებულები, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოწვეული სტუმრები, გაერო-ს წარმომადგენელი კარინა იმუნენი, ვალენბერგის ინსტიტუტის პროფესორი ბრაიან ბურდეკინი. სემინარები თბილისში 8 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით გაიმართება. **მედია-ნიუსი**




# ქუთაისის ახალი მთავრობის ახლებური მეთოდები

## ანუ ნესტში დაყრილი უნიკალური სამუზეუმო მასალები

*მაკედონელისა არ იყოს, პოსტრევოლუციურ ახალ მთავრობას კვანძების გახსნა ხშირად ხმლის საშუალებით ურჩევნია ხოლმე. კაცმა რომ თქვას, ეს არც თუ ისე ცუდია, როდესაც საქმე კრიმინალებსა და კორუფციასთან ბრძოლას ეხება. მაგრამ, როდესაც იგივე მეთოდებით კულტურულ მემკვიდრეობას ეპყრობი, საქმე, რბილად რომ ვთქვათ, უკულტურობასთან გვაქვს, და თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ - ვანდალურ-ბოლშევიზმთან.*

ნინო ცინცაძე

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1922 წელს დაარსდა და მასში იმერეთის მხარეში მოპოვებული ქართული ოქრომჭედლობის უნიკალური ძეგლები, ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები და სხვა იშვიათი მასალები ინახება. დღეს ამ მუზეუმის ძირითადი ნაწილი ქუთაისის ცენტრში, რუსეთის მეფის დროინდელ საგუბერნიო სასამართლოს შენობაშია განლაგებული. სასამართლო რეფორმის პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკმა ამ შენობის აღდგენის და ისევ სასამართლოსათვის გადასაცემად სერიოზული თანხები გამოყო. შენობა სასამართლოს უნდა გადაეცეს. ამაზე არავინ დავობს. თუმცა, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს შესაბამისი ფართი გამოეყოს.

**"ამ მუზეუმს ბედად დაჰყვა, რომ ყოველთვის ატყუებენ, -** ამბობს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ თევზაძე, **– შარშან ქუთაისში ბატონი ალბერტ თავხელიძე, მე, ბატონი ანდრია აფაქიძე და ბატონი ზაზა ალექსიძე ჩავედით იურისტთან და ინჟინერთან ერთად. მოველაპარაკეთ თემურ შაშიაშვილს, მაშინდელ საკრებულოს თავმჯდომარესა და ქალაქის მერს. გვიჩვენეს რამდენიმე შენობა, სადაც ექსპონატები გადავიდოდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ შენობაზე პრეტენზიები სხვებსაც აქვთ."** საუბარი იყო გელათის აკადემიის შენობაზე, თუმცა შემდეგ მის მფლობელობაზე პრეტენზია საპატრიარქომ განაცხადა. შესაძლო ვარიანტად განიხილავდნენ მოქალაქეთა კავშირის ძველ ოფისსა და აბრეშუმსართავის შენობასაც. მაშინ შაშიაშვილი პირობას დებდა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ სასამართლოს შენობის გასარემონტებლად გამოყოფილი თანხიდან ნაწილს ამ შენობის გარემონტებისათვის გამოყოფდა და მუზეუმს იქ გადაიტანდა.

წინა ხელისუფლების მიერ შეუსრულებელი პირობების შესრულება არც ახლანდელ მთავრობას უფიქრია. ბატონმა დავით მუმლაძემ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს შესთავაზა, - ექსპონატები 8 თვით გელათის აკადემიის ერთ სართულზე გადავიტანოთ, შემდეგ კი რამე სხვა შენობას მოგინახავთო, - რაზედაც პასუხად მიიღო, რომ სანამ კონკრეტულ, შესაბამის შენობაზე ხელშეკრულება არ იქნებოდა ხელმოწერილი, ექსპონატების გატანაზე საუბარი უნდა შეწყვეტილიყო.

საუბარი შეწყდა. დაიწყო მოქმედება. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხანდაზმულ დირექტორს ბატონ მიხეილ ნიკოლეიშვილს, როგორც თავად აცხადებს, დოკუმენტზე ხელი ძალით მოაწერინეს და, უკვე რამოდენიმე დღეა, იქედან ექსპონატებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ზურგით ეზიდებიან. 1 მარტს სასამართლოს წარმომადგენლებმა შეტეხეს მუზეუმის ფონდსაცავის დალუქული კარი და თვითნებურად, ყოველგვარი აღრიცხვის და წესების დაცვის გარეშე, სატვირთო მანქანებზე შეყარეს სამუზეუმო მასალები. შემდეგ ეს ექსპონატები პირდაპირ შეაგდეს გელათის აკადემიის შენობაში, რომელიც სამუზეუმო ფონდების დასაცავად სრულიად შეუფერებელია - შენობაში ჩამოდის წყალი, ფანჯრებზე არ არის გისოსები, ფანჯრების ჩარჩოები დაზიანებულია და არ იკეტება, პირველ სართულზე კედლები ნესტისგან მთლიანად დაობებულია და დაბზარული. იქ შეტანილ ხის ფონდის XI-XVIII-XIX საუკუნის მასალებს ორ კვირაში ნესტისგან სრული განადგურება ემუქრება.

როგორც მუზეუმის თანამშრომლები აცხადებენ, ეს ვანდალური აქტი ქუთაისის გუბერნატორის დავით მუმლაძისა და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა მამალაძის მიერ დაქირავებულმა მუშებმა მოახდინეს. ბატონი დავით მუმლაძე ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ბატონმა მამუკა მამალაძემ კი ერთი სიტყვით განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, შემდეგ კი მოიმიზეზა, - ხმა აღარ ისმისო და ტელეფონი გათიშა.

# რელიგიათა საბჭოური კავშირი

*რა შეიძლება ჰქონდეს საერთო სახელმწიფო იდეოლოგიის ლათინო-ამერიკულ მოდელს და დსთ-ს ქვეყნების რელიგიათშორის ფორუმს? თითქოს არაფერი. ქართულმა მედიამ 2-4 მარტს მოსკოვში ჩატარებული ზემოთხსენებული ფორუმი, რომელსაც საქართველოში წმინდა ქეთევან წამებულის ხატის ჩამოტანა მოჰყვა, მისი წმინდა ნაწილებით, დიდი ზარ-ზეიმით გააშუქა. ზედმეტი შეკითხვა არავის გასჩენია. თითქმის არავინ დაინტერესებულა, რა არის ეს დსთ-ს ქვეყნების რელიაგიათშორისი ფორუმი, ვინ გაწევრიანდა მასში და რა მიზნებს ისახავს. არადა, საინტერესოა.*

ნინო ცინცაძე

პირველი შეკითხვა ბუნებრივად ჩნდება. რატომ წარმოადგენს დსთ-ს სივრცე ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციებისათვის ისეთ ღირებულებას, რომ მის სახელს რელიგიურ გაერთიანებათა ფორუმი ატარებდეს? რამდენადაც მე მესმის, რელიგია და რელიგიური ღირებულებები ზესახელმწიფოებრივი და ზენაციონალური მოვლენაა და, შესაბამისად, მისი ამ ნიშნებით გაერთიანება სწორი არ უნდა იყოს. მაგრამ, თუ ეს გაერთიანება მაინცდამაინც სახელმწიფოებრივ სიბრტყეზე უნდა ხორციელდებოდეს, რაღა მაინცდამაინც დსთ, რომელიც საბჭოთა კავშირის ულიმლამო პირმშოა და მეტი არაფერი? რატომ ერთიანდებიან ამ ფორუმში მხოლოდ მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, იუდეველები და ბუდისტები? რატომ ეუბნებიან უარს კათოლიკებსა და პროტესტანტებს? რატომ არ აშინებს საქართველოს ეკლესიას ეს ფორუმი, მაშინ, როდესაც მან 1997 წლის 20 მაისს ყველა საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია დატოვა? და ბოლოს, რატომ მოუწყვეს ქართველებმა რომის პაპს სამარცხვინო დახვედრა იმ მოტივით, რომ ის პოლიტიკოსია და მეტი არაფერი, და რატომ ჩაერთო ახლა ასე აქტიურად ქართული ეკლესია დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში?

ყველა ამ შეკითხვას, სამწუხაროდ, მაგრამ ერთადერთი, ლოგიკური ხაზი შეიძლება კრავდეს. თავის დროზე საბჭოთა იმპერიას ძლიერი კომუნისტური იდეოლოგია აერთიანებდა. იმ დროს მსოფლიოში პირობითად სამი სამყარო არსებობდა: ამერიკა და ევროპა თავისი დასავლური ღირებულებებით, საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სოციალისტური ღირებულებებით და ისლამური აღმოსავლეთი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ბალანსი მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის ამ თვალსაზრისითაც, დაირღვა. რუსეთს თავისი იმპერიალისტური მისწრაფებების განსახორციელებელი იდეოლოგია ხელიდან გამოეცალა. თუმცა დროებით. ახალმა პრეზიდენტმა, როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და, რაც მთავარია, გამოცდილმა "კაგებეშნიკმა" ეს ნიშა ძალიან მოხერხებულად შეავსო. შეავსო მართლმადიდებლური რელიგიით, რომლის იმპერიალისტური იდეებისათვის გამოყენების ტრადიცია რევოლუციამდელ რუსეთს ისედაც დიდი ჰქონდა.

პუტინის PR-ისტი სტანისლავ ბელკოვსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ მეორე ვადის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პრეზიდენტმა ლათინო-ამერიკული მოდელი - პრეზიდენტი, ეკლესია, ეროვნული გვარდია - უნდა აიღოს, რომელიც უცხო არც მეფის დროინდელი რუსეთისათვის იყო. პრეზიდენტიც ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. მან შეირიგა ამერიკის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, უკრაინაში ჩავიდა და მხარი დაუჭირა რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ მართლმადიდებლურ ეკლესიას, აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსი ხალხის კონგრესში, რომლის იდეური შინაარსიც დაახლოებით ასეთი იყო: რუსი მართლმადიდებლების ფრთის ქვეშ უნდა გაერთიანდეს ყველა მართლმადიდებელი ტრადიციის ხალხები: უკრაინელები, ბელორუსები, ბულგარელები, ქართველები და ბერძნები. ახლა კი ეს ყოველივე დსთ-ს ქვეყნების ფორუმით დაგვირგვინდა. შეიქმნა რელიგიათშორისი მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც სერიოზული რელიგიურ-პოლიტიკური ბერკეტია რუსეთის ხელში.

ვისაც ძველი დრო ახსოვს და ფორუმის მასალებსაც გაეცნობა, ცხვირში აშკარად საბჭოთა კავშირის "ნაზი სურნელი" მოხვდება. მაღალი რანგის დელეგაციები, ელჩებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გახმოვანებული საპრეზიდენტო მიმართვები და ერთიანობის ნოსტალგია. ენაც სუფთად საბჭოურია. აი, ნახეთ: "Координацию деятельности Президиума Совета и представление его интересов осуществляют 4 сопредседателя. Заседания Президиума Совета в рамках Межрелигиозных миротворческих форумов созываются не реже одного раза в три года. Текущую работу Совета, а также представление его интересов согласно делегированным Президиумом Совета полномочиям выполняет его Секретариат".

ფორუმს მიმართვა დსთ-ს ქვეყნების ოთხმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, რობერტ კოჩარიანმა, ილხამ ალიევმა და მიხეილ სააკაშვილმა გაუგზავნა. ოთხივე პრეზიდენტის ტექსტი ერთმანეთის მსგავსი, ასეთი ღონისძიებებისათვის შესაფერისი მოკლე მიმართვაა, თუმცა ერთმანეთისგან რაღაცით ოთხივე მათგანის კილო მაინც განსხვავდება. პუტინის მესიჯი შემდეგია: დღეს, როდესაც მსოფლიო შეიცვალა, ტრადიციულმა რელიგიებმა თავის თავზე ბევრი რამ უნდა აიღოს; კარგია, რომ დსთ-ს ქვეყნების რელიგიური ორგანიზაციები ინახავენ და ანაყოფიერებენ დსთ-ში შემავალი ქვეყნების კეთილმეზობლურ ტრადიციებს. ალიევი მისი ქვეყნის სხვა რელიგიათა მიმართ ტოლერანტობის ტრადიციას უსვამს ხაზს და იმედს გამოთქვამს, რომ ფორუმი ყარაბახის პრობლემის მოგვარებაში შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს. სომხეთის პრეზიდენტის მიმართვის ტექსტი ისეა აწყობილი, რომ კაცს პირდაპირ სომხური აქცენტით ხმამაღლა წაკითხვა მოგინდება. პრეზიდენტი საკუთარ თავს პირველი პირის მრავლობითი რიცხვით აღნიშნავს და ამით მოსკოვში მიმდინარე პროცესებისადმი ღრმა მოწიწებას გამოხატავს, მოკლედ "თქვენი ვარ, თქვენთვის მოვკვდები, თქვენზედვე მგლოვიარეო". პრეზიდენტი სააკაშვილი გაჭირვებულ ხალხს თავის ამ მიმართვაშიც არ ივიწყებს და გამოთქვამს იმედს, რომ ეს ფორუმი ჩვენი ქვეყნების ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ და ლტოლვილ ღარიბ მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნების საქმეში დაეხმარება.

მოკლედ, თავის სათქმელს ყველა თავისებურად ამბობს, ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც პუტინის მიმართვაა, რომლის იდეური გაგრძელებაც ფორუმის მიერ მიღებული საბოლოო დოკუმენტია. თითქოს სხვათაშორის, მაგრამ დოკუმენტში წერია, რომ რელიგიათშორისი ურთიერთობის ეს მოდელი მისაბაძი უნდა გახდეს მთელი მსოფლიოსათვის, რომ დღეს არსებობს საშიშროება, მსოფლიოს თავს მოახვიონ რაღაც გაურკვეველი ერთიანი მოდელი (გლობალიზაციის პროცესის ორღობეში გადაგდებული ქვა), ეს ფორუმი კი ამ უსახო გაერთიანების ძლიერ ალტერნატივად იქცევა, რომელიც ერთიანობის პირობებში ერებსა და რელიგიებს საკუთარ სახეს არ დააკარგვინებს. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და გამტარებელი კი, რა თქმა უნდა, რუსეთი და მისი მართლმადიდებლური ეკლესიაა. დოკუმენტში ერთი ქვა იმათ მიმართაცაა ნასროლი, ვინც აგრესიულ პროზელიტიზმს ეწევა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმათ მიმართ, ვინც საკუთარ რელიგიას ქადაგებს. საერთოდ ქადაგება და მქადაგებლები იმისთვის არსებობენ, რომ იქადაგონ, თანაც რაც შეიძლება დაჟინებით, რომ სხვები საკუთარ სიმართლეში დაარწმუნონ. რამდენადაც ვიცი, ცეცხლითა და მახვილით შუასაუკუნეების შემდეგ არც ერთი რელიგია არ გავრცელებულა. რატომ გაუჩნდათ 21 საუკუნეში ფორუმის წარმომადგენლებს პროზელიტიზმისადმი ისეთი შიში, რომ იგი საბოლოო დოკუმენტშიც მოიხსენიეს, გაუგებარია. პატარა კენჭუკა არც ჟურნალისტებს აცდათ, მათ, ვინც ბოლო დროს მედიის საშუალებებით ტრადიციულ რელიგიებს აუგად მოიხსენიებს. რაც შეეხება კათოლიკებსა და პროტესტანტებს, როგორც პროდასავლური განწყობილების მატარებლებს, მათ არც კენჭი ხვდებათ, არც კენჭუკა და არც ფორუმში მონაწილეობის მიღების პატივი.

ფორუმის პრეზიდიუმი, რომლის წევრი ჩვენი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქიცაა, სამ წელიწადში ერთხელ შეიკრიბება. შუალედებში კი ფორუმს აღმასრულებელი კომიტეტი უხელმძღვანელებს, რომლის თავმჯდომარეც სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილი იქნება, რომლისგანაც აფხაზები თავის დროზე სოხუმისათვის დამოუკიდებელ ეპისკოპოსის მივლინებას ითხოვდნენ. სწორედ მას მიეცა საშუალება, სამი წლის განმავლობაში ამ დიდი ორგანიზაციის სახელით, გააკეთოს ნებისმიერი განცხადება, მათ შორის, ბუნებრივია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სახელითაც.

ფოსტა

# პასუხი აბსურდზე

ირმა სოხაძე

**ღია წერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ა. აბაშიძეს.**

ბატონო ასლან,

ამ წერილის დაწერის სურვილი თქვენ მიერ ჩემი მისამართით გაკეთებული, ყოვლად უპასუხისმგებლო და აბსურდული ცილისწამების მოსმენისთანავე გამიჩნდა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გულუბრყვილოდ ველოდი "მოამბესა" და "კურიერში" ჩემს საპასუხო განცხადებაზე თქვენგან რაიმე რეაგირებას. როგორც ჩანს, თქვენ აჭარის ტელევიზიის გარდა სხვა არხების ყურებით თავს არ იწუხებთ, თქვენი პრეს-ცენტრი და სხვა ინფორმატორები კი თქვენთვის უსიამოვნო და არასასურველ ინფორმაციას არ გადმოგცემენ – სამაგიეროდ უხვად გამარაგებენ აბსურდული მონაჭორებით. რაც მთავარია, თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია ნებისმიერ ადამიანს, რაც მოგესურვებათ, ის დააბრალოთ და მისი შელახული უფლებები და თავმოყვარეობა არაფრად ჩააგდოთ. თქვენ ამას მიჩვეული ხართ.

რაც შემეხება მე, უნდა მოგახსენოთ, რომ არა ვარ ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ჩვეული და არც ვაპირებ ვინმესგან მსგავსი ცილისწამება მოვითმინო. მართალია, ამ კონკრეტულ ბრალდებაზე ბევრმა ადამიანმა – აჭარის მოსახლეობის ჩათვლით - გულიანად იცინა, მაგრამ მე არ მეცინება. შესაძლოა მსგავსი აბსურდი რიგითი მოქალაქისგან რომ მომესმინა, გამცინებოდა კიდეც, მაგრამ როდესაც ამას აკეთებს თქვენნაირი ფიგურა, ადამიანი, რომელსაც ამხელა რეგიონის, მთელი ავტონომიური რესპუბლიკის, ამდენი ადამიანის ბედი აბარია, ეს ტრაგედიაა და ამაში სასაცილოს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ. თქვენი ამასწინანდელი გამოსვლა სომხური დიასპორის წინაშე ერთი ქვეყნის მოსახლეობას შორის შუღლის გაღვივების და "მათი", "მტრების" სისხლიანი იერსახის შექმნის კლასიკური მაგალითი იყო. იმის გარდა, რომ თავს უფლება მიეცით, საქართველოს მოსახლეობა ერთმანეთისთვის დაგეპირისპირებინათ, განაცხადეთ, რომ საქართველოს დანარჩენ მაცხოვრებლებს ისე ძალიან არ გვიყვარს აჭარა, რომ იქ სადამსჯელო რაზმების ჩაყვანას ვგეგმავთ. თანაც ეს განცხადება რუსულ ენაზე, რუსული მედიის და საინფორმაციო სააგენტოების გასაგონად გაკეთდა. ამ გამოსვლაში თქვენ პარალელებს ავლებთ აფხაზეთთან და ოსეთთან და იქ მომხდარ საშინელ სურათებს აცოცხლებთ. შემდეგ განაგრძობთ – მომღერალიც ამბობს, სადამსჯელო რაზმს სათავეში ჩავუდგებიო, ამატებთ – ეს ირმა სოხაძეაო და ბოლოს აზუსტებთ – პატარა გოგონაო, ალბათ იმისთვის, რომ რუსებს და რუსულენოვან მოსახლეობას უკეთ გაახსენოთ ჩემი თავი.

მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები, ვის თავში დაიბადა, ან რა შეიძლებოდა საფუძვლად ჰქონოდა ასეთ "გენიალურობამდე" მარტივ სტრატეგიას, რომ რუსულენოვან აუდიტორიას აჭარის მიმართ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ასეთი "მტრული" და "აუტანელი" დამოკიდებულება ეგრძნო. პირადად ჩემთვის, არამც თუ აჭარაში სადამსჯელო რაზმების შეყვანა, ნებისმიერი ომი და ძალადობა საერთოდ მიუღებელია – მით უფრო საკუთარ მიწა-წყალზე. იგივე მოსაზრება მაქვს აფხაზეთის ომთან დაკავშირებით და ჩემთვის აფხაზეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების იდეაც მიუღებელია. ვერავინ გაიხსენებს და, ცხადია, დოკუმენტურად ვერავინ დაასაბუთებს, მე სადმე ვინმესთვის აჭარაში ძალის გამოიყენება მერჩიოს – რომ აღარაფერი ვთქვათ სადამსჯელო რაზმის სათავეში ჩადგომის მოთხოვნაზე.

საჯარო გამოსვლა, სადაც ჩემი მოსაზრებები დავაფიქსირე აჭარაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ამ ორიოდე თვის წინ გადაცემა "რა ხდება" შედგა, რომლის ჩანაწერსაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი პრეს-ცენტრი ეძებს. ტყუილად ირჯებიან – ჩანაწერი არსებობს, მაგრამ ის თქვენი საშინელი ცილისწამების გასამართლებლად ნამდვილად არ გამოდგება. იქ არავითარი მსგავსი მოწოდება, თქვენთვის სამწუხაროდ, არ კეთდება. მე იმ გადაცემაშიც განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ, რომ ნამდვილად არ განვეკუთვნები თქვენი თაყვანისმცემლების რიცხვს, მაგრამ უსაზღვროდ მიყვარს აჭარა და აჭარლები. მეტსაც გეტყვით – არასოდეს დამისვამს ტოლობის ნიშანი თქვენსა და აჭარის მოსახლეობას შორის, არასოდეს გამიიგივებია ეს ორი ცნება ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ, ვერავითარ შემთხვევაში რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებ თქვენს საშინელ ცილისწამებას.

ვითვალისწინებ რა თემის სიმწვავეს, გთავაზობთ, ორი კვირის ვადაში გაერკვეთ სიტუაციაში და საჯაროდ უარყოთ ჩემ მიმართ წაყენებული უმძიმესი ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას მივმართო ჩემი უფლებების და რეპუტაციის დასაცავად.



www.24hours.ge
24
B

ნოდარ ლადარია

ორშაბათს, 1 მარტს, “24 საათმა” გვახარა, რომ ჰაიტის პრეზიდენტი, **არისტიდი** გაიქცა და ადგილი გაათავისუფლა. მახსოვს, ჰაიტის ადრინდელი პრეზიდენტის, **დიუვალიეს** წინააღმდეგ ამბოხება მაშინ მიმდინარეობდა, როცა საქართველოში გამსახურდიას რეჟიმს ებრძოდნენ. დიუვალიე — გამსახურდია, შევარდნაძე — არისტიდი. აშკარად გასაკვირია ეს პარალელიზმი ჰაიტისთან, ეს ფეხშეწყობილი სვლა დემოკრატიისკენ... ან იქნებ ეს სვლა კი არა, ცვლაა? გაუთავებელი და უმიზნო ცვლა, ლამის ბუდისტური რეინკარნაციების უსასრულო მწკრივი, რომელიც სულ უფრო და უფრო გვაშორებს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ნირვანას?

აი, მაგალითად, **გიორგი ხელაშვილს** სულაც არ გაუკრიტიკებია ახალი ხელისუფლება 2 მარტის სტატიაში *100 დღე — შენიშვნები “შინაგანი განწყობისათვის”*. მან მხოლოდ ის თქვა, ხელისუფლებას კრიტიკა სჭირდებაო, თვით ხელაშვილის კრიტიკის ობიექტი ამ ტექსტში ხელისუფლება კი არ ყოფილა, არამედ... აქ კი ციტატას მოვიშველიებ, თორემ არ დამიჯერებენ: “**დროა, დემოკრატიული მასმედია თავის საქმეს დაუბრუნდეს**”. ასე მთავრდება ეს სტატია და აშკარად ვხედავთ, რომ კრიტიკის ობიექტი სწორედ მასმედიაა. განა ნიშნის მოგებას ნიშნავს კრიტიკა? კრიტიკა, ბერძნულად გაკვეთას, გაჭრას, დანაწევრებას ნიშნავს და მისი მიზანი ობიექტის აგებულების შესწავლაა. ჩემს წინა პუბლიკაციაში ვამბობდი, რომ საზოგადოებას ხელისუფლების მოქმედების ახსნა-განმარტება აკლია-მეთქი: ეს ახსნა-განმარტებაც კრიტიკაა, რომელმაც ნებისმიერ შემთხვევაში (ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვითარება ისეთი, რომ ტრუიზმის გამოთქმას მაიძულებს) ხელისუფლების მოქმედება უფრო ეფექტური და კეთილად გამიზნული უნდა გახადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ სხვა სურათს მივიღებთ: გინებისა და ხოტბა-დიდების უაზრო ნარევს, რომლის წინააღმდეგ გვაფრთხილებს გიორგი ხელაშვილი. სამწუხაროდ, ამ ნარევის პირველი ნიშნები უკვე შეინიშნება...

ოთხშაბათს, 3 მარტს გამოქვეყნებულ ინტერვიუში (*გამოსავალი ჭეშმარიტი რწმენაა*) მღვდელმა **ზაზა თევზაძემ** ასე დაახასიათა ქართველი სამღვდელოების განწყობა “ვარდების რევოლუციამდე”: “**დამოკიდებულება თითქმის ცალსახად ნეგატიური იყო. სამღვდელოება თითქმის ერთხმად იყო ძველი ხელისუფლების კურსის მომხრე**”. მაგრამ რევოლუციის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: “**ახლა უკვე ყველა ღიად უჭერს მხარს ახალ ხელისუფლებას და მასთან მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირების გაბმას ცდილობს**”. ცოტა ქვემოთ ასეთი რამ თქვა მამა ზაზამ: “**ხალხში სასულიერო პირის მიმართ არსებობს ბუნებრივი მოწიწება**”...

მაინც რითია გამოწვეული ის, რომ ჩვენი სამღვდელოება ისევე მსუბუქად რეაგირებს სახელისუფლებო ცვლილებებზე, როგორც ფლუგერი — ქარის მიმართულებაზე? ორასი წლის განმავლობაში მართლმადიდებელი ეკლესია მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას, XX საუკუნეში, მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, იგი თავისებურ სოციალურ ვაკუუმში განაგრძობდა არსებობას, რამაც სამღვდელოების მენტალობა სრულიად დააკონსერვა: ის დღემდე საკუთარ თავს ცალკე სოციალურ კლასად აღიქვამს, როგორც ეს, ალბათ, შუა საუკუნეებში იყო, და სოციალური კლასის შესაბამის პრივილეგიებსა და ეკონომიკურ შეღავათებს ესწრაფვის. ამ პრივილეგიებისა და შეღავათების ერთადერთი გარანტი კი ხელისუფლებაა: ამიტომაც, როგორიც არ უნდა იყოს ის, აუცილებელია მასთან კეთილი ურთიერთობა... გაგიგონიათ ოდესმე, როგორ ამხელდა რომელიმე მღვდელი ხელისუფლებას გაუცემელი ხელფასებისთვის? ან მდიდრებს ახსენებდა მათ სამოქალაქო ვალდებულებებს? არა, სამღვდელოება მხოლოდ იმით თუ იკვეხნიდა, რამდენი უპოვარი ჭამს უფასო სასადილოში... ზუსტად ისე, როგორც რომელიმე ბრალდებული ოლიგარქი, რომელიც მის მდევნელ მართლმსაჯულებას საყვედურობს, ჩემი ბიზნესიდან ამდენი და ამდენი პენსიონერი იკვებებოდაო.

ქართველი ერის მიერ დაგროვილი სულიერი სიმდიდრე, საუკუნეთა მემკვიდრეობა, სიმბოლური კაპიტალი ახლა მხოლოდ იმისთვის იხარჯება, რომ დაუბრკოლებლად იდგე ძლიერის გვერდით. მაგრამ სულიერი კაპიტალის ფლობა, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას ნიშნავს.

ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ მანამდე ის უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა მარტო აკონსერვებდა საზოგადოებრივ ფენებს, არამედ ახლებსაც ქმნიდა...

1 მარტის ნომერში გამოქვეყნდა მეტად უცნაური და ამდენადვე ნიშანდობლივი მიმართვა: “*საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ზურაბ ჟვანიას; მის უდიდებულესობას, ქართულ საზოგადოებას*”. დავანებოთ თავი იმას, რომ მესამე მიმართვის მეტაფორულობა ჩრდილს აყენებს პირველი ორის ოფიციალურობასაც და თვით ავტორთა სერიოზულობაშიც შეაქვს ეჭვი. უბრალოდ, დინჯად განვიხილოთ ტექსტი, რომელიც ასეა ხელმოწერილი: **საქართველოს მწერალთა ფედერაცია**.

აქ დაპირისპირებულია ადამიანების ორი ჯგუფი. ერთი მათგანი განსაზღვრულია როგორც “ცნობილი” მწერლები — ბრჭყალებში ჩასმული ზედსართავი სახელი, როგორც ეტყობა, ავტორების ირონიაზე უნდა მეტყველებდეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბრჭყალებში მხოლოდ ზედსართავი სახელია ჩასმული. ამ ჯგუფში შედიან: “ხოზე ადეიშვილი, ზაალ ბოტკოველი, რეზო ართილაყვა...” და ბევრი სხვაც. მეორე ჯგუფი განსაზღვრულია როგორც “უცნობი” მწერლები და აქაც ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა ირონიას უნდა გულისხმობდეს. ჯგუფში შედიან: “ანა კალანდაძე, ოთარ ჩხეიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე...” და მრავალი სხვაც. ტექსტი გვამცნობს “ცნობილი” ანუ ცუდი და უნიჭო მწერლები მონაწილეობდნენ მწერალთა კავშირის ყრილობაში და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის არჩევნებში, ხოლო “უცნობი” ანუ კარგი და ნიჭიერი მწერლები — არ მონაწილეობდნენ.

დავანებოთ თავი იმას, რომ ორივე ჯგუფში შეიძლება ვიპოვოთ მწერალთა სულ მცირე ერთი წყვილი მაინც, რომლებიც ერთმანეთს, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იტანენ — ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ვცხოვრობთ და ამით ვერავინ გაგვაკვირვებს. იმასაც დავანებოთ თავი, რომ არსაიდან არ ჩანს, რომ სიაში მოყვანილმა ადამიანებმა იცოდნენ ამ განცხადების გამოქვეყნების შესახებ (მაგალითად, **ნაირა გელაშვილმა** ეს ჩემგან გაიგო და, თუმც მეორე სიაში იყო შეყვანილი, საშინლად გაბრაზდა). იმასაც კი დავანებოთ თავი, რომ ორივე სია, თავისთავად, საკმაოდ ჭრელია და ძნელად თუ იძლევა ცალსახა განსაზღვრის საშუალებას, მით უმეტეს, რომ ზედსართავები “ცნობილი” და “უცნობი” საეჭვო ხარისხის მახასიათებლებია. ერთი სიტყვით, დავანებოთ თავი იმას, რომ ეს განცხადება არათუ მწერლის ან მწერლების შედგენილს არა ჰგავს, მას, უბრალოდ, კულტურული ადამიანის ხელიც არ ეტყობა.

მთავარი უბედურება სხვაა — განცხადება გვეუბნება შემდეგს: თურმე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მწერალთა ყრილობაში და თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობდნენ “ცუდი” მწერლები და არ მონაწილეობდნენ “კარგი” მწერლები. მაგრამ როდის უნდა გავითვალისწინოთ ეს? — მაშინ, “**როდესაც თანამედროვე ქართველ მწერალთა სახელით რაიმე ინიციატივას დააყენებს ხელისუფლების ან საზოგადოების წინაშე დღევანდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა**”. სხვა სიტყვებით, განცხადების შინაარსი ასეთია: არ მისცეთ ფული, ისინი ცუდები არიან!

მაგრამ ვინ თქვა, რომ “კარგების” ინიციატივა უფრო მეტადაა გასათვალისწინებელი, ვიდრე “ცუდების”, ან თუნდაც მოქალაქეთა ნებისმიერი ჯგუფისა? განა ეს სასურველი “გათვალისწინება” თვით ინიციატივის შინაარსიდან არ უნდა გამოდიოდეს, და არა მისი წამომყენებლის ვინაობიდან? ამ პირობებში ნამდვილად არაა გასაკვირი, რომ აჭარის ხელმძღვანელობამ შემოიღო თეორია “აღმატებული გენის შთამომავალთა ისტორიული მისიის” შესახებ, რომელიც თურმე მემკვიდრეობით გადადის (3 მარტი, *კმარა სეთურობა და ბაღვაშობა, ანუ ასლან, წადი*). ამ აღმატებული გენის პატრონი, ალბათ, ასლან აბაშიძე და მისი ნათესავები არიან!

მაგრამ, კვლავ მწერლებს დავუბრუნდეთ, რომელთა უპირატესობის საკითხი არანაკლებ სასაცილოა, რადგან ჭეშმარიტ კრიტერიუმებს მწერალთა ანონიმური ფედერაცია კი არ ადგენს, არამედ “ჩვენი უდიდებულესობა” ქართველი საზოგადოება: მწერლის ავ-კარგიანობა მხოლოდ და მხოლოდ იმით განისაზღვრება, თუ ვის წიგნებს ყიდულობენ ქართველები. ამავე დროს, არაა სავალდებულო, რომ მწერლის წარმატების პიკი მისი ბიოლოგიური სიცოცხლის ფარგლებში თავსდებოდეს — წარმატება შეიძლება სიკვდილის შემდეგაც მოვიდეს და ეს არავისი ბრალი არაა. არც ერთ ჭკუათმყოფელ კრიტიკოსს ან ისტორიკოსს არ მოუვა აზრად, საფრანგეთის მთავრობა დაადანაშაულოს, მაგალითად, სიღარიბეში ჩავარდნილი **ჟერარ დე ნერვალის** თვითმკვლელობაში.

აქაც სიმბოლური კაპიტალით სპეკულირებასთან გვაქვს საქმე, როცა “თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის” არსებობის ფაქტი მიჩნეულია დღეს მცხოვრები ნებისმიერი მწერლის მატერიალური კეთილდღეობის უპირობო საფუძვლად. რა თქმა უნდა, მწერალი კეთილდღეობას უპირობოდ მაინც ვერ იღებს, მაგრამ სადაც სამართალია, ამის გამო წუწუნის და საყვედურის საბაბიც არ უნდა გააჩნდეს: “ადამიანის სულის ინჟინრები” არ წარმოადგენენ პრივილეგირებულ სოციალურ ფენას, მათ ისევე უნდა უწევდეთ თავიანთ დარგში არსებობისათვის სასტიკი ბრძოლა, როგორც ნებისმიერ “გარე მოვაჭრეს”. აი, თუ გნებავთ, სამართალი.

წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთი პროფესიონალიზმით ჩვენი მწერლებიც იმ ღიპიან ქუთაისელ პოლიციელებს დაემსგავსებიან, რომლებიც მხოლოდ კაისმა-ჭამას იყვნენ მიჩვეულები, ახლა კი ხელში იარაღით მოუხდათ ოპერაციის ჩატარება. ეს 5 მარტს **ბექა სისაურის** მასალიდან შევიტყვეთ (*ოპერაცია ტრაგიკულად დასრულდა*). აქ სროლის შედეგად გამვლელი დაიჭრა, პოლიციელებმა მთელი უბნის კერძო სახლები გადააქოთეს და რამდენიმე უდანაშაულო კაციც სცემეს კალაშნიკოვის კონდახებით. მიუხედავად ამისა, შსს მინისტრი მაინც აცხადებს: “**მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად დამნაშავეებს ეკისრებათ**”. ტერმინით “დამნაშავე” მინისტრი, უეჭველია, იმ ორ ეჭვმიტანილს გულისხმობს, რომლებსაც, უდანაშაულო გამვლელთაგან განსხვავებით, პოლიციელთა ტყვიები და კონდახები ვერ მიიწვდა. რას იზამ, პასუხისმგებლობის განაწილებას მხოლოდ ახლა ვსწავლობთ. იმედია, ისინი, ვისაც თავიანთი განცხადებით მწერალთა ფედერაციამ მიმართა, შსს მინისტრზე უფრო სამართლიანები აღმოჩნდებიან.

მადლობა ღმერთს, შესაძლო სამართლიანობის ნიშნებიც გამოჩნდა “24 საათში”. ვგულისხმობ, **კახა ჯამბურიას** სტატიას 4 მარტის ნომერში — კიდევ ერთხელ გამოცდების შესახებ. აქ, ბოლოს და ბოლოს, ავტორი გამეფებული სიყალბის წინააღმდეგ ამხედრდა და სათანადო ადგილი მიუჩინა ჩვენს სიმბოლურ კაპიტალს: “**დღემდე არ ვიცი, რატომ ვასწავლით ხუთ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ერთმანეთის მიყოლებით 14 წლის ასაკში, შემდეგ კი მთელ “ვეფხისტყაოსანს” უშველებელი საზეპიროებით. რას ველით შედეგად, რას უნდა მივაღწიოთ ასეთი სასწავლო პროცესით? ... არც ერთი მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ ქართულ კლასიკურ ლიტერატურას არ კითხულობს და უმეტესობას საერთოდ აღარა აქვს კითხვის მოტივაცია**”.

და მაინც ჩვეულ ბილიკზე სიარული ჯერაც ხშირად გვიწევს. უკეთეს შემთხვევაში ეს უშედეგოდ მთავრდება, მაგრამ ხომ შეიძლება იქ მიგვიყვანოს, საიდანაც რის ვაი-ვაგლახით გამოვიქეცით. ტყეში უაზროდ მოსიარულეს სწორედ ასე მოსდის...

აქ კი კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენში სიმბოლური კაპიტალის ყველაზე მსხვილ მფლობელს, ეკლესიას.

მოსკოვში 2-4 მარტს დსთ ქვეყნების რელიგიათშორისი მშვიდობისმყოფელი ფორუმი გაიმართა. ამ მოვლენას ეძღვნება **რუსუდან ნიკურაძის** მასალა (5 მარტი, *პატრიარქები ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ*). ამ მასალიდან საერთოდ არ ჩანს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. არცაა მოხსენიებული, რომ ფორუმი რელიგიათშორისი იყო და მასში მონაწილეობდნენ არა მარტო ნიკურაძის მასალაში დასახელებული მართლმადიდებლები, არამედ სომეხი გრეგორიანელები, მუსლიმები, იუდეველები და ბუდისტებიც. საინტერესოა, რომ არ იყვნენ მოწვეული კათოლიკეები და პროტესტანტები, თუმცა პირველნი, მაგალითად, რუსეთში ტრადიციულ რელიგიათა სიაში არიან მოხსენიებულნი, ხოლო მეორეთა საერთაშორისო გავლენა ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრად აღემატება, მაგალითად, ბუდისტების ან სომეხი გრეგორიანელების გავლენას.

მეორე მხრივ, რუსულ მედიაში, რომლის გაცნობა ქ-ნი ნიკურაძის პროფესიული მოვალეობაა, ამ ფორუმმა სულ სხვა დახასიათება მიიღო. აი, მაგალითად, **კირილე ვასილენკოს** სტატია მეტად ნიშანდობლივი სათაურით: “Союз нерушимый. *Религиозные деятели хотят воссоздать великую страну*” (“ვრემია ნოვოსტეი”, 02.03.2004). ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აქ მხოლოდ საფარველია იმისათვის, რომ აღდგეს “თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური”. არ გჯერათ? ვასილენკოს არ ენდობით? — აი, რა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე მუფტიმ, **მუჰამედლი ხუზინმა**: “*70 წელი ვცხოვრობდით ჩვენ დიად ქვეყანაში. დღეს ჩვენ ეს ქვეყანა წაგვართვეს, ნაწილ-ნაწილ გამოგვგლიჯეს ხელიდან. ჩვენი ფორუმი თავისებური პასუხია ამ მოვლენებზე*”. ახლა კი, თვით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი მეორის სიტყვა: “*თანამეგობრობის ქვეყნებს ზოგჯერ თავისუფლებისა და დემოკრატიის ნაკლებობაში ადანაშაულებენ. მაგრამ, მსოფლიოს სწორედ ჩვენს რეგიონში არ ყოფილა რელიგიური ომები. პირიქით, შეიქმნა რელიგიათა და კულტურათა თანაცხოვრების უნიკალური გამოცდილება*”. ნუთუ ბევრი ფიქრია საჭირო იმაზე, რომ ალექსი მეორე რუსეთის იმპერიას გულისხმობს და დასავლეთს უტევს?

მარტის ფორუმს წინ უძღოდა იანვარში ჩატარებული “რუსი ხალხის VIII საყოველთაო კრება”, სადაც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ იგი აპირებს, გახდეს საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური სუბიექტი. რელიგიათშორისი ფორუმი რუსეთის ეკლესიის მნიშვნელოვანი გასვლაა გეოპოლიტიკურ სფეროში. მიუხედავად იმისა, წერს ვასილენკო, რომ სმოლენსკის მიტროპოლიტი კირილე ამტკიცებს, ფორუმი პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავსო (მაინც როგორ, როცა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებს განიხილავდნენ?!), მის შედეგად არჩეულ რელიგიათშორისი საბჭოს მაინც უდიდესი საშუალებები აქვს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად. თანაც ამ ფორუმის შეკრებები სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, ხოლო ამ პერიოდებში მთელი ძალაუფლება ეძლევა აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია იგივე კირილე, რუსეთის რელიგიურ წრეებში ორი რამით ცნობილი: 1) ზედწოდებით “თამბაქოს მიტროპოლიტი”, რადგან 90-იან წლებში შენიშნული იყო უაქციზო სიგარეტით მაქინაციებში; 2) “გენეტიკური მართლმადიდებლობის” თეორიით, რომელსაც უკვე შევეხეთ მღვდელ ზაზა თევზაძესთან 3 მარტის ინტერვიუში. გარდა ამისა, 1992 წელს სწორედ მას მიმართეს აფხაზმა სეპარატისტებმა თხოვნით, დამოუკიდებელი ეპისკოპოსი დაეყენებინა სოხუმში.

აი, ამ ველიკორუსულ ყრილობაში მიიღო მონაწილეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ და თავისი ორიგინალური ინიციატივაც შესთავაზა: “*ღვთისმსახურებმა უნდა აიღონ თავიანთ თავზე მშვიდობისმყოფელთა პასუხისმგებლობა კონფლიქტურ ზონებში დაუბრკოლებელი გადაადგილების უფლებით*”. რა კეთილად ჟღერს! მაგრამ, მაგალითად, სანახევროდ წარმართული მოსახლეობის მქონე აფხაზეთში ვინ უნდა იყოს მშვიდობისმყოფელი? — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი, რომელიც თავის დროზე ტანკებსა და ბლინდაჟებს აკურთხებდა და აფხაზებს დღემდე არ დავიწყებიათ ეს, თუ რომელიმე ვაჰაბიტი? ერთი რამ მაინც აშკარაა: ვაჰაბიტი ვერ შევა, რადგან მუსლიმებიდან რუსებმა ფორუმზე მხოლოდ საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილი “სულიერი მმართველობები” დაუშვეს. სხვათა შორის, ამ ფაქტიდანაც გამომდინარეობს, რომ რელიგიური პრობლემატიკა მართლაც მეორეხარისხოვანი იყო ფორუმზე, თორემ ისლამის წიაღში არსებული წინააღმდეგობები, ალბათ, პირველ რიგში უნდა განეხილათ. არა, მოიწვიეს სუკის ისლამური ფილიალები და კმაყოფილნიც არიან.

აი, ეს ყველაფერი უნდა სცოდნოდა ქ-ნ ნიკურაძეს. მაგრამ არ იცოდა. ნუგეში ერთია: უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, **ვანო მერაბიშვილის** 4 მარტს გამოქვეყნებული ინტერვიუ: “**ჩვენ გვჭირდება სუფთა, პატიოსანი ადამიანები და არა “პროფესიონალები”**”. აქ ვსარგებლობ შემთხვევით და ვიტყვი, რომ მიუხედავად ვანო მერაბიშვილის მიერ არაერთხელ გამოთქმული აზრისა, რომ ყველა სტატია, რომლის შინაარსიც მას არ მოსწონს, შეკვეთილია, დარწმუნებული ვარ, კობა ლიკლიკაძის პუბლიკაცია *რას უქადის ქვეყანას უშიშროების სამინისტროს დეპროფესიონალიზაცია* (6 მარტი) სრულიად გულწრფელად და უანგაროდაა დაწერილი. დიახ, დეპროფესიონალიზაცია საშინელებაა, რადგან თუ საქართველოს პრეზიდენტი ხან პირჯვარს იწერს და ხან მაგიდაზე აკაკუნებს, რელიგიაში და მის გარშემო არსებულ პრობლემებში ისე მაინც უნდა ერკვეოდეს, რომ მიხვდეს, თუ რა ფორუმზე გააგზავნა ოფიციალური მისალმება.

იმედია, “24 საათის” ფურცლებზე დსთ რელიგიათშორისი ფორუმის უფრო საფუძვლიან განხილვასაც ვიხილავთ, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი მომავალი არჩევნის შესაგნებად ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა და, მეორეც, გამეორება ცოდნის დედაა.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ბიძინა მაყაშვილის სვეტი



# თებერვალი

წელიწადში 12 თვეა და ყველა თვე ერთმანეთს ჰგავს; ყველა, გარდა თებერვლისა. გარდა იმისა, რომ ყველაზე მოკლეა, ოთხ წელიწადში ერთხელ ერთ დღეს უმატებენ, თუმცა ესეც არ შველის - სხვა თვეებს მაინც ვერ ეწევა. ასეთ წლებს ნაკიანს ეძახდნენ და ბავშვობაში იმით ვიმახსოვრებდი, რომ ნაკიან წლებში ოლიმპიური თამაშები იმართებოდა.

ამ ბოლო ხანებში ოლიმპიური თამაშები ნაკლებად მაღელვებს. თამაშებისადმი ინტერესს, ძირითადად, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოქროს მედლის მოლოდინი თუ მინარჩუნებს, რომელიც აგერ უკვე 12 წელიწადია გრძელდება. გაერთიანებული სამინისტროს ახალი მინისტრისგან ამ ნაკიან წელს არც ოლიმპიურ ოქროს მოველი და არც ჩემპიონთა ლიგის თასს, მაგრამ მართალი გითხრათ, ძალიან მომბეზრდა ამაყი სინანულის გრძნობა, რომელიც მაშინ მეუფლება, როცა ოლიმპიურ პედესტალზე ქართული გვარის სპორტსმენი ადის, ხოლო ტელევიზორის დინამიკებიდან უცხო ქვეყნის ჰიმნი მესმის. იქნებ ამ ეტაპზე ის მაინც მოვახერხოთ, რომ ჩვენ სპორტსმენებს ცხოვრების და ვარჯიშის ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე არ ვათქმევინოთ უარი. ანდა ვეცადოთ, სპორტი პოპულარული გავხადოთ, რომ მის ნებისმიერ სახეობას მაყურებელი და გულშემატკივარი ჰყავდეს; იმდენი მაინც, რომ პოტენციურ ინვესტორს რომელიმე კლუბში ან სპორტის სახეობაში რეკლამის ჩადების სურვილი გაუჩნდეს.

ეს ისე, ოლიმპიურ წელიწადთან და იმასთან დაკავშირებით, რომ, როცა ამ ცივ, ევროპულ თებერვალში Euronews-ზე ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვისას, ხალხით გადაჭედილ ტრიბუნებს (თანაც, არც თუ ისე საფეხბურთო ქვეყნებში) ვუყურებდი, ძალიან მწყდებოდა ხოლმე გული.

რაც შეეხება თებერვალს, არ ვიცი - მართლა მოკლე რომ არის იმიტომ, თუ ყველაფერი ამ პერიოდში მოხდა, მაგრამ ფაქტია, მოვლენებით ძალიან გადატვირთული 29 დღე გამოვიდა. მარტო საერთაშორისო შოუბიზნესი აიღეთ: "ბერლინალე", "გრემი", "ოსკარი". სამივე მოვლენას ბევრი რამ აქვს საერთო: პოლიტკორექტულობა, პოლიტიკური კონიუნქტურა და დიდი ფული. ისინი განსაზღვრავენ თუ რა ფილმებს უყურებს მსოფლიო 2004 წლის განმავლობაში, რა მუსიკა იტრიალებს ტელე და რადიო ეთერში და რა ჩანაწერები გაიყიდება ყველაზე უკეთ.

თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა, ამას ბევრად განსაზღვრავს თებერვალში დამტკიცებული ახალი მინისტრთა კაბინეტი და ახალი პარლამენტი, რომლის პოტენციურ წევრთა სიები, ასევე თებერვალში გახდა ცნობილი.

შედარებით უკეთ არის განსაზღვრული (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის) საკითხი, რომელიც საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლაა, მეორესთვის კი - თავისუფალ, ოპოზიციურ მედიაზე თავდასხმა. ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა ნებისმიერი მეთოდებით (ცხადია, კონსტიტუციის ფარგლებში) რომ მხოლოდ მისასალმებელია, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ რას გულისხმობენ თავისუფალ მედიაში, ერთობ ბუნდოვანია. შეიძლება თავისუფლებად ის მიაჩნიათ, რომ ორიოდე თვის წინ შეცვლილ, კორუმპირებულ სისტემას უნდა მისტიროდნენ და ამას ოპოზიციურ აზრად ასაღებდნენ; ანდა ტელე-დიალოგები ხელისუფლების მიღმა დარჩენილ კომედიანტებთან, რომელთა ცხოველმყოფელი ფანტაზია ისე შორს მიდის, რომ ვერ გაიგებ - ისინი ფსიქიატრიულ სამოთხეს წარმოადგენენ, თუ უბრალოდ, დახვეწილი ნაძირალები არიან.

არ ვიცი, რაში გვჭირდება ისეთი თავისუფალი ტელევიზია, რომლის ფილმების მარაგი 12 ვიდეო-კასეტით (ოთხი "რემბო", ოთხი "როკი" და ოთხი "გოლი პისტალეტი") და სამი მუსიკალური ჩანაწერით ("ქვინი", "პინქფლოიდი", "ლედ ზეპელინი") შემოიფარგლება. ანდა, ცოტა ზედმეტად ხომ არ მიგაჩნიათ ისეთი ტელეარხის თავისუფლების ხარისხი, რომელიც ერთ ფილმს აჩვენებს მეორე ფილმის სუბტიტრებით და მესამე ფილმის გახმოვანებით?! და საერთოდ - ნორმალურია, როცა Pepsi-ის ნებისმიერი რეკლამა ბევრად უფრო მიმზიდველია, ვიდრე გასართობი ტელეარხის მთელი დღის პროგრამა?!

ორი დღის წინ რომელიღაცა უცხოურ არხზე მაკარტნის უკანასკნელი ამერიკული ტურნესადმი მიძღვნილი ფილმ-კონცერტი ვნახე. ნოსტალგიური და ამაღელვებელი სანახაობა იყო; განსაკუთრებით ის მომენტები, როცა აჩვენებდნენ დარბაზს, სადაც ხალხში მიკარგული, ფეხზე წამომდგარი ჯეკ ნიკოლსონი, მაიკლ დუგლასი, ჯონ კიუზაკი, ტომ კრუზი (ვინც ამოვიცანი) სხვებთან ერთად ირწეოდნენ და ხმას აყოლებდნენ Hey Jude-ს. ამ კადრებმა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი გამახსენა ინგლისსა და არგენტინას შორის: 11-მეტრიანები დამატებითი დროის შემდეგ; ისევ ტრიბუნები, ისევ ფეხზე წამომდგარი, საოცრად დაძაბული პრინცი ჩარლზი და მიკ ჯაგერი. წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე დავდგებოდი მეორე დღეს, როცა შევხედე კვირის მიმოხილვას საქართველოს "პოპ-ვარსკვლავების" შესახებ - ადამიანების მასა, რომელსაც სერიოზული პრობლემები აქვს არა მარტო მუსიკასთან, არამედ, მეტყველებასთან, ჩაცმულობასთან, ქცევასთან, გემოვნებასთან... და ყველაზე გამაღიზიანებელი ის იყო, რომ ეს ტოტალური ქაჯობა ელიტარულ ქრონიკად მოინათლა!

ბოლო დღეებში ცოტა ჩვენმა მწერლებმაც გამაღიზიანეს; ყველამ - ვისაც ვიცნობ და ვისაც არა, ვისთანაც ვმეგობრობ და ვისაც ვერ ვიტან, ვისი წიგნებიც წამიკითხია და ვისიც არა (ასეთები კი ძალიან ბევრი აღმოჩნდა მწერალთა ყრილობაზე), ვინც ჩრდილოვანი ეკონომიკის მონაპოვრით სულდგმულობს და ვინც თავისი ნიჭით. იმედია, ყველაფერს დრო და გაყიდული წიგნების რაოდენობა დაარეგულირებს და არა ავტორის წევრობა ამა თუ იმ გაერთიანებაში.

თუმცა, ისევ მასმედიას დავუბრუნდეთ. მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა რადიოებზე, მაგრამ მათი გავლენა საზოგადოებაზე, ტელევიზიასა და პრესასთან შედარებით, დღეს ძალიან დაბალია და მათი ტალღები, ძირითადად, გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებში ვრცელდება.

რაც შეეხება პრესას, კოლეგების ლანძღვა უზნეობად მიმაჩნია, მაგრამ ძალიან მიჭირს კოლეგები ვუწოდო ადამიანებს, რომლებიც მენტური მენტალიტეტის, ფეოდალური სისტემის გალიაში არიან გამომწყვდეულნი და უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულეს საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ფენის ინტელექტუალურ ზომბირებაში. და კიდევ ერთი რამ - არავის ტრაკის საქმე არ არის ბიძინა მაყაშვილი 20-თეთრიან ხაჭაპურს შეჭამს, "ნიკალას" დონის კაფეში ისაუზმებს, თუ "ლიდოს" რესტორანში; მთავარია, ზოგიერთებივით ძღნერი არ ჭამოს.

ამ საქმეს კი არავის არ ვურჩევ, არც ნაკიან თებერვალში და არც არასდროს - ამბობენ, მიჩვევა იცისო.

# "...იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ხელოვნება"

დღეს ლია კაპანაძე 70 წლის გახდა

ნინო ჯორჯაძე

მსახიობობა დამოკიდებული პროფესიაა. გაცვეთილი ფრაზაა? რა თქმა უნდა, თანაც, არცთუ ზუსტი. ალბათ, იმიტომ, რომ მსახიობის მიერ შექმნილი პერსონაჟები შემდეგ უკვე სრულიად დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას ჩვენს გვერდით მრავალი წლის განმავლობაში, ვეჩვევით მათ, გვიყვარდება...

ლია კაპანაძემ 50-მდე ფილმში მიიღო მონაწილეობა ("ზღვის შვილები" – რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი, "დიდი მწვანე ველი" – მერაბ კოკოჩაშვილი, "ფერისცვალება" – ლანა ღოღობერიძე, "წყალდიდობა" – თენგიზ გოშაძე, "როცა აყვავდა ნუში" – ლანა ღოღობერიძე, "არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ" – გუგული მგელაძე...), მუშაობდა რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში, ამჟამად კინომსახიობთა თეატრშია.

მსახიობ ლია კაპანაძის ხსენებისას ყველას, პირველ რიგში, მაინც მისი მშვენიერი დუეტი ახსენდება დოდო აბაშიძესთან ერთად ("დიდი მწვანე ველი"). ახლა შეიძლება ღიმილის მომგვრელიც იყოს ის ფაქტი, რომ იმდროინდელ ქართულ კინოში ეროტიკული სცენების შესრულებას ერთგვარი მსახიობური გმირობაც კი სჭირდებოდა. სხვათა შორის, ფილმი საკმაოდ "დაჩეხილი" გადიოდა.

ქალბატონ ლიას მყუდრო ბინაში ვსხედვართ. კედლებზე მისი ქალიშვილის – ქეთის (იგი მხატვარია, გერმანიაში ცხოვრობს) და შვილიშვილის – ანუკის ნახატებია. სუფრა – ულამაზესია, დიასახლისი – არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარე, ხალისიანი და ენერგიული.

"თეატრი ჩვენთვის, უბრალოდ, სამსახური არ იყო, - ძველ კარგ დროს იხსენებს მასპინძელი, - ეს ერთი ოჯახი იყო. რეპეტიციის შემდეგაც ვრჩებოდით, პრაქტიკულად, თეატრში ვცხოვრობდით... ახლა, პარტნიორები? აბა, თვითონ ნახეთ, ვის გვერდით ვთამაშობდი: სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხიკვაძე,



კადრი ფილმიდან "დიდი მწვანე ველი" - მარცხნივ ლია კაპანაძე

გურამ საღარაძე, ედიშერ მაღალაშვილი, კოტე მახარაძე, ნოდარ ჩხეიძე, მედეა ჩახავა... ასე რომ, ბედს არ ვემდური. თუმცა..., - ხმა სევდიანი უხდება, - ბევრი რამ დაუხარჯავი დამრჩა. ვითამაშებდი მედეას, კლეოპატრას, ანტიგონეს... ეჰ, როგორ ვითამაშებდი..."

მსახიობის კოლეგებისგან მსმენია:

ფილმში "წიგნი ფიცისა" არის ეპიზოდი – სოფელში ჭირია. დაავადებული ქალი (ლია კაპანაძე) იძულებულია სოფელს მოშორდეს, პატარა შვილები ტირილით მოსდევენ, დედა კი ცდილობს, უკან არ მოიხედოს... გადაღებებს თვალყურს ადევნებდა ყაზბეგის ადგილობრივი მოსახლეობა და დიდი თუ პატარა ცხარედ ტიროდა;

გუგული მგელაძის ფილმში (აქ ლია კაპანაძე თენგიზ არჩვაძესთან ერთად თამაშობდა) მსახიობს რამდენიმეწუთიანი კადრი აქვს მსხვილი პლანით. ამ კადრების ყურადღებით ნახვის შემდეგ, ერთ ფრანგ რეჟისორს უთქვამს: "აი, ეს არის ნამდვილი კინო!"

ბოლო წლებში ორჯერ მიიღო ახალგაზრდა რეჟისორების ფილმებში მონაწილეობა სრულიად უსასყიდლოდ. "ხომ ვიცი, ისინიც ვილაცას ეხვეწებიან, უჭირთ რეჟისორებს. და საერთოდ, ფული ხომ არ არის მთავარი, - ამბობს ქალბატონი ლია, - მე ეს გავაკეთე იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ხელოვნება. აი, ერთ ამბავს მოგიყვებით: როცა ირაკლი კვირიკაძე იღებდა ფილმს "ქალაქი ანარა", მშვენივრად იცოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად გველის მეშინია და სწორედ გველთან სცენები მათამაშა. მე, ვინც ზოოპარკში მოხვედრისას ძალიან შორიდან ვუვლი, რომ ეს არსებები არ დავინახო, დავივიწყე ყველაფერი და გველი ხელში დავიჭირე. ეს მოვახერხე მხოლოდ ერთი გზით - გავხდი სრულიად სხვა ადამიანი. ძნელია ახსნა, ამ დროს რა ხდება, თითქოს პიროვნებაში სხვა სული ჩასახლდა. ალბათ, ოდესღაც ამიტომ სდევნიდა ეკლესია მსახიობებს.

ამას წინათ, ვმონაწილეობდი ლალი კეკელიძის ლექსებზე გაკეთებულ სპექტაკლში "ჰეი, ვეფხისტყაოსნებო!", ვითამაშე ბერძენი რეჟისორის მარმარინოსის სპექტაკლში, რომელიც მაყურებელმა არაერთგვაროვნად მიიღო. სპექტაკლი შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ ჩვენ - მსახიობები ვიხარჯებოდით ბოლომდე. შესრულების თვალსაზრისით, ძალიან რთული სპექტაკლი იყო. ახლა დავამთავრე გადაღებები სერიალში "ცხელი ძაღლი". ეს ჩემთვის სრულიად ახალი ამპლუა იყო.

იმედი მაქვს, რომ ბევრ რამეს ახლა უფრო შევძლებ. მე კიდევ ბევრი როლი დამრჩა შესასრულებელი..."

ჩემი არაჩვეულებრივი მასპინძლის ემოციურობა, უსაზღვრო ენერგია და ოპტიმიზმი ძალიან გადამდები აღმოჩნდა. ჩვენ დიდხანს, მხიარულად ვსაუბრობთ...

ძნელი დასაჯერებელია, რომ ქალბატონი ლია დღეს 70 წლის გახდა...

# არშემდგარი აუქციონი!

ლელა მარგიანი

*გუშინ, შარდენის ქუჩაზე, "ბაიას გალერეაში" (ყოფილი "ორიენტი") სოციალურად დაუცველი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა დაიხურა. მასში არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" ორი ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრის "ბელურების" და "ცისარტყელას" აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. 4 მარტს საზეიმოდ გახსნილი გამოფენა სამი დღის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა, რაზეც შთაბეჭდილებების წიგნში გაკეთებული ჩანაწერები მიუთითებდა. გამოფენა შედგა, მაგრამ აუქციონი – არა: 50 ნორჩი მხატვრის 150 ნამუშევარი ამაოდ ელოდა მყიდველს.*

არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო" 1995 წელს დაარსდა. მისი მიზანი სოციალურად დაუცველი ბავშვების ფიზიკური და სულიერი დახმარებაა. დაარსებიდან ორი წლის შემდეგ ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნდა ქუჩის ბავშვთა თავშესაფარი "ბელურები", სადაც დღისით 50 ბავშვი ცხოვრობს, ხოლო 20-30 ბავშვს არსად წაესვლება და ამიტომ ღამესაც თავშესაფარში ათევს. ბავშვებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები, ჩართული არიან შემოქმედებით საქმიანობაში. ცენტრში არსებობს ცეკვის, სამღერის, ხატვის, ქარგვის წრეები, დგამენ სპექტაკლებს.

ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" ხელმძღვანელმა ნანა იაშვილმა გვითხრა, რომ "თავშესაფრის პრობლემაა 14-15 წლის ბავშვების დასაქმება. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა გამოინახა, როდესაც ჩემთან მოვიდა ჩვენი აღზრდილი მირზა, რომელმაც შეისწავლა საიუველირო საქმიანობა – იგი ვერცხლზე და სპილენძზე მუშაობს და მშვენიერი ნამუშევრები აქვს გაკეთებული. მან შემომთავაზა ცენტრის ტერიტორიაზე სახელოსნოს გახსნა, სადაც ჩვენი თავშესაფრის უფროსი ასაკის ბავშვები ივლიან და ხელობას შეისწავლიან. ჩვენ პროგრამაში ასეთი რამ გათვალისწინებული არ იყო, არა და სახელოსნოს მოწყობას საკმაო თანხები სჭირდება. ძვირია მასალები, მოწყობილობები. მხოლოდ ტიხრული მინანქრის ნაკეთობების შესაქმნელად საჭირო ღუმელი 200 ლარზე მეტი ღირს. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი ძალები გამოგვეცადა და გამოფენა-გაყიდვა მოგვეწყო. ასეთი გამოცდილება უკვე არსებობდა, თუმცა მაშინ ქალთა ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გვეხმარებოდა. ამჯერად დამოუკიდებლად ვიმოქმედეთ. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო: ქალბატონმა ბაიამ 4 დღით უსასყიდლოდ დაგვითმო გალერეა, ასევე უფასოდ დაგვიბეჭდეს ძალიან ლამაზი პლაკატები და მოსაწვევები, გამოფენის გახსნა გაშუქდა პრესით და ტელევიზიით და დღესაც, აუქციონზე ორასამდე სტუმარს ველოდით, მაგრამ, როგორც ხედავთ, აუქციონი არ შედგა!".



აუქციონზე

მოწვეული მაღალჩინოსანი სტუმრებიდან მხოლოდ "სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" გენერალური დირექტორის მრჩეველი ქალბატონი ნატა ყაზახაშვილი შევნიშნეთ, რომელსაც უკვე მოესწრო 12 წლის გიორგი ყანჩაველის "ძველი თბილისის პეიზაჟის" შეძენა. იგი კმაყოფილი იყო თავისი შენაძენით, მაგრამ გულდაწყვეტილმა გვითხრა – "ვისაც შეუძლია, აქ უნდა იყოს, რომ ამ ბავშვებს დაეხმაროს და თუნდაც ერთი ნახატის შეძენით დაუდასტუროს თავისი სიყვარული და თანადგომა. არც ისაა დასამალი, რომ მიუსაფარი ბავშვების მიმართ გამოჩენილი უყურადღებობა ჩვენს საზოგადოებას შეიძლება ბუმერანგივით დაუბრუნდეს."

დაპატიჟებული სტუმრების უყურადღებობით გულდაწყვეტილი იყო გალერეის დიასახლისიც, ბაია წიქორიძე - "200 მოსაწვევი დარიგდა. ყველა საელჩოს, ბევრ ქართველ ბიზნესმენს და საერთაშორისო ორგანიზაციას შევატყობინეთ. არავინ არ მოვიდა, არადა მოსაწვევში აღნიშნულიც იყო, რომ ნამუშევრების საწყისი ფასი მხოლოდ 5 ლარია... ისევ ჩვენმა მეგობარმა მხატვრებმა შეიძინეს ოცდაათამდე ნამუშევარი. იმედია, დღის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ნახატი გაიყიდება. ჩვენ კი აუცილებლად გავაგრძელებთ ამ ბავშვებთან თანამშრომლობას და ყოველ წელს ანაზღაურების გარეშე დავუთმობთ გალერეას".

გამოფენის დახურვას ერთადერთი ავტორი 16 წლის ილონა მუმლაძე ესწრებოდა. მას გაუმართლა, რადგან მისი რვა ნახატიდან ხუთი გაიყიდა. იგი ამით ძალიან ბედნიერი და გახარებული იყო.

საგამოფენო დარბაზიდან გამოსულს, იქვე, შარდენის ქუჩაზე უცნობი ახალგაზრდა ქალი შემომხვდა პატარა ქალიშვილთან ერთად. დედის კითხვაზე - გინდა, პატარა ბავშვების ნახატების გამოფენაზე შეგიყვანოო - 5-6 წლის გოგონამ მოკლედ უპასუხა –"ხო!" და დამოუკიდებელი, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა გალერეისკენ. იქნებ, სწორედ მან შეიძინოს 8 წლის ანა ფხაკაძის, 12 წლის როლანდ გაბისონიას ანდა 12 წლის ნათია ბარქაიას ნახატები?!

## მოკლედ

### ქუთაისი კინეტიკურ არტს უმასპინძლებს

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატულ თეატრში 19 მარტს მუსიკალური შოუს - "ევოლუციის" პრემიერა გაიმართება. წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორი და სცენარის ავტორი კახა ბაკურაძეა.

შემოქმედებით ჯგუფში ადგილობრივი ახალგაზრდა ხელოვანები არიან დაკავებულნი. მუსიკის ავტორია ლევან შენგელია. როგორც კახა ბაკურაძემ განაცხადა, შოუ ცოცხალი მუსიკისა და კინეტიკის (მოძრაობა) სინთეზია, რომელსაც ათი მუსიკოსი და შვიდი მოცეკვავე ასრულებს. "ევოლუციაში" ქორეოგრაფიული ხელოვნების თითქმის ყველა - ტრადიციულ-თანამედროვე ელემენტია გამოყენებული.

კახა ბაკურაძე ქუთაისში თეატრის ხელმძღვანელობისა და ლევან შენგელიას მიწვევით ერთი თვეა იმყოფება. სპექტაკლს ქუთაისის შემდეგ თბილისელი მაყურებელიც იხილავს.

*მედია-ნიუსი*

### წარმატებული გასტროლები

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი ერთთვიანი საგასტროლო ტურნედან დაბრუნდა. დასმა იაპონია და ინგლისი მოიარა.

იაპონიაში ქართველმა მოცეკვავეებმა სამი უცხოელი ქორეოგრაფის — სტივენ უელბის ("გრინი"), ალექსეი რატმანსკის ("ლეა") და ლეონარდ ბერსტაინის ("ცასა და დედამიწას შორის") ნაწარმოებების მიხედვით ერთმოქმედებიანი საბალეტო სპექტაკლი წარმოადგინეს, რომელიც სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დაიდგა.

თანამედროვე ბალეტის დადგმაში ანანიაშვილი თბილისის ოპერის თეატრის დასს თავად დაეხმარა და გასტროლებიც პრიმა-ბალერინას ინიციატივა იყო. ქართულ დასთან რეპეტიციები მოსკოვის დიდი თეატრის რეპეტიტორებმა: ტატიანა როსტორგუევამ, ლინა პალშინამ და ალექსეი ფადეჩეევმა გამართეს.

იაპონიაში 20-დღიანი გასტროლების შემდეგ, დასი ინგლისში გაემგზავრა, სადაც ხუთი სპექტაკლი წარმოადგინა. ოპერის თეატრის საბალეტო დასის გასტროლებმა იაპონიასა და ინგლისში წარმატებით ჩაიარა. თბილისში დაბრუნებული საბალეტო დასი წარმოდგენას ოპერის თეატრშიც გამართავს.

*მედია-ნიუსი*

### სპექტაკლი აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსდა

ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრის დასი ახალ საყმაწვილო სპექტაკლზე - "ბუდე მე-9 სართულზე" მუშაობს. სპექტაკლის იდეა რეჟისორ ეთერ თავართქილაძეს ეკუთვნის, თუმცა დაუფინანსებლობის გამო, მისი დადგმა აქამდე ვერ ხერხდებოდა. ამჯერად, სპექტაკლი აჭარის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სპექტაკლის პრემიერა მაისში იგეგმება.

*მედია-ნიუსი*

# მახინჯების კლუბი


რენე ზელვეგერი


ნიკოლ კიდმანი


ელიზაბეტ ტეილორი


შარლიზ თერონი

*ცუდი სანახავია ჩაშავებული კბილები, ჩამოგრძელებული ცხვირი, უზარმაზარი უკანალი – მაგრამ ის, ვინც როლის გამო თავის სილამაზეს დათმობს, "ოსკარით" დაჯილდოვდება.*

ეს, მართლაც, გენიალური სვლა იყო: ფილმი თავდაპირველად ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს კრიტიკოსს, როჯერ ებერტს აჩვენეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამერიკაში "მონსტრი" არავის ენახა და შარლიზ თერონის დიდი სიმამაცის ამბავს ჭორად თუ ჰყვებოდნენ. ებერტმა ფილმი ნახა, და როგორც ამ სფეროში სჩვევიათ ხოლმე, გამქირავებლებმა სთხოვეს, რამე წინადადება მაინც გვითხარი, რომ სარეკლამო კამპანიაში გამოვიყენოთო. მაშინ ებერტმა თერონის შესახებ თქვა: "ეს კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი როლია". უნდა ითქვას, რომ ასეთი წინადადებისთვის კინოს რეკლამის დიდოსტატები არაფერს დაიშურებდნენ. როჯერ ებერტმა ფილმს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

ებერტის შემდეგ "მონსტრის" შესახებ ყველა კრიტიკოსი ალაპარაკდა და ფართო საზოგადოებამ შეიტყო, როგორი მარტვილობა გამოუვლია თერონს: წარბები გაიპარსა, უნაკლო სახის კანი საგანგებო საშუალებებით დაიბერა, ხელოვნური ყბა გამოიბა და, რაც მთავარია, 15 კილოგრამი მოიმატა. ამ უკანასკნელი გმირობის ჩასადენად ის უამრავ ყველს და ნაღებს ჭამდა, სანამ სახე ბუშტს არ დაემსგავსა და ორმაგი ღაბაბით არ შეიმკო. "ოქროს გლობუსის" შემდეგ აღარავის გაჰკვირვებია, რომ თერონი საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის "ოსკარზე" წარადგინეს და 29 თებერვალს დააჯილდოვეს კიდეც.

28 წლის თერონი თამაშობს ეილინ ვურნოსს, მეძავსა და ლოთს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს თავისი კლიენტების ხოცვას იწყებს. ის რეალური ფიგურაა, წელიწადნახევრის წინ ფილმის გმირის პროტოტიპი ფლორიდის სასამართლოს წინაშე წარდგა როგორც "ამერიკის პირველი მდედრობითი სქესის სერიული მკვლელი". ყველა – ბულვარული პრესაც, კრიტიკოსებიც და მაყურებლებიც შარლიზ თერონს ასხამს ხოტბას: განა საოცარი არაა, როგორ შეძლო თერონმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა, ამ როლისთვის მსუქან, მზით დამწვარ, ცხოვრებისგან გათელილ ქუჩის კახპად გადაქცევა?

თებერვლის დასაწყისში, "ბერლინალეზე", "მონსტრმა" უმალვე დიდი მოწონება დაიმსახურა და საკონკურსო ფილმებიდან ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ნამუშევრადაც იყო დასახელებული. საბოლოოდ, თერონმა "ვერცხლის დათვი" მიიღო. გერმანიის დედაქალაქში ჩაბრძანებული თერონი (ის "მონსტრში" არა მარტო თამაშობს, არამედ ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერიც გახლავთ) მოჰყვა, როგორ მოხდა ეს სასწაული: ლამაზი გოგო მსახიობად იქცა.

ცხადია, მას საგანგებო ტანსაცმელი ჩააცვეს, რომლის მეშვეობითაც მსუქანი ჩანდა. მაგრამ გარეგნობა იმდენად მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ის ეცადა, "როლში დანთქმულიყო", საკუთარი არსი დაევიწყებინა და რეალობასა და თამაშს შორის ზღვარი წაეშალა. თერონს საერთოდ უყვარს, როცა თამაშის დროს სულ სხვა ადამიანად უწევს გადაქცევა.

"მონსტრის" შემდეგ ის დიადთა შორის იყო მოხსენებული. თერონი ელიზაბეტ ტეილორს შეადარეს, რომელმაც 1966 წელს ფილმში "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?" ითამაშა, იმდენად კარგად, რომ ყველას ისეთივე ვულგარული კახპა ეგონა, როგორის სახეც შექმნა. თერონი შეადარეს ნიკოლ კიდმანსაც, რომელსაც "საათებში" უზარმაზარი ცხვირი ჰქონდა მიბმული – ორივე მსახიობმა თავიანთი ამ როლებისთვის "ოსკარები" მიიღო, რადგან ჰოლივუდს მსახიობი მსახიობად მხოლოდ მაშინ მიაჩნია, როცა ცხადი ხდება – თავის საქმისთვის ის არაფერს დაიშურებს. გარდა ამისა, შესაძლოა, აკადემია მხოლოდ მაშინ ცნობს ნამდვილ ტალანტს, როცა გარეგნული სილამაზით არაა თვალმოჭრილი: მოგეხსენებათ, რენე ზელვეგერმა პირველი "ოსკარი" "ბრიჯიტ ჯონსისთვის" მაშინ მიიღო, როცა 10 კილოგრამზე მეტი ჰქონდა აკრეფილი.

ის, რომ ვარსკვლავები თვეების განმავლობაში მოჭარბებული ჭამითა თუ უჭმელობით იტანჯავენ თავს, ძალიან მარტივად აიხსება: როლები, რომლებისთვისაც ასეთი ძალისხმევის გაწევა ღირს, მართლაც, იშვიათი მოვლენაა. კასტინგის აგენტები და პროდიუსერები როლებს გარეგნული ნიშნის მიხედვით ანაწილებენ ხოლმე, და თერონმა დაიჩივლა: "როგორც ჩანს, არავის ჰყოფნის ფანტაზია საიმისოდ, რომ მიხვდეს: მსახიობისთვის როლი საკუთარ გარეგნობასა თუ არსზე მეტს ნიშნავს". არადა, ეს წინააღმდეგობა ნამდვილ მსახიობს აზარტს ჰმატებს – ყოველ შემთხვევაში, შარლიზ თერონს სწორედ ასეთი განწყობა აქვს. "ეს მთამსვლელობას ჰგავს – ოდესმე მაინც ევერესტზე მოგინდება ასვლა. ის როლი მინდა, რომელიც მიუწვდომელია".

უნდა ითქვას, რომ როლისთვის თავდადება ჰოლივუდის მამაკაცებსაც ახასიათებთ, უბრალოდ, მათ მიერ გაღებული მსხვერპლი იმდენად თვალშისაცემი არაა ხოლმე. იმისთვის, რომ მარტინ სკორსეზეს ფილმში დაბერებული, გასუქებული მოკრივე ჯეკ ლა მოტა ეთამაშა, მან 30 კილოგრამი მოიმატა; გარდა ამისა, დე ნირომ იმდენი ივარჯიშა, რომ არცთუ ურიგო მოკრივე დადგა და ბრუკლინში სამიდან ორი შეხვედრიდან გამარჯვებული გამოვიდა. ამ როლისთვის დე ნირომ "ოსკარი" მიიღო.

ასეთივე ამბავი გადაიტანა ედრიენ ბროუდიმ, რომელსაც გასულ წელს "პიანისტისთვის" გადასცეს ჯილდო. გეტოდან გამოსული მუსიკოსის, ვლადისლავ შპილმენის სახის მისაღებად ის ექვსი კვირის განმავლობაში დიეტას იცავდა: საუზმედ ორ მოხარშულ კვერცხს და მწვანე ჩაის მიირთმევდა, სადილად მოხარშულ ქათმის ხორცს ჭამდა და ვახშმად – ცოტა თევზს და ბოსტნეულს. საბოლოოდ, მან 15 კილოგრამი დაიკლო.

ყველაფერ ამასთან დაკავშირებით შარლიზ თერონს საკუთარი თეორია აქვს. ის თვლის, რომ გარეგნობას, უპირველეს ყოვლისა, მსახიობის შინაგანი მდგომარეობა განაპირობებს. "შეხედეთ დე ნიროს. უმცირესი დეტალი – და მისი გმირი გულით შეგებრალებათ. შეხედეთ რენე ზელვეგერს: უბრალოდ მსუქანი და უშნო გოგო როდია. როგორც კი ეკრანზე გამოჩნდება, უმალვე მიხვდებით, როგორ უნდა სიყვარული, როგორ დარდობს, განიცდის, რამდენი რამ სტკივა..."

თერონს გული სწყდება, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი, თუნდაც ცოტა ხნის წინათ ჟურნალ "ნიუსვიკში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, მის "ოსკარს" მხოლოდ გარეგნულ მხარეს მიაწერს. არადა, მკვლელ ქალის როლისთვის ის მის პიროვნებას ოთხი თვის განმავლობაში იკვლევდა, დოკუმენტური ფილმებიდან და ვიდეოჩანაწერებიდან მის მოძრაობებსა და ჟესტებს სწავლობდა, კითხულობდა მის წერილებს, რომელსაც ის ციხიდან მეგობარ ქალს სწერდა. შარლიზი ცდილობდა გაეგო, რა შიში ჰქონდა ვურნოსს, როგორ ხვდებოდა უცხოებს, როგორ იქცეოდა ჩვეულებრივ გარემოში და მაშინ, როცა ვითარება ექსტრემალური იყო.

"ყოველი მსახიობი, რომელიც ლამაზად ითვლება, იმაზე ოცნებობს, რომ კლიშე დაამსხვრიოს და სახასიათო როლით დაამტკიცოს, რისი მაქნისია," ამბობს თერონი.

"მონსტრისთვის" მან დიდი რისკი გასწია, მაგრამ ამან სავსებით გაამართლა. "მონსტრამდე" ის ვარსკვლავი იყო, ახლა ის მსახიობია. ის მახინჯთა, ანუ ნამდვილ მსახიობთა წრეში მიიღეს, და ეს შარლიზ თერონის უდიდესი გამარჯვებაა.

ამბები

## როულინგმა, შესაძლოა, ზრდასრულ პოტერზე დაწეროს



ჯოან როულინგი არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, დაწეროს მერვე წიგნი ჰარი პოტერზე, სადაც სკოლისშემდგომი წლების ჯადოქარზე იქნება საუბარი. ეს განცხადება მწერლმა მის თაყვანისმცემლებთან ჩატში საუბრისას გააკეთა, იუწყება გაზეთ "სოლტ ლეიკ ტრიბუნის" საიტი.

ამას გარდა, როულინგს გადაწყვეტილი აქვს შეიტანოს კორექტივები, ყველა მის მიერ დაწერილ წიგნში. იგი გამორჩეულად არ დაწერს ისტორიას, მომხდარი მოვლენების შესახებ, რომელიც "ჰარი პოტერსა და ფილოსოფიურ ოთახშია" დაწერილი.

თაყვანისმცემლებთან ვირტუალური ურთიერთობისას, მწერალმა მთელ რიგ შეკითხვებს უპასუხა, რომელიც მისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნია.

სავსებით შესაძლებელია, რომ პოტერის ნათლია სირიუს ბლეკი, რომელიც ბოლო წიგნში კვდება, კვლავ მკითხველის წინაშე წარდგეს. ზუსტად როგორი ფორმით აღდგება იგი, ამზე პასუხის გაცემა როულინგმა არ ისურვა.

ცოცხებით ფრენის წესები მწერალმა ყოფილ ახლობელთან ჩხუბის შემდეგ მოიფიქრა. "როდესაც იმ ეპიზოდს ვიხსენებ, მე მესმის ასე ძალიან რატომ მომეწონა ბლაჯერის იდეა".

ამჟამად როულინგი აქტიურად მუშაობს მეექვსე წიგნზე. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად როდის მიაღწევს წიგნი მკითხველამდე, როულინგი თაყვანისმცემლებს ურჩევს ამ კითხვით გამომცემლებს მიმართონ.

## "მხიარული ჰოლი" - ზამთარზე გაზაფხულის გამარჯვება

ინდოელები დღეს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ დღესასწაულს, გაზაფხულის სიმბოლოს – "მხიარულ ჰოლის" აღნიშნავენ. ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ამ დროს ყველაფერი ჰყავის, საყოველთაო მხიარულებაა. იმართება იუმორინები და ე.წ. "სულელების კრება". ადამიანები ერთმანეთს ყვავილებს აყრიან და შეღებილ წყალს ასხურებენ. როგორც ინდოელები ამბობენ, ამ დღესასწაულზე მტრებიც კი რიგდებიან ხოლმე.

ჰოლის მთავარი მოქმედი გმირია – სიამოვნების ღმერთი კამა, ის ერთგვარი ინდური კუპიდონია, რომლის მშვილდიც შაქრის ლერწამისგან არის გაკეთებული, ხოლო ისარი ყვავილებისგან. ადამიანი, ვისაც გულში ეს ისარი მოხვდება, ვნებით დაავადდება. ინდოელებმა ამ დღესასწაულის აღნიშვნა კრიშნას პატივსაცემად დაიწყეს, რომელმაც ქალი-დემონი, სახელად პუტანა დაამარცხა. ინდოელებისთვის პუტანა ზამთართან არის გაიგივებული და მისი სიკვდილი ზამთარზე გაზაფხულის გამარჯვებას ნიშნავს.

დღესასწაულზე ინდოელები მღერიან და ცეკვავენ. ღამით კი ისინი დიდი კოცონების გარშემო იკრიბებიან და დემონების ფიტულებს წვავენ. ჰოლის დღესასწაული ინდოეთში ბუნების გაღვიძების, სურვილების ასრულების, ბედნიერებისა და მშვიდობის სიმბოლოა.

# დიდების დარბაზი ფართოვდება



წარმატების რეცეპტი ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით ასეთია: თუ "გრემის" მოიპოვებ, ე.ი. შენი კოლეგების სიმპათიაც მოპოვებული გაქვს. ხოლო თუ როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში მიგიჩენენ ადგილს, ე.ი. უკვე ლეგენდა ხარ და დროსაც გაუძელი.

ბოლო 18 წლის განმავლობაში დიდების დარბაზი ისეთ ელიტურ დაწესებულებად იქცა, რომ მის ცერემონიალებზე ხშირად ისტორიული, დაუვიწყარი ამბები ხდება: დაშლილი ჯგუფები იკრიბებიან და ერთად უკრავენ, სუპერვარსკვლავები ემოციურ სიტყვებს წარმოთქვამენ, ეწყობა ისეთი ჯემ-სეიშენები – ისეთი მუსიკოსების მონაწილეობით, ცხოვრებაში ერთხელ რომ მოისმენს კაცი.

ცხადია, ასეთივე ამაღლებული, როკ-ენ-როლური განწყობა არც მე-19 ცერემონიალს მოაკლდება, რომელიც 15 მარტს ნიუ იორკში, სასტუმრო "უოლდორფ ასტორიაში" იგეგმება. ცოცხალ საღამოს მუსიკალური ტელევიზია VH1-ი ჩაიწერს და მის სრულ ვერსიას საკუთარ ეთერში 21 მარტს გადასცემს.

უკვე ცნობილია, დიდების დარბაზის ახალი ბინადრების ვინაობაც.

მართალია, "ბითლზი", როგორც ჯგუფი, უკვე დიდი ხანია, კლივლენდში სახლობს, მაგრამ შემდეგ დარბაზში ლივერპულელი ოთხეულის წევრების ცალ-ცალკე გაერთიანებაც დაიწყეს. წელს ჯორჯ ჰარისონის რიგია. "ბითლზის" დაშლის შემდეგ ჰარისონმა 30 წელი მიუძღვნა მუსიკას. სახელი გაითქვა დამოუკიდებლად დაწერილი სიმღერებით, პროდიუსერობითა და ქველმოქმედებით. დიდების დარბაზში გარდაცვლილ მუსიკოსს ამ დამსახურებების გამო გამოუყოფენ ადგილს.

მეორე კანდიდატია ჯექსონ ბრაუნი. "30 წელზე მეტია, ბრაუნი მოღვაწეობს. ის შესანიშნავი როკ-მუსიკოსი და მომღერალია. მისი სიმღერები სრულყოფილებითა და დიდი ინტიმურობით გამოირჩევა..." – ასე ახასიათებენ ბრაუნს დიდების დარბაზის ვებ-გვერდზე.

მესამე კანდიდატის, ჯგუფ "დელსის" პირველი ჩანაწერი კი მაღაზიებში 1953 წელს გამოჩნდა. ისინი დღესაც პირველადი შემადგენლობით გამოდიან და ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ვოკალურ ჯგუფად ითვლებიან.

წელს "განდიდდება" პრინციც, რომელიც სცენაზე პირველად 20 წლის ასაკში გამოჩნდა. მას შემდეგ ის პოპის ყველაზე ქარიზმატული ფიგურა გახდა, მისი როკით, ფანკით, სოულით, მეტალითა და პანკით გაჯერებული სიმღერებიც სწორედ ინდივიდუალურობით გამოირჩევა.

წლევანდელი კადიდატები ასევე არიან: ბობ სიგერი – მრავალგზის პლატინის ჩანაწერების ავტორი, რომლის ეპოპეაც 1975 წელს დაიყო, "ტრეფიკი" – ფსიქოდელიური პოპიდან ნამდვილ "ფიუჟენად" ქცეული ჯგუფი - ფოლკის, ბლუზისა და ჯაზის ნაზავით და "ზიზი ტოპი" – ამ ჯგუფს დიდების დარბაზის ვებ-გვერდზე "როკის უკანასკნელ სიტყვას" უწოდებენ.

ერთი სიტყვით, 15 მარტს როკ-ენ-როლის დიდების დარბაზი ამ ახალ წევრებს მიიღებს. ცერემონიალზე დასაჯილდოებელ მუსიკოსებს ბრიუს სპრინგსტინი, დეივ მეთიუსი, ტომ პეტი, "აუთქასთი" და ალიშია ქისი წარადგენენ. როგორც საღამოს ორგანიზატორები გვპირდებიან, ტრადიცია არც წელს დაირღვევა და კონცერტი, მართლაც, უნიკალური გამოდგება. ასე რომ, დაველოდოთ 15 მარტს და ვნახოთ, როგორ დაიწერება კიდევ ერთი ფურცელი როკ-ენ-როლის ისტორიაში. ამ დღეს ჩვენ დიდების ზღაპრის ვეტერან ბინადართა ნუსხასაც გადავავლებთ თვალს, მუზეუმშიც გავისეირნებთ და იმასაც გავიგებთ, თუ როგორ შეესხა ფრთები როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის შექმნის იდეას.

## ლამაზმანი და ქალაქის მერი

ბედის ამბავია: ზოგს არავინ არაფერს უკეთებს, ზოგსაც თვალისდახამხამებაში ეხმარებიან. ასე, ბელგიელ სუპერმოდელს, ჯესიკა ვან დერ სტეენს ახალი სამგზავრო პასპორტისთვის ნიუ იორკში, მეგობართან დარეკვის გარდა ხელის განძრევაც არ დასჭირვებია. კენიაში მას საფულეც და პასპორტიც მოპარეს.

მოდელს საკუთარმა ძაღლმა, პაწია ტერიერმა უშველა. ამ ცხოველმა მოახერხა და გზააბნეულმა მაიკლ ბლუმბერგის, ნიუ იორკის მერის ოფისში ამოჰყო თავი. ქალაქის მერს, როგორც ჩანს, მეტი საქმე არ ჰქონდა, ძაღლის მფლობელს პირადად დაურეკა და ჯესიკა ვან დერ სტეენს სთხოვა, მოდი და შენი ცუგა წაიყვანეო. ასე გაიცნეს მათ ერთმანეთი.

20 წლის ვან დერ სტეენმა კარგად იცის ხალხის გამოყენება. ჰოდა, კენიაში დაჩაგრულმა ჯესიკამაც თავის ნიუ იორკელ მეგობარს დაურეკა. ცხადია, ბლუმბერგმა საბუთიც აღუდგინა და კენედის აეროპორტშიც დროულად ჩაიყვანა. "მოკლეფეხება, თავმოტვლეპილი მეგობარი რომ არა, ჯესიკა ახლაც ნაირობიში იქნებოდა გამომწყვდეული," ერთობა "ნიუ იორკ პოსტი".



ფეხბურთი

# ჟირესის ტაქტიკა – მოგება

მიხეილ აბაიშვილი

"გამარჯობა!" - გამოკვეთილი აქცენტით, მაგრამ მაინც ქართულად მოგვესალმა გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ჯერ კიდევ კანდიდატი, ფრანგი ალენ ჟირესი. პრესკონფერენციაზე, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გაიმართა, მედიის მომეტებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ჟირესის გარდა, ფედერაციის პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიასაც მოუხდა.

ჟორდანიას თქმით, იგი კმაყოფილია, რომ საბოლოო არჩევანი ჟირესზე შეჩერდა და მიიჩნევს, რომ მასთან ერთად საქართველოს ნაკრებს სერიოზული მიზნების მიღწევა შეუძლია.

"სფფ-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მთავარი მწვრთნელის პოსტი ალენ ჟირესისთვის შეგვეთავაზებინა. ამ მიზნით მცირე ხნის წინ პარიზში გავემგზავრე, სადაც შევხვდი მას და წინასწარი მოლაპარაკება გავმართე. საფრანგეთშივე ბევრ საკითხზე მოვილაპარაკეთ, თუმცა, აუცილებელი იყო, ჟირესი საქართველოში ჩამოსულიყო, რათა გასცნობოდა იმ პირობებს და ქვეყანას, რომელშიც მუშაობა მოუწევდა. გუშინ ნაკრების საწვრთნელი ბაზა დავათვალიერებინეთ. შემდეგ ფედერაციის ოფისში მოვედით და, მეორე დღეა, კონტრაქტთან დაკავშირებულ ყველა დეტალს ვათანხმებთ. შევაჯერეთ არა მხოლოდ ფინანსური საკითხები, არამედ ყველა მნიშვნელოვანი დეტალი თუ უმნიშვნელო ნიუანსი, სამწვრთნელო შტაბიდან დაწყებული და სამედიცინო პერსონალით დამთავრებული. ყველა საკითხზე შევთანხმდით. ხვალ ერთად გავემგზავრებით პარიზში, სადაც ჟირესი საკუთარ ადვოკატებს გააცნობს კონტრაქტს. იმედი მაქვს, ეს საკითხი აღარ გაჭიანურდება და კონტრაქტს უახლოეს დღეებში მოვაწერთ ხელს", - ამბობს მერაბ ჟორდანია.

"მოხარული ვარ თბილისში სტუმრობით და ქართველების გაცნობით. ძალიან მომეწონა აქაურობა. რა თქმა უნდა, ორ დღეში ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი. ნაკრების ბაზა ყურადღებით დავათვალიერე. დავრწმუნდი, რომ ყველა პირობაა გუნდის მომზადებისთვის. იმასაც ვადასტურებ, რომ თქვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ყველა საკითხი შევათანხმეთ. ხვალ პარიზში დავბრუნდები, ჩემს ადვოკატებს მოვეთათბირები და კონტრაქტს გავაფორმებთ. ოჯახიც უნდა ჩავაყენო საქმის კურსში. ვფიქრობ, არავითარი პრობლემა აღარ იქნება და კონტრაქტს ხელს მოვაწერ", - ასეთია ჟირესის კომენტარი.

თუმცა, ფრანგის სიფრთხილეს რომ საფუძველი აღარა აქვს, ჟორდანიას და თავად ჟირესის მომდევნო კომენტარებშიც გამოჩნდა.

"მე უკვე დავესწარი საქართველოს თასის ორ მატჩს. წარმოდგენა მაქვს იმ ქართველ ლეგიონერთა შესაძლებლობებზეც, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ. აქედან გამომდინარე, შემიძლია განვაცხადო, რომ ქართულ ფეხბურთს, მართლაც, დიდი პოტენციალი აქვს. შევეცდები, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანო ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებს შესწევს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ღირსეულად გამოსვლის ძალა. იმასაც მივხვდი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფეხბურთს საქართველოში და ნაკრების წარმატებას რა დიდი სიხარულის მოტანა შეუძლია ქართველი ხალხისთვის", - ძნელია, იფიქრო, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

"თავად ჟირესის გადასაწყვეტია, თუ როგორ რეჟიმში აპირებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას. თუმცა, ეჭვგარეშეა, მას საკმაოდ დიდი დროის გატარება მოუწევს საქართველოში. ასე რომ, ჟირესისთვის თბილისში უკვე შევარჩიეთ სახლი.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების უახლოეს მატჩს, ის 30 მარტს გერმანიის ქალაქ მანჰაიმში გაიმართება – ჩვენი გუნდი გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებს დაუპირისპირდება. თბილისში ნაკრების მხოლოდ ის ფეხბურთელები შეიკრიბებიან, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოთამაშე ლეგიონერები პირდაპირ გერმანიაში ჩავლენ და ჟირესი მატჩისწინა შეკრებას პირდაპირ მანჰაიმში ჩაატარებს", - ჟორდანიაც ჟირესის დანიშვნაზე, როგორც ფაქტზე, ისე საუბრობს.

როგორი საფეხბურთო გემოვნება აქვს საქართველოს ნაკრების – ნუ გავუსწრებთ მოვლენებს – ჯერ კიდევ მომავალ მთავარ მწვრთნელს? ვინ მიაჩნია იდეალურ მწვრთნელად, რომელ ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას? ჟირესის პასუხებიდან ნათელი გახდა, რომ ის, მართლაც, მაღალი დონის სპეციალისტია. თუმცა, ამის დამტკიცება არა პასუხებით, არამედ საქმით მოუწევს.

"არ დავმალავ: ემე ჟაკეს მოწაფე ვარ და მისი ხელმძღვანელობით რვა წელიწადს ვთამაშობდი. იგი თავის საუკეთესო მოწაფედ მიმიჩნევს. არის კიდევ ერთი ფრანგი სპეციალისტი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს მწვრთნელად ჩამოყალიბებაზე. ეს გახლავთ მიშელ იდალგო (იდალგოს ხელმძღვანელობით საფრანგეთის ნაკრები 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა,-რედ.). რამდენიმე განხრით დავამთავრე სამწვრთნელო აკადემია. როგორც მწვრთნელს, საკუთარი ხედვა, საკუთარი კონცეფციები მაქვს. თუმცა, აკადემიის გარდა, იდალგოსა და ჟაკესგან ბევრი რამ ვისწავლე. ტაქტიკა? ჩემი ტაქტიკა ძალიან მარტივია – მოგება. თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე უფრო 4-4-2 ტაქტიკური მონახაზია გავრცელებული. თუმცა, ტაქტიკა საკუთარი და მეტოქე გუნდის შესაძლებლობების მიხედვით უნდა შეირჩეს. მაგალითად, ფაბიო კაპელო "მილანში" ყოფნის დროს 4-4-2-ს ანიჭებდა უპირატესობას, "რომას" კი მკაცრად 3-5-2-ს ათამაშებს. თუმცა, ეს მხოლოდ ციფრებია და მათი დასახელებით ტაქტიკაზე საუბარი არაკომპეტენტურად მეჩვენება", - აი, ასეთი საფეხბურთო ხედვა აქვს ჟირესს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჟირესმა უკვე ქართულად მისალმებაც ისწავლა

კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე, რომლის ხელმოწერაც პარიზში იგეგმება, ჯერჯერობით, მხოლოდ ფედერაცია ზრუნავს.

"მართალია, ჩვენ უკვე გვყავს გენერალური სპონსორი, კომპანია "ყაზბეგი", მაგრამ მთავარი მწვრთნელის ხელფასის საკითხს ფედერაცია საკუთარი სახსრებით, დამოუკიდებლად მოაგვარებს. ისიც უნდა გითხრათ, რომ მხოლოდ მაღალკვალიფიციური მწვრთნელის დანიშვნით არ ვიფარგლებით – ჟირესთან ერთად უკვე შევიმუშავეთ პრემიალური სისტემა, რომელიც ნაკრების ფეხბურთელებს თითოეულ მატჩში ქულის (თუ ქულების) მოპოვების შემთხვევაში მატერიალურად წაახალისებს. ამისთვის დაგვჭირდება სპონსორების თანადგომა. ჯერ ვინაობას არ გავამხელ, თუმცა, არც დავმალავ, რომ ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კიდევ ერთ კომპანიასთან, რომელიც, სავარაუდოდ, "ყაზბეგის" მსგავსად, ფედერაციის სპონსორი გახდება", - ჟორდანიას ეს კომენტარი, ალბათ, ძალიან გაახარებს ქართველ ფეხბურთელებს, რომლებსაც მხოლოდ ენთუზიაზმზე არ მოუწევთ სირბილი.

მაშ ასე: დღეს პარიზის მიმართულებით გეზს აიღებს თვითმფრინავი, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში ჟორდანიას და ჟირესს გაამგზავრებს. იქ ჟირესისა და ჟორდანიას მოლაპარაკებებს კიდევ ერთი ცნობილი ფრანგი, მიშელ პლატინი შეუერთდება. სხვათა შორის, ჟორდანიამ აღნიშნა და ჟირესმაც დაადასტურა, რომ ამიერიდან პლატინი საქართველოს ნაკრების დიდი გულშემატკივარი გახდება და ხშირად დაესწრება ჩვენი გუნდის თამაშებს. მხოლოდ ქომაგობაც კი ასეთი კაცისა, რომელსაც ახლო მომავალში ფიფას პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებენ, საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში დამატებით ქულებს შესძენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და ნაკრების მწვრთნელს პარიზამდე მგზავრობა ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის კომპანიაში ელით.

რაგბი

# "День победы" ქართულად

პაატა თოთაძე

ევროპის ერთა თასი

**საქართველო – რუსეთი 9:3**

**საქართველო:** *მთიულიშვილი (ხინჩაგიშვილი), დადუნაშვილი, სუჯაშვილი, ზედგენიძე, დიდებულიძე (ურუშაძე), მაისურაძე (ურუშაძე 10 წთ.), ლაბაძე, ბოლღაშვილი (გორგოძე), სამხარაძე, ჯიმშელაძე, ანდღულაძე, ურჯუკაშვილი (კვირიკაშვილი), ზიბზიბაძე (ფირფილაშვილი), ხამაშურიძე (გუგავა), ბარკალაია*
**1 არეკნი** – *ჯიმშელაძე*
**2 საჯარიმო** – *ჯიმშელაძე, ბარკალაია*

**რუსეთი:** *ხროკინი (პრიშჩეპენკო), კორშუნოვი (რომაკი), შუკაილოვი, ფედჩენკო, სერგეევი, დიატლოვი (სარიჩევი), გრაჩოვი, ზიკოვი (შელეპკოვი), იანუშკინი (შაკიროვი), კოროშეინიკოვი, კუზინი, აკულოვი, რეჩნევი, სიმონოვი, რაჩკოვი*
**1 საჯარიმო** – *რაჩკოვი*

**მსაჯი:** *ჟოელ დუმე (საფრანგეთი)*

უცნაური ხალხია ეს რუსები. ჯერ იყო და, მატჩამდე ყველა ერთხმად აცხადებდა, ჩვენი გამარჯვების დრო დადგაო. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, წასაგებად ჩამოვედითო, ვინ იტყოდა, მაგრამ მატჩის შემდეგ ჩვენებს რომ დაუწუნეს თამაში, ეგ კი აღარ უნდა ექნათ. მთავარი შედეგია, იმას კი, რა გააკეთეს მორაგბეებმა კარგად და რა - ცუდად, თავად გავარჩევთ. სხვისგანაც მივიღებთ შენიშვნებს, რუსებისგანაც, მაგრამ არა ასეთ სიტუაციაში. განა მათთვის ექნებოდა მნიშვნელობა თამაშის ხარისხს, ჩვენი დამარცხება რომ მოეხერხებინათ?

ერთა თასის პირველ ორ მატჩში წარუმატებლობის შემდეგ გულშემატკივრებმა იმგვარი საქართველოს ნაკრები იხილეს, როგორსაც მიჩვეულნი არიან. ბორჯღალოსანთა უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პირველ ტაიმში. აგრესიულად მოთამაშე ქართველების წინააღმდეგ მეტოქემ ვერაფერი გააწყო. მეორე ტაიმში ვითარება ცოტათი შეიცვალა, ჩვენი უპირატესობა იმდენად დიდი აღარ იყო, მეტიც, ეპიზოდებში რუსებმა გვაჯობეს და, მათი უთავბოლობა რომ არა, შესაძლებელი იყო, ლელოც მიგვეღო. აქედან გამომდინარე, მწვრთნელებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო გუნდის უკეთ ასათამაშებლად.

გაამართლა მალხაზ ურჯუკაშვილის ფრთიდან ცენტრში გადაყვანამ. თედო ზიბზიბაძესთან ერთად მან შექმნა მშვენიერი, სწრაფი დუეტი, რომელიც თავის დროზე ახერხებდა ხაზის ამოწევას, ჩახურვას და ხანდახან მეტოქისთვის ბურთის წართმევასაც. აქედან გამომდინარე, ორმაგად საწყენია ურჯუკაშვილის ტრავმა – მას მხარი ამოუვარდა და, სავარაუდოდ, ერთა თასის დარჩენილ მატჩებს გამოტოვებს. მშვენიერი იყო ილო მაისურაძე – მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩინებულად მოთამაშემ, ერთხელ ურთულესი ბურთი აართვა მეტოქეს. ამგვარი თამაშით ის მყარად დამკვიდრდება ნაკრებში. კარგად ჩაერთო თამაშში ლექსო გუგავაც. მან მატჩის დასაწყისშივე შეცვალა ტრავმირებული ხამაშურიძე. ურჯუკაშვილის მსგავსად, წლევანდელ ერთა თასზე ნაკრებში ვერც ხამაშურიძე ითამაშებს – მას იდაყვი ამოუვარდა. მეორე ტაიმში დაშვებულ რამდენიმე შეცდომას თუ არ ჩავთვლით, კარგად ითამაშა პალიკო ჯიმშელაძემაც. უფრო სწორად, მეორე ტაიმშიც მან სწორი გადაწყვეტილებები მიიღო, მაგრამ, მწვრთნელთა თქმით, ტექნიკურად კარგად ვერ შეასრულა, რის გამოც უპირატესობას რუსები დაეუფლნენ. ეს დარტყმები მათ მოძრაობაში აიღეს, ასეთ დროს კი მეტოქე დიდ უპირატესობას იღებს. ასეა თუ ისე, საბოლოოდ ჯიმშელაძემ თავი გაართვა ამოცანას (წინა მატჩებში ნახევარმცველის პოზიციაზე მას რომ ეთამაშა, ვფიქრობ, პორტუგალიასაც დავამარცხებდით). ურიგოდ არ გამოიყურებოდა რვა ნომრით მოთამაშე ბოლღაშვილი, მაგრამ, როგორც მატჩის შემდეგ თქვეს, ამ პოზიციაზე, ალბათ, ბესიკ უდესიანის თამაში ჯობს.



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

რუსეთმა ვერც ამჯერად მოიგო თბილისში

**ვითარება ორი სეზონის ჯამში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 271-72 | 22 |
| 2. პორტუგალია | 8 | 7 | 0 | 1 | 191-143 | 22 |
| 3. საქართველო | 8 | 4 | 1 | 3 | 152-116 | 17 |
| 4. რუსეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 147-132 | 11 |
| 5. ჩეხეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 96-234 | 11 |
| 6. ესპანეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 104-289 | 9 |

მწვრთნელთა განცხადებით, ჩეხეთთან მატჩში ნაკრებში კიდევ ორი-სამი ახალი სახე გამოჩნდება. რუსეთთან მატჩში რამდენიმე ახალბედამ "ზებრების" გვერდით მშვენივრად წარმოაჩინა თავი, რითაც რაგბის მოყვარულთ იმედი გაუჩინა, რომ მომავალ თაობას არაერთი წარმატების მიღწევა შეუძლია.

შაბათსვე ბუქარესტსა და პრაღაში ერთა თასის მესამე ტურის დარჩენილი ორი მატჩი გაიმართა. რუმინელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ადვილად მოუგეს ესპანელებს – 50:10, პორტუგალიელებმა კი სტუმრად სძლიეს ჩეხეთის გუნდს – 13:8.

TV - სპორტი

**ორშაბათი. 8 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. "DENVER NUGGETS" - "INDIANA PACERS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 NBA TV - NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ტორპედო-მეტალურგი" – "ტომი"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი
16:55 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ალანია" – "შინიკი". პირველი მატჩი
18:50 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" – "ბავარია"
20:35 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
05:00 NBA TV. ოვერტაიმი: მაიკლ ჯორდანი. მეორე ნაწილი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "LOS ANGELES LAKERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:10, 17:15, 20:00, პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
12:10 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება
13:10 სპორტული ცეკვები. "დსთ-ს ქვეყანათა თასი". პირველი დღე
14:25 "ჰარმონიის ფორმულა"
14:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი
15:40 სპორტული ცეკვები. "დსთ-ს ქვეყანათა თასი". მეორე დღე
16:40 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
17:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
18:00 "NHL - პლუს"
18:15 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Ice Dreams"
19:15 უნივერსალური ბრძოლა. ევროპის ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:10 პროფესიული კრივი. ჯოელ კასამაიორი – დიეგო კორალესი
00:10 "NHL - პლუს"
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:00 ახალი ამბები
01:15 ბოულინგი. PBA Tour უინძორ ლოკსში (აშშ)

**EUROSPORT**
11:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
12:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
12:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
13:30 მაგიდის ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი ყატარში
14:15 მაგიდის ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი ყატარში
15:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
16:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
17:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
18:30 ველორბოლა. ტური პარიზი-ნიცა
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 მულტისპორტი
23:00 K1 – ლეგენდები
00:00 K1 – ლეგენდები
01:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:15 ახალი ამბები
03:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:45 ფეხბურთი. ევროისტორია
04:15 ახალი ამბები

ფორმულა 1

# წითელი ზეიმი მელბურნში

ნინო პირველი

რა ტყუილად იმუქრებოდნენ რალფ შუმახერი, ხუან პაბლო მონტოია და კიმი რიაკონენი ავსტრალიის გარნ-პრის წინ! რა მცდარ პროგნოზებს აკეთებდნენ ექსპერტები და რა ამაოდ იმედოვნებდნენ "ფერარის" მოძულენი, რომ 2004 წლის პირველი რბოლა მიხაელ შუმახერის კრახით დასრულდებოდა! აკი "ფერარის" ახალი ბოლიდი დიდი არაფერია და 35 წლის მიხაელ შუმახერი უკვე საპენსიოაო? "პენსიონერმა" შუმახერმა გამარჯვების ყოველგვარი შანსი მოუსპო თავისზე ათი-თორმეტი წლით უმცროს კონკურენტებს და ისე იოლად მოიგო რბოლა, რომ თავადაც გაოცებული დარჩა. უფროს "შუმის" სამოცდამეთერთმეტე გრან-პრის მოსაგებად 1 საათი 24 წუთი და 15 წამი დასჭირდა. რუბენს ბარიკელო კვალდაკვალ მიჰყვა სახელოვან კოლეგას. ის კი არა, შუმახერმა სულ ერთი ფეხით გაასწრო ჩემპიონობაზე მეოცნებე "რუბინიოს". პირველ და მეორე ადგილზე გასულ ბედნიერ გამარჯვებულთა შორის განსხვავება სულ რაღაც 13 წამი იყო. საათსა და 24 წუთში "რენოს" ესპანელი ვუნდერკინდიც ჩაეტია - ფერნანდო ალონსო ბარიკელოს 21 წამით ჩამორჩა და დამსახურებულად ერგო პოდიუმზე ასვლა. დანარჩენები? "უილიამსისა" და "მაკლარენის" დიდგულა ახალგაზრდა პილოტები? ძმის დამხობაზე მეოცნებე რალფ შუმახერი მთელი ერთი წუთით გვიან მივიდა ფინიშთან, ხუან პაბლო მონტოიამ მეხუთე შედეგი აჩვენა, დევიდ კულჰარდი მერვე იყო, უფროსი "შუმის" ერთ-ერთი მთავარი მეტოქე, კიმი რაიკონენი კი საერთოდ გამოეთიშა რბოლას. სეზონის პირველი ასპარეზობა ფინელისთვის საშინლად წარუმატებელი აღმოჩნდა. "მაკლარენის" ვარსკვლავმა დიდხანს ვერ შეძლო "ალბერტ პარკში" შეკრებილი 10 000 მაყურებლის დატკბობა თავისი ხელოვნებით - მეათე წრეზე მისი ვერცხლისფერი "მერსედესი" მოულოდნელად გაჩერდა. რაიკონენი უმწეოდ ცდილობდა, ადგილიდან დაეძრა მანქანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და იძულებელი გახდა, ბოლიდიდან გადასულიყო. მუდამ მშვიდი და ყინულივით ცივი ფინელი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ამ წარმოუდგენელი ფიასკოს გამო სასტიკად გაცოფებული იყო და ხელების ქნევით და ცხოველი ჟესტიკულაციით ცდილობდა აეხსნა გარშემომყოფთათვის, თუ რის გამო შეწყვიტა რბოლა: "ჯერ კიდევ სტარტზე შევნიშნე, რომ ძრავა წესრიგში არ იყო. მერე და მერე შეუძლებელი გახდა მდგომარეობის გამოსწორება. ძალიან უკმაყოფილო ვარ. ეს შაბათ-კვირა, საერთოდ, მეტად უიღბლო იყო ჩემთვის", - დაიჩივლა გულდაწყვეტილმა რაიკონენმა, რომელმაც ავსტრალიის გრან-პრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სარეკლამო კლიპში მიიღო მონაწილეობა და საკუთარი თავი მსახიობის ამპლუაში მოსინჯა: "გადაღებისას უნდა გამეკეთებინა ის, რასაც ყოველთვის ვაკეთებ - მანქანა წამეყვანა. კამერის წინ ბოლიდის მართვა სულ სხვა შეგრძნება ყოფილა. ცოტა არ იყოს, დამღალა ამ გადაღებებმა. მოსაწყენია ერთი და იგივეს რამდენჯერმე გამეორება. მსახიობად ნამდვილად არ ვივარგებ", - დაასკვნა ფინელმა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ არც მსახიობად ივარგა და არც პილოტად. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მიკა ჰაკინენისა და ნიკი ლაუდას ფავორიტი უკვე მეათე წრეზე დაამთავრებდა ასპარეზობას?




ფორმულა 1-ის მორიგი სეზონი კვლავ "ფერარის" ტრიუმფით დაიწყო.

**ავსტრალიის გრან-პრი. პირადი ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი (გერმანია "ფერარი" | 1:24:15,757 |
| 2. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) "ფერარი" | 1:24:29,362 |
| 3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) "რენო" | 1:24:50,369 |
| 4. რალფ შუმახერი (გერმანია) "უილიამსი" | 1:25:16,201 |
| 5. ხუან-პაბლო მონტოია (კოლუმბია) "უილიამსი" | 1:25:24,347 |
| 6. ჯეისონ ბატონი (დიდი ბრიტანეთი) BAR | 1:25:26,277 |
| 7. იარნო ტრული (იტალია) "რენო" | + 1 წრე |
| 8. დევიდ კულჰარდი (დიდი ბრიტანეთი) "მაკლარენ-მერსედესი" | + 1 წრე |

რბოლიდან გამოვარდნის საფრთხე ხუან პაბლო მონტოიასაც ემუქრებოდა, თუმცა, კოლუმბიელიმა დროზე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მონტოიას სტარტზევე შეემთხვა უსიამოვნება: ფერნანდო ალონსომ მოინდომა, მკვეთრი მანევრით გაესწრო მონტოიასთვის. ესპანელის მწვავე შეტევამ კოლუმბიელი ისე დაიბნა, რომ დროულად ვერ დაამუხრუჭა და ტრასიდან გაზონზე აღმოჩნდა. თუმცა, მონტოია მალე გონს მოვიდა და საბოლოოდ ოთხი ქულა მაინც მოიპოვა. რბოლის შემდეგ არც მონტოია იყო საკუთარი თავით კმაყოფილი და არც რალფ შუმახერი, თუმცა, ჩვეული ყოყლოჩინური იერი არც ერთს არ დაუკარგავს - მერე რა, სეზონი ხომ ესესაა დაიწყო, ჯერ ყველაფერი წინაა!

